# საერთო გაზეთი

№44 (311) ● 17 დეკემბერი, 2014 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი


## ლადო საღლობელაშვილი:



### „ნაციონალებთან“ ერთად ჩვენ გვებრძვიან ისინიც, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ მტრებად აცხადებენ თავს...

მუხრან ბურჭულაძეც ისეთივე არამზადაა, როგორიც მამამისი ნემო ბურჭულაძე

## სოსო მანჯავიძე:

### სააკაშვილის დაპროექტებულ გზას თუ გავყვებით ისევ სააკაშვილამდე მივალთ



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:



### ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს, სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს!

ირაკლი ღარიბაშვილი, თუ ასე გააგრძელებს, ახალი უმრავლესობის მსხვერპლი აღმოჩნდება. მას არ დაინდობენ!

## დენიზა სუმბაძე:

### საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

● საქართველოს ეკლესიის აწყობა მსოფლიოს ახალი წესრიგისა და „მარლოქაი-ესთერის“ ქნარზე

„საქართველოს ეკლესია ისრაელში იქით უწყებს მტკიცებას ისრაელის მთავრობას, რომ ჩვენი მეფეები ისრაელიანთა დიდი მეფის, დავით მეფსალმუნის შთამომავლები არიან. რაღა დაგვრჩა იქამდე, რომ საქართველოს სამეფო ტახტიც ისრაელს ჩავაბაროთ?!“

„მამა არჩილი დაუფარავად აუწყებდა ადამიანებს, რომელთა შორის აღმოვჩნდი მეც, რომ მას საცოლე, ნაზი ზვიადაური, ცნობილი დისიდენტის, ნაზი შამანაურის მეგობარი, მოუკლა პატრიარქის ახლანდელმა თანაშემწემ, ხელისკვრით... და მცხეთის გზაზე ზურგიდან მომავალი მანქანის დაჯახებით...“

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №42-43


„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

პატრიოტი

ორი გაზეთი ერთ გაზეთში

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# კონფლიქტი ათწლეულობით გაგრძელდება

## პუტინი არ დაუშვებს მეზობელი ქვეყნების ინტეგრაციას ნატოსა და ევროკავშირში

**2008 წელს საქართველო განხიბლული დარჩა, ვერ მიიღო ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმა, ახლა უკრაინაშიც მსგავსი ვითარებაა. 2009 წელს, როცა ანდერს ფოგ რასმუსენმა ნატოს გენერალური მდივნის თანამდებობა ჩაიბარა, რატომ ფიქრობდა, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდებოდა?**

**როგორ უნდა იმოქმედოს ნატომ, როგორც სამხედრო ორგანიზაციამ?**

**რა არის ის, რაც „წითელ ხაზებად“ მოინიშნება და რომლის შემდეგაც ნატოს წესდების მე-5 პარაგრაფი ამუშავდება?**

**არის თუ არა ბალტიისპირეთში რუსეთის შეჭრის საფრთხე?**

**რატომ აღმოჩნდა ევროპა მოულოდნელ სიტუაციაში?**

**ყირიმის ანექსიის შემდეგ ევროპული ქვეყნების მთავრობებსა და სამხედრო სტრატეგებს ახალი დილემა გაუჩნდათ: რით შეზღუდონ რუსეთის პროპაგანდისტული მანქანის ასე მიზანმიმართული ზემოქმედება თავიანთ მოსახლეობაზე?**

**მსოფლიო პოლიტიკაში შექმნილ სადღეისო საჭირბოროტო შეკითხვებს ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი პასუხობს:**

„პუტინს ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლილი გეგმა აქვს, რომელიც რუსეთის დიდების აღდგენას გულისხმობს და მის განხორციელებას შეეცდება რუსეთის გავლენის სფეროების შექმნით ახლო საზღვარგარეთში, რომელიც ასე თუ ისე მოიცავს პოსტსაბჭოთა სივრცეს.

ეს გეგმა ნაციონალისტური აზროვნების ნაყოფია. პუტინს მეტისმეტად ნაციონალისტურად განწყობილი მრჩევლების ვიწრო წრე ჰყავს. გარდა ამისა, ეს არის ინფორმაციისა და დეზინფორმაციის ნაწილი იმისათვის, რომ რუსეთსა და დასავლეთს შორის იდეოლოგიური ბრძოლის, ხელოვნური მტრის ხატი შექმნას. ქვეყნის შიგნით კრემლის პოლიტიკის ოპონენტებს არაპატრიოტებად რაცხავენ. იქმნება მტრის ხატი, რომელსაც განსაკუთრებით ნატო და აშშ განასახიერებენ.

როგორ უნდა იმოქმედოს ნატომ, როგორც სამხედრო ორგანიზაციამ? უნდა გამოიყენოს იმაზე მეტი საშუალებები, ვიდრე ამას იძლევა ნატოს მე-5 პარაგრაფი — ერთ-ერთ მოკავშირეზე თავდასხმა ბლოკის ყველა წევრზე თავდასხმას ნიშნავს. რუსეთი ცდილობს არ ავამუშაოთ ეს პარაგრაფი და ამას ისე აკეთებს, რომ გაუგებარია, მოკავშირეს მართლაც ესხმიან თუ არა.




რა არის ის, რაც „წითელ ხაზებად“ მოინიშნება, რომლის შემდეგაც მე-5 პარაგრაფი ამუშავდება? ჩვენ არასდროს გვილაპარაკია მკაფიოდ, როდის ავამოქმედებთ ამ პარაგრაფს. ეს არის შეკავების ნაწილი, რათა აგრესორმა არ იცოდეს, როდის ამუშავდება იგი. არც ჰიბრიდული ომების დროს ვაზუსტებთ ამას, მაგრამ ნატოს მოკავშირეებს კარგად ესმით ახალი გამოწვევის სიმძაფრე. რუსეთის სიცრუეზე დაფუძნებული პროპაგანდის გამოსააშკარავებლად უფრო დახვეწილი მეთოდები გვჭირდება.

ჩნდება მოსაზრება, რომ ყირიმის ოკუპაცია გამოგვეპარა და ვერ შევამჩნიეთ მოსამზადებელი სამუშაოები, რაც საქართველოსთან ომის შემდეგ მიმდინარეობდა. გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ მართლაც მოულოდნელ სიტუაციაში აღმოვჩნდით — რუსეთმა სწრაფად მოახერხა და დიდი სამხედრო სწავლებები რეალურ სამხედრო თავდასხმად აქცია. ეს ჩვენთვის გაკვეთილი იყო და ჭკუა უნდა ვისწავლოთ. ამიტომაც გადაწყვიტა ნატომ, შექმნას სწრაფი რეაგირების ძალები, რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში ძალზე სწრაფად განთავსდებიან მოკავშირის დასაცავად.

საამისოდ საჭიროა ინვესტიციები ინფრასტრუქტურის — ბაზების, პორტების, გზებისა და რკინიგზის მოსაწყობად, წვრთნა და სწავლებები... საბოლოოდ, აღმოსავლეთში ნატო უფრო მეტად იქნება წარმოდგენილი. უნდა მოვამზადოთ, აგრეთვე, განსაკუთრებული დანიშნულების ძალები რუსეთთან ჰიბრიდული ომის საწარმოებლად, ვეთანამშრომლოთ ალიანსის ხელისუფლების დაწესებულებებს, რათა დავუპირისპირდეთ დეზინფორმაციის კამპანიას; მაგალითად, თუ კრემლი მოინდომებს და ესტონეთში, ლატვიაში ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში რუსულენოვანი უმცირესობის უკმაყოფილების პროვოცირებას მოახდენს.

ყირიმის ოპერაციის შემდეგ ნატოს მოკავშირეებმა გააძლიერეს ძალისხმევა იმისათვის, რომ ჰიბრიდულ ომს შესაბამისი წინააღმდეგობა გაუწიონ. რუსეთი აგრესორია და თუ ნატოს რომელიმე წევრ-ქვეყანას თავს დაესხმება, ალიანსი ამ მოკავშირეს დაიცავს. ვფიქრობ, რუსეთი ამ „წითელ ხაზს“ არ გადააბიჯებს, რადგან ნატოს რეაქცია იქნება მკაცრი და შეუპოვარი. რუსეთთან ურთიერთობამ დამარწმუნა, რომ ჩვენ გვჭირდება ერთიანობა და ძალა, რადგან კრემლს უყვარს თამაში — „დაყავი და იბატონე“ და მოკავშირეების ერთმანეთზე გადაკიდება.

ჩვენი ერთიანობის გამოხატულებად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ საფრანგეთმა გამოხატა სოლიდარობა და ალიანსის შიგნით თანხმობა — რუსეთისთვის „მისტრალის“ მიყიდვა გადაიდო.

როცა ნატოს გენერალური მდივანი გავხდი, პირველ გამოსვლაში აღვნიშნე, რომ ნატოს და რუსეთს შეუძლიათ ნამდვილი სტრატეგიული პარტნიორობა შექმნან. გულდაწყვეტილი ვარ, უფრო მეტიც — განხიბლული ვარ, რომ რუსეთს ნატო მოწინააღმდეგედ მიაჩნია. დასავლეთსა და რუსეთს შორის კონფლიქტის სცენარი, სამწუხაროდ, ათწლეულობით გაგრძელდება. ერთადერთი, რაც ჩემს ახლანდელ პროგნოზის შეცვლის — ეს არის ნავთობის ფასი, რომელსაც. შეუძლია კონფლიქტის პერიოდის შემცირება.

რუსეთს არ შეუძლია მოდერნიზება და რუსეთის საზოგადოების რეფორმირება. ამის დასაფარად მისი ელიტა გარეშე მტერს იგონებს. ჩემი აზრით, რუსეთი უკრაინით არ დაკმაყოფილდება. მას ევრაზიული კავშირის შექმნის დიდი გეგმები აქვს და არ დაუშვებს მეზობელი ქვეყნების ინტეგრაციას ნატოსა და ევროკავშირში. კონფლიქტური რეგიონებია დნესტრისპირეთი, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, ყირიმი, მთიანი ყარაბაღი. მოდელი ასეთია: რუსეთი ვარაუდობს, რომ ნატო და ევროკავშირი თავს შეიკავებენ და ვიდრე ამ სახელმწიფოებში კონფლიქტები მოუგვარებელია, მათ თავიანთ რიგებში არ მიიღებენ.

ცივი ომის დასრულების შემდეგ ვალდებულება გვქონდა, შეგვექმნა უკეთესი ევროპა — თავისუფალი, გამყოფი ხაზების გარეშე. ამიტომაც მოვიწადინეთ, რომ რუსეთი კონსტრუქციულ პარტნიორობაში ჩართულიყო. მეოცნებეები და გულუბრყვილოები კი არ ვიყავით, სწორ გზად მიგვაჩნდა. უკრაინასთან კონფლიქტის შემდეგ რუსეთმა დაგვანახვა, რომ ნატო მისთვის მოწინააღმდეგეა. უკრაინაზე თავდასხმა მაღვიძარას ზარს ჰგავდა — ველარ ვიფიქრებთ, რომ ევროპაში მშვიდობის არსებობა თავისთავად არსებული რამ არის. სამწუხაროდ, ახლანდელი კონფლიქტის სცენარი ხანგრძლივ პერიოდზეა გათვლილი.

ბალტიის ქვეყნები დაცული არიან რუსეთის აშკარა აგრესიისგან, მაგრამ ესტონეთსა და ლატვიაში მრავალრიცხოვანი რუსულენოვანი მოსახლეობაა. ამიტომაც რუსეთის პროპაგანდისტულ მანქანას შეუძლია შექმნას პრობლემები და შესაბამისად, ჰიბრიდული ომის ალბათობაც იზრდება.

# „მისტრალს“ რუსი საზღვაო ფეხოსნები იცავენ

პოტენციურად რუსეთის კუთვნილი გემების დასაცავად ან იმის საჩვენებლად, რომ არაფრის დათმობას არ აპირებენ, „ვლადივოსტოკის“ ბორტზე — პირველ გემზე, რომელიც რუსეთს უნდა გადაეცეს, საზღვაო დესანტმა მორიგეობა დაიწყო. ამ გემზე სამორიგეოდ საზღვაო ფეხოსნები ჯერ კიდევ სექტემბერში ჩავიდნენ და მექანიზმების შემოწმების შემდეგ პირდაპირ „მისტრალის“ სამსახურის ადგილზე უნდა გამგზავრებულიყვნენ. შეგახსენებთ, რომ რუსეთის ვიცე-პრემიერმა დმიტრი რაგოზინმა ოქტომბრის ბოლოს ფრანგული მხარისგან მიიღო მიწვევა „ვლადივოსტოკის“ გადაცემის ოფიციალურ ცერემონიაზე.

ამ გემის გადაცემა წყნარი ოკეანის ფლოტისთვის იგეგმებოდა და შესაბამისად სწორედ ამ ფლოტის ოფიცრები იმყოფებიან ახლა გემზე. მათი ამოცანაა გემის უსაფრთხოების დაცვა, დესანტირების სისტემის მუშაობის შემოწმება.

პირველი „მისტრალის“ ბორტზე იმყოფება შერეული ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაშიც არიან ბალტიისა და წყნარი ოკეანის ფლოტის ტექნიკური სამსახურის ოფიცრები და მეზღვაურები, რამდენიმე ათეული საზღვაო ფეხოსანი, აგრეთვე, სამხედრო ექიმები და რუსეთის მრეწველობის წარმომადგენლები.

„რუსეთმა საკუთარი უნივერსალური სადესანტო ვერტმფრენმზიდების პროექტირება და მშენებლობა სამხედრო გემთმშენებლობის 2050 წლამდე გათვლილ გეგმაში შეიტანა და იგი თავდაცვის სამინისტრომ მოიწონა“, — აცხადებს



სამხედრო უწყების მაღალჩინოსანი.

რუსეთის ფლოტს სჭირდება „მისტრალის“ მსგავსი უნიკალური გემები — ვერტმფრენმზიდები, შესაძლოა, ოდნავ პატარა და ნაკლები ტვირთამწეობის. ასეთ გემებს შეუძლიათ უფრო მეტი დავალება შეასრულონ, ვიდრე დიდ სადესანტო გემებს, აცხადებს საიმედო და ინკოგნიტო წყარო.

საფრანგეთმა გადაწყვიტა, რუსეთისთვის აგებული ვერტმფრენმზიდ „მისტრალის“ გადაცემა გადაავადოს. ამ გადაწყვეტილებას ზოგიერთი ექსპერტი წინდაუხედავ ნაბიჯად აფასებს: ფრანსუა ოლანდი ამით ასუსტებს საფრანგეთის სამხედრო მრეწველობას და ძირს უთხრის იმ ქვეყნის ნდობას, რომლის ერთ-ერთი უპირატესობაა, შეიარაღების დარგში ამერიკის ტექნოლოგიური და ნორმატიული ვასალიზაციის ალტერნატივა იყოს.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

# უცნაური ამბები ხდება — „ნაციონალებთან“ ერთად ჩვენ გვებრძვიან ისინიც, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ მტრებად აცხადებენ თავს...

## მუხრან ბურჭულაძეც ისეთივე არამზადაა, როგორიც მამამისი ნემო ბურჭულაძე

**გვესაუბრება „თავისუფალი თაობის“ ლიდერი ლადო სადღობელაშვილი.**

**— ლადო, ორიოდე კვირის წინ გაავრცელეთ ინფორმაცია, რომ ამერიკაში ერთმანეთს შეხვდნენ „ქართული ოცნების“ კოალიციის წარმომადგენლები და ყოფილი ხელისუფლების წევრები. უფრო დეტალურად მოგვიყევით იმ შეხვედრის შესახებ და რა შედეგები მოჰყვა ამ შეხვედრას?**

— დიახ. ამერიკაში საკმაოდ ძვირადღირებულ რესტორანში ერთმანეთს შეხვდნენ **დათა ახალაიას** უახლოესი მეგობარი და მისი უწყების ყოფილფეხი მაღალჩინოსანი თანამშრომელი. უნდა იცოდეთ, რომ შეხვედრა მხოლოდ რესტორანში არ ყოფილა. ეს იყო მეგობრული შეხვედრა და გასეირნება. ფოტოებიდანაც ჩანდა, რომ ეს იყო ერთი ჩვეულებრივი შეხვედრა, რომელიც, სავარაუდოდ, ადრეც არაერთხელ ყოფილა. ვინც ეს ინფორმაცია მომაწოდა, ასევე მითხრა, რომ შეხვედრას წინ უსწრებდა თათბირი **საავკაშვილთან** და განიხილეს პარლამენტის მიერ წამოყენებული რამდენიმე კანონ-პროექტის ჩაგდების საკითხი. მოგეხსენებათ, მერე უკვე მოხდა ე. წ. გასაღების კანონ-პროექტის გართულებული მიღების პროცედურა. ანალიზისა და ფაქტების საფუძველზე თვითონვე დარწმუნდებით, რომ **ალასანიას** მხრიდან აქტიურობდა **ნინო გოგუაძე**, აგრეთვე, **თამარ კორძაია** და **ხათუნა გოგორიშვილი**...

ჩემი ინფორმაციით, ისინი საკმაოდ ძვირადღირებულ რესტორანში შეხვდნენ, იქ კერძები უძვირესი ფასებით გამოირჩევა და ჩვენი მოსახლეობის სამმაგი და ოთხმაგი პენსიის ტოლია. ქალბატონი გოგუაძე, რომელიც ალასანიას გუნდის წევრია, არის ერთგვარი შუამავალი, იგი რაღაცნაირი ფოსტალიონის როლს ასრულებს, როცა საუბარი მიდის „ნაციონალებთან“ მოლაპარაკებების საკითხზე. გოგუაძე შუამავლის როლშია. სხვა ფუნქცია არ აკისრია, გარდა იმისა, შეათანხმოს შეხვედრები და მოლაპარაკებები.

„გასაღების“ თემასთან დაკავშირებით ბატალიების დროს ყველას გვახსოვს, მთელი რიგი ფრაქციები შეიქმნა, **ვერულაშვილის** ჩართვაც გახდა საჭირო და სწორედ მისი დახმარებით შეძლო „ოცნებამ“ გაეტანა ეს კანონ-პროექტი.

**— საპარლამენტო გადატრიალებაზეც საუბრობდით...**

— საავკაშვილმა 15 ნოემბრის შემდეგ დაინახა, რომ ვერ მოუყარა თავი საკმაო რაოდენობის ხალხს. სწორედ „გასაღების“ კანონ-პროექტის ჩაგდების მცდელობა



იყო იმის დასტური, რომ „ოცნებაში“ პორტირებულებმა, ერთ დროს „ნაცმოძრაობის“ თანამოაზრეებმა და თანამებრძოლებმა, ერთ მშვენიერ დღეს დიდი პრობლემები შეუქმნან დღევანდელ ხელისუფლებას.

პარლამენტის გარეთაც აქტიურობენ „ნაცმოძრაობის“, ამ დესტრუქციული და დამანგრეველი ძალის სატელიტები და პირდაპირი მხარდამჭერები.

**ყველამ ვიცით, ვინც არის ლაშა ლაჭავა. ძმები კოდუების დედა. სწორედ ამ ქალბატონის დახმარებით მოხდა საკმაოდ დიდი თანხების მობილიზება ლაჭავამ 15 ნოემბრის აქციის მოსაწყობად. მის სამკერვალო ფაბრიკაში მომუშავე ხალხი პირდაპირი ბრძანების საფუძველზე მიიყვანა იმ დღეს აქციაზე. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თუ საჭირო გახდა, არც ლაჭავაკოდუები და არც სხვა, „ნაციონალების“ დროს გამდიდრებული ხალხი არაფერზე უკან არ დაიხევენ და ყველაფერს გააკეთებენ, ხელისუფლებას ხელი შეუშალონ.**

**— ლადო, „თავისუფალი ზონის“ აქტიურობა შესუსტდა.**

— „ზონელები“ დიდი ხანი ცდილობდნენ ეთამაშათ პატრიოტების როლი, რუსეთს ამხელდნენ თითქოს და ა.შ. მაგრამ ყველასთვის ნათელი იყო, რომ ეს „ნაციონა-




ლების“ და კერძოდ, საავკაშვილის მიერ დაფინანსებული ჯგუფი იყო და სხვა რამ კეთილშობილური ზრახვები არ ამოძრავებდათ.

ჩვენი ერთ-ერთი პირდაპირი სამიზნე სწორედ „თავისუფალი ზონა“ გახლდათ და პრაქტიკულად, ჩვენ მოვახერხეთ და ეს ორგანიზაცია იმ დონეზე გამოვააშკარავეთ, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ, არ დაშლილიყვნენ და სხვადასხვა ორგანიზაციებში არ გადანაწილებულიყვნენ.

**— ე. ი. დაიშალა „თავისუფალო ზონა“?**

— პრაქტიკულად დაშლილია და ის ახალგაზრდები, რომლებიც ამ ორგანიზაციაში იყვნენ, სხვადასხვა ჯგუფებში გადანაწილდნენ. მაგალითად, „პიკასოს კლუბში“, „სამართლის თაობაში“. ეს უკანასკნელი გახლავთ სწორედ **ლაურა ლაჭავას** მიერ დაფინანსებული ორგანიზაცია. „პიკასოს კლუბი“ ძალიან აქტიურობს „იმედზე“ **ინგა გრიგოლიას** გადაცემებში. დღესდღეობით ესენი იკრებენ ძალებს, მაგრამ ჩვენც არ ვართ გულხელდაკრეფილი და უახლოეს ხანებში სერიოზულ აქციებს დავიწყებთ საავკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ.

**— მიგაჩნია, რომ თქვენი ორგანიზაციის ძალისხმევით დაიფანტა და დაიშალა „თავისუფალი ზონა“?!**

— კი, ასეა. ჩვენმა სწორმა სტრატეგიამ. ინფორმაციულმა ბრძოლამ განაპირობა მათი დაშლა. ხელჩართული ბრძოლაც კი გვქონდა მათთან. გახსოვთ, ალბათ, მათ ოფისთან წერილის გადასაცემად რომ მივედით და **კობა ხაბაზი** აქვთ. არის ასევე, რეფორმატორთა გუნდი, **ირაკლი ღლონტი** და ასეთი გაურკვეველი ტიპის პარტიები. არ გამოვრიცხავ მათ სიაში რესპუბლიკელების ერთი ფრთაც იყოს. როგორც ვიცი, რესპუბლიკური პარტია ორად არის გაყოფილი. ნაწილს „ოცნებასთან“ ყოფნა ურჩევნია, ნაწილი ალასთანიასთან ხედავს თავის მომავალს, არის კიდევ საია და მსგავსი ორგანიზაციები, რომლებიც დღე და ღამე ტელეეთერებიდან მოძღვრავენ მოსახლეობას. ეს ხალხი ე. წ. ოფისის ვირთხები არიან, მათი გაკეთებული საქმე ჯერ არ დამინახავს გრანტების ყლაპვის მეტი. ეს ორგანიზაცია ასეა **თინა ხიდაშელის** ხელმძღვანელობიდან მოყოლებული.

ამ ხალხს და ორგანიზაციებს ელექტორატი არ ჰყავთ, მაგრამ მაინც სულ ტელევიზიებში იწვევენ. თვითონ განსაჯეთ, რასთან შეიძლება გვქონდეს საქმე.

**— სხვათა შორის, სწორედ ტელევიზიებთან დაკავშირებით გაავრცელეთ ამ დღეებში განცხადება, სადაც აპროტესტებდით იმას, რომ არც ერთ ტელევიზიას და თვითონ ინგა გრიგოლიასაც, რომელიც „პიკასოს კლუბის“ წევრებს ძალიან ხშირად იწვევს თავის**



ვენტილატორით რომ დარბოდა და „ზონელები“ რომ გვექაჩებოდნენ. ჩვენ საზოგადოებას დავანახეთ ამათი ნამდვილი სახე, ესენი სრულიად გამარგინალდნენ ყველას თვალში.

**— როგორ ფიქრობთ, რა საყრდენი აქვს დღეს საქართველოში „ნაცმოძრაობას“?**

— ვფიქრობ, რომ ერთადერთი საყრდენი არის ალასანიას ჯგუფი. სხვა საყრდენი მათ არ

**შოუში, თქვენ არ მიუწვევიხართ და, როგორც წესი, არ გიწვევთ ხოლმე.**

— ერთადერთხელ მქონდა ინგა გრიგოლიას გადაცემაში მონაწილეობის საშუალება და მას შემდეგ ორი თვე გავიდა.

როცა „პიკასოს კლუბის“ წევრები, ახალგაზრდული ფლანგის წარმომადგენლები

5 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ირაკლი ალასანია რუსული პროექტია?!

## რუსეთის პოლიტიკური ელიტა ირაკლი ალასანიას საქართველოს მომავალ ხელისუფლად თვლის

„საერთო გაზეთი" ადრეც წერდა, რომ მზადდებოდა ბლოკი „რესპუბლიკელები", პლუს „ნაციონალები", პლუს „ალასანია" და ეს ბლოკი ჩანასახოვან სტადიაში უკვე აღარ არის და პირველი ნაბიჯებიც უკვე გადაიდგა ამ ბლოკის ფორმირებისთვის. მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ ირაკლი ალასანიას პოსტიდან მოხსნა და ამ მოხსნასთან დაკავშირებული პერიპეტიები, არამედ ისეთი აქციებიც, რომლებიც მოჰყვა ჩვენი მარადიული ოპონენტის რუსეთის მხრიდან. პრესაში რამდენიმეჯერ გაკრთა ინფორმაცია, რომ რუსეთი აღფრთოვანებულია ალასანიას მოღვაწეობით და ბედნიერები იქნებიან თუ ალასანია საქართველოს ხელისუფალი გახდება, ეს საკითხი მარტო დღეს არ დამდგარა, რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ალასანიას მიმართ სიმპატიები ყოველთვის იყო, მაგრამ ეს სიმპატია გაიზარდა მას შემდეგ, რაც 2008 წელს სააკაშვილსა და ალასანიას შორის მოხდა დაპირისპირება აგვისტოს ომის თაობაზე. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი ალასანიას თვლის თავის კაცად, ხოლო ალასანიას პოლიტიკის მიმდევრებს რუსულ პროექტად. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, რუსეთის პოლიტიკური ელიტა ირაკლი ალასანიას მომავალ ხელისუფლად თვლის. დიახ, რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რომ ხელისუფლებაში ირაკლი ალასანია ვიხილოთ. ალასანია რუსეთის კაცი და ფავორიტია.

კი, მაგრამ, რას უყურებს ამ დროს ამერიკა? ეს კითხვა ლიად ჩნდება და ამ კითხვის გაჩენა სრულიად ბუნებრივია, როცა ალასანიასმაგვარ თემებზე იწყება ხოლმე საუბარი. საკითხის საილუსტრაციოდ მკითხველს გავახსენებთ, რომ 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" დროს სანამ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი არ ჩამობრძანდა საქართველოში, მანამ ამ რევოლუციას საშველი არ დაადგა. ასევე ხშირია ამერიკის საელჩოს მაღალჩინოსნების გამოჩენა მაშინ, როცა „რუსული პროექტები" იმარჯვებენ , რუსეთიცა და ამერიკაც მუდმივად ცდილობს ხაზი გაუსვას იმას, რომ ესა თუ ის ნაბიჯი შეთანხმებულია მეორე მხარესთან , სადღაც გავიგონე, რომ საქართველოში ორი რეალური ძალა არსებობს, — ერთი არის ყოფილი კაკებეშნიკები, რომლებიც უკვე გახდნენ ცერეუშნიკები, და მეორე ძალა, ეს არის კაკებეშნიკები, რომლებსაც ძალიან წყდებათ გული, რომ არ არიან „ცერეუშნიკები". თუ კარგად დავაკვირდებით პოლიტიკურ სპექტრს დავინახავთ, რომ ამ ფრაზის ავტორი სიმართლის რაღაც მარცვალს გულისხმობდა, როცა ასეთ რამეს ამბობდა.



რაც შეეხება თავად ირაკლი ალასანიას, ის დაბადებულია 1973 წელს, ანუ რუსულ უშიშროებასთან შეთანხმების გარეშე ის ვერ შეძლებდა გამხდარიყო სერიოზული ფიგურა, იმდენად სერიოზული, რომ მერე მოხვედრილიყო იგორ გიორგაძესთან სამსახურებრივად დაახლოებულ პირთა შორის, (ალასანია იგორ გიორგაძეს ნათლულია, როგორც ვიცით, იგორ გიორგაძემ ის თავის მოადგილედ წაიყვანა), ალასანიამ დიდხანს იმუშავა ასევე უშიშროების ექსმინისტრ ვალერი ხაბურძანიასთან, რომელიც მოგეხსენებათ, ასევე რუსულ პროექტად ითვლება და ითვლებოდა ყოველთვის. ასე რომ, „ცერეუს", როგორც არ უნდა გულით ნდომოდა რომ დაემალა, მაინც უამრავ კომპრომატს მოძებნიდა ალასანიასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, პირიქით, ალასანია „ცერეუს", იმიტომ დასჭირდა, რომ სხვა სიკეთეებთან ერთად მისი რუსულ ჩეკისტური კონტაქტებიც გამოეყენებინა.

ჩვენი წყაროს თქმით, ზოგადად, ბოლო ხანებში, რუსულ-ამერიკულ სპეცსამსახურებში ერთი უცნაური რამ შეინიშნება. მესამეხარისხოვან ქვეყნებში ძალიან ხშირია, როცა რუსული სპეცსამსახური სადაზვერვო ინფორმაციას ჰყიდის, ან პირდაპირ ჩუქნის ამერიკულ სპეცსამსახურებს, ასევე ძალიან ხშირია პირიქით, როცა ამერიკული სპეცსამსახური ხან თვეობით ნაძებნ და ძვირადღირებულ ინფორმაციას გადასცემს რუსეთს. ასე რომ, ნურავის გაუკვირდება ის ფაქტი, რომ ალასანიას რუსები, მართალია, თავის კაცად თვლიან, მაგრამ ამბობენ, რომ ის არის ამერიკული პროექტი (მეორეც, პირდაპირ ხომ ვერ იტყვიან ალასანია ჩვენი კაციაო, ამერიკული პროექტი შირმაა და მეტი არაფერი), შეიძლება ის იყოს მართლაც ამერიკული პროექტი, მაგრამ შეთანხმებული რუსეთთან, ხოლო რუსეთთან შეთანხმებული ამერიკული პროექტი მთლად თავანკარა, ან ბაჯაღლო ამერიკულ პროექტად არ უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება ამერიკელებს, კარგა ხანია, რაც რუსებს წითელ კვერცხებს უგორებენ და ყველაფერზე თანახმანი არიან, ოღონდ უკრაინის საკითხში რუსებმა ცოტა მაინც მოუსმინონ ამერიკელებს, ამდენად ისინი მარტო ალასანიას კი არა, ცხონებულ გილაევსაც კი დაუძახებენ ამჟამად ამერიკულ პროექტს, თუ ეს ოდნავ მაინც შეცვლიდა სიტუაციას უკრაინის ფრონტზე.

**ლიკა გვაზავა**

# რიგითი ქართველების რჩევა-დარიგებანი უკრაინელებს

უცნაური ხალხი აღმოჩნდნენ უკრაინელები, ძალიან უცნაურები და კიდევ, ძალიან გულუბრყვილოები.

რაც შეეხება პეტრო პოროშენკოს, როდესაც ნიო-იორკში მისი სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა პედოფილიის ბრალდებით, მომჩივანი, ამჟამად აშშ-ის მოქალაქე ანი ლობერი იყო, რომლის თქმითაც არასრულწლოვანი მომავალმა პრეზიდენტმა შეაცდი-



ნა და მიატოვა. პოროშენკოს ინტერესებს ამერიკელი ადვოკატი ალან დერშოვიცი იცავდა. სასამართლომ პოროშენკო გაამართლა. (რატომღაც, პირიქით რომ მომხდრიყო...) დავუშვათ, ბრალდება მართლაც არ შეეფერებოდა სიმართლეს, მაგრამ პოროშენკოს მეუღლემ ისეთი გამამართლებელი არგუმენტი თქვა, სწორედ რომ გადასარევი ამბავია — მის წინააღმდეგ ეს ბრალდება წმინდა წყლის აბსურდია, რადგან პეტრო ტრავმის შემდეგ იმპოტენტია და ქალთან სქესობრივი აქტის შესრულება არ შეუძლიაო. აბა, თქვენ რომ სამი შვილი შეგეძინათ და სწორედ ტრავმის შემდეგო? — ჩაეძიენ ჟურნალისტები. ისინი თავისუფალი უკრაინის შვილები არიანო...

ჰოდა, თავისუფლება პირველი პირის ოჯახიდან დაწყებულა და კი იქნებიან ახლა ყველანი ყველაფრისგან თავისუფალ უკრაინაში...



ნათქვამია, „სხვისი ჭირი, ღობეს — ჩხირიო" და მითუმეტეს, როცა საქმე საქართველოში მოძულებული „ნაციონალების" აქამდე მეგობრად დანიშნულ უკრაინაში აღზევებას ეხება, ჰოდა, შაყირობს ხალხი საქართველოში და რჩევებსაც აძლევენ „ნაცმოძრაობის" მეგობარ უკრაინელებს:

მადლობა უკრაინის ხელისუფლებას ჩვენი სამშობლოდან ნაგვის გატანისთვის, მაგრამ ასე სათითაოდ თუ ზიდეს, ბოლომდე როდის გაზიდავენო?

მართალია, ქართველებს არ გვაქვს გაზი და ნავთობი, მაგრამ სანაცვლოდ, 5 მილიონიან ერს იმდენი კარგი კადრები გვყავს, 48 მილიონიან უკრაინას ვამარაგებთ ჩვენი „დუბლებითო";

იმ ერს რა ვუთხარი, კვიტაშვილის გამო საკუთარ კონსტიტუციას რომ სულში ჩააფურთხებსო;

ორ წელში მიხვდებიან უკრაინელები რომ დიდი ნეხვი ჭამეს,



მაგრამ ეს დედამო...ული „ნაცები" უბრალო უკრაინელ ხალხს გადაგვკიდებენ, როგორც რუსების შემთხვევაში გააკეთესო;

იანკები ისეთს გვიჩალიჩებენ ჩვენც და უკრაინასაც, რუსეთი სანატრელი გაუხდება ჩვენ შვილიშვილებსო;

9 წელი, ალბათ, გაქაჩავს უკრაინის „ფერადი" მთავრობა, მერე, თუ არ გამოუჩნდათ ბედკრულ უკრაინელებს ადგილობრივი ივანიშენკო, მოგვადგებიან და ივანიშვილს მოგვთხოვენ, ხარჯი — ხარჯია, ახლა ეგ გვათხოვეთო;

„სექენდ ჰენდ" მთავრობაც თუ არსებობდა, არ ვიცოდიო;

საქართველო უკრაინის დახმარებით წარმატებით ჩაერთო პროექტში „ნაგვის გადაყრა მარტივიაო";

„რუსთავი-2" რომ უკრაინაში გადაიტანონ, რა აზრის ხართო;

მოვუწოდებთ უკრაინელ ხალხს: გონს მოდით, თორემ დაიღუპებით! მოიცილეთ ფაშისტური ამერიკა პოროშენკოებიანადო;

ახლა კი, საქართველოში დარჩენილი და უკრაინაში დაუსაქმებელი „ნაციონალების" ბედით შეწუხებული ქართველების რეკომენდაციები და „ინფორმაციები", რომელიც „Facebook"-ით ვრცელდება

პოროშენკოსთვის უკითხავთ, ირმა ნადირაშვილი რატომ არ მიგყავსო? პოროშენკოს უთქვამს, ჩვენ ჩვენი ჩერნობილიც გვეყოფაო, მაგრამ კახი კალაძის რეკომენდაციით, ირმა ნადირაშვილი კიევის აბანოების მმართველად დაინიშნება, „პადოშა" — სერგეი ბუბკად, მაია ორჯონიკიძე — ლესია უკრაინკად, ხოლო ნოდარ მელაძე ლვოვის პრეზერვატივების ფაბრიკაში მიჰყავთ ყალიბად; სერგო კაკალაშვილი — მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, ერეკლე დეისაძე — სასკოლო სახელმძღვანელოების საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ; გრიგოლ ვაშაძე — კიევის საბალეტო დასის ხელმძღვანელად; დათა ახალაია — უკრაინის ომბუდსმენად; სოსო თოფურიძე — კიევ-პეჩორის მიტროპოლიტად; ხათუნა გოგორიშვილი — უკრაინის „ადგილის დედად"; თეა თუთბერიძე — უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის



პრეზიდენტად. უკრაინის კონოცენტრის ხელმძღვანელად მეგის ქარდავა, ხოლო კობა ხაბაზი უკრაინაშიც ყ...დ არის დანიშნულიო;

**გიორგი ჩხეიძე**

3 gv.

საუბრობენ და პასუხს ვერავინ სცემს, ანუ ბალანსი არის დარღვეული, ამაზე მაქვს საუბარი. მე მიჩნდება პროტესტი – რატომ არა ჩვენ და ისინი კი. თუ ჩვენ არა, მაშინ მათაც ნუ მიიწვევენ.

თუ ასეა საქმე, მაშინ ქალბატონმა ინგამ აღიაროს, რომ „ნაცმოძრაობის" მხარდამჭერია.

ჩვენ მიუკერძოებლები ვართ, ყველას მიმართ გამოვთქვამთ პროტესტს და წინააღმდეგობას ვინც იმსახურებს, „ნაციონალებსაც" ვგულისხმობ, „ოცნებასაც", ბურჯანაძესაც და სხვებსაც.

**– „ობიექტივიც" არ გიწვევთ?**

– არა. თუმცა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პრობლემა არ არის. საკმაოდ გვაქვს ათვისებული ფეისბუქსივრცე და ჩვენს შეხედულებებსა და აზრებს ასე გადავცემთ მოსახლეობას.

მოკლედ, ჩვენ მაინც ველაპარაკებით ხალხს იმის მიუხედავად, რომ ტელევიზიებში გვბლოკავენ. აქუბარდია საერთოდ ვერ მიტანს. რაც ბიჭები დაიჭირეს მის ტელევიზიაში, მას შემდეგ.

**– ახალ აქციებს ვაპირებთო, წეღან მითხარით. კონკრეტულად რას გააპროტესტებთ?**

– მიშა სააკაშვილის დაბადების დღეზე ვაპირებთ აქციის ჩატარებას ბიბლიოთეკასთან. გვინდა საზოგადოებამ იცოდეს მიშას ბიბლიოთეკის არსი რა არის. ამ ბიბლიოთეკისთვის სააკაშვილის სახელის დარქმევა რაღაც არასახარბიელო იდეურ დატვირთვასა და კომუნისტურ ელფერს ატარებს, როგორც „იმელის" შენობა – „èì åí è Ëåí èí à". რატომ უნდა იყოს ეს ბიბლიოთეკა ასოცირებული სააკაშვილის სახელთან. იყოს, მაგალითად, ჩვენი გამორჩეული პრეზიდენტის – **ზვიად გამსახურდიას** სახელობის.

**– სააკაშვილმა საკუთარი სახსრებით დააარსა.**

– სააკაშვილს საიდან ჰქონდა და აქვს სახსრები? ჩემი და შენი ჯიბიდან, ხომ?

ამიტომ 21-ში მივალთ, „მივულოცავთ" მიშას დაბადების დღეს. ფიტულიც გვაქვს შეკვეთილი. ასე რომ, საკმაოდ დაძაბული კვირა ელით.

უკრაინის საელჩოსთანაც ვაპირებთ გავაპროტესტოთ **კვიტაშვილის** და **ზღულაძის** კანდიდატურების წარდგენა.

ორი დღის წინ ქალბატონმა **ელისო კილაძემ** მომიხსენია ფეისბუქ-კომენტარში – არ ჩანს ლადო სადღობელაშვილიო. ჰოდა, გამოვჩნდები ძალიან მალე, ასე თუ „ვენატრები" ელისო კილაძეს. ეს ქალბატონი ძალიან აგრესიულია ჩემს მიმართ და ორ შვილს ვფიცავარ, წარმოდგენა არ მაქვს, რას მერჩის. ფაქტებს დაგილაგებ, ვინ გაფინანსებს და რა მიზნითო. ჯერ ქოქოლაძე აფინანსებსო, ამბობდა, ახლა **ზედელაშვილი** და ვირაცები რომ მოხსნეს, დაფინანსება შეგიწყდაო, მითხრა. სასაცილოა პირდაპირ.

**– მართლა ვინ გაფინანსებთ?**

– საფრანგეთში ცხოვრებისას გრანტი მოვიპოვე. ის ჩემი საკუთარი თანხა იყო და შემეძლო სურვილისამებრ დამეხარჯა. ეს თანხა ჩემს ორგანიზაციას მოვახმარე.




**ბურჯანაძე** გაფინანსებს, რუსეთი გიდგას მხარში, ქოქოლაძე და ვილაცებიო, სიმართლე კი ისაა, რომ ჩემია ეს თანხა, ჩემი! და არ მოვისვენებ, სანამ „ნაციონალები" არ მოშორდებიან ამ ქვეყანას.

მე მარტო არ ვარ. ორგანიზაციაში 500-მდე წევრია. ჩვენ შევძლებთ ჩვენი მიზნის განხორციელებას.

**– ლადო, წეღან ზვიად გამსახურდია ახსენეთ და ნემო ბურჭულაძის ვაჟმა – მუხრან**




**ბურჭულაძემ ზვიად გამსახურდია და მიხეილ სააკაშვილი ერთმანეთთან გააიგივა, ამაზეც გქონდათ მწვავე რეაქცია. საიდან მოიპოვეთ ასეთი დეტალური ინფორმაციები ნემო ბურჭულაძესა და მის ვაჟზე?**

– ისევ გრიგოლიას გადაცემას მივუბრუნდები, სადაც მოღალატე, კაგებეშნიკი ნემო ბურჭულაძის ვაჟი გამოდის და სააკაშვილს გამსახურდიას ადარებს. ნემო ბურჭულაძის ისტორია, ალბათ, იცით.

**– რას გულისხმობთ?**

– მე მყავს უფროსი მეგობრები, **ზვიად გამსახურდიას** თანამებრძოლები. დაახლოებით 10 ადამიანი არსებობს, რომლებიც ნებისმიერ მომენტში ამხელენ ნემო ბურჭულაძეს იმაში, რომ მან 1992 წელს ზვიად გამსახურდია, როდესაც ჯოჰარ დუდაევთან იმყოფებოდა და დუდაევმა ზვიადს გადასცა ეროვნულ მოძრაობაში შეგზავნილი კგბ-ს მიერ დავერბოვკებულთა სია, ერთ-ერთი იყო ნემო ბურჭულაძეც. ნემო ბურჭულაძეს ულიარებია კიდევაც ეს ე.წ. ბუნკერში ყოფნისას.

მისი ვაჟი მუხრანი „ნაცმოძრაობის" ერთ-ერთი ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერია. მან განაცხადა სამარცხვინო რამ – როგორც ზვიად გამსახურდია იდევნებოდა, ისე იდევნება სააკაშვილიო.

როგორი უნამუსო უნდა იყო, ეს რომ თქვა – ზვიადმა დაიხსნა ქვეყანა და დამოუკიდებლობა მოგვაპოვებინა, სააკაშვილს უბედურების მეტი ამ ქვეყნისთვის არაფერი მოუტანია. დაკარგული ტერიტორიები მთავარია მის ნამოქმედარში.

ეს კურდღელი აქ ჩამოსვლას ვერ ბედავს, ხან უკრაინაში დაჯირითობს, ხან სარფთან მოუახლოვდა საქართველოს იმის შიშით, რომ გალიაში არ გამოამწყვდიონ და სასამართლოს წინაშე არ აგოს პასუხი ქართველი ხალხის მიმართ ჩადენილი ბოროტმოქმედებების გამო.

ეს **მუხრან ბურჭულაძე** ჯერ კიდევ მერაბიშვილის ზეობის დროს ცნობილი იყო, როგორც პოლიციის აგენტი. დადიოდა თავის უბანში და მეზობლების ჩაშვებით იყო დაკავებული. ჩემთვის ცნობილია, რა ჩაიდინა მან ბახტრიონის ქუჩაზე, სადაც ცხოვრობდა და სადაც ახლა არ მიესვლება. მან თავისი ბავშვობის მეგობრები დააჭერინა. სერიოზული წლები მიუსაჯეს იმ ახალგაზრდებს და სააკაშვილის ჯურღმულებში ჩაყარეს. ეს ადამიანი გამოდის დღეს ტელევიზიით და სააკაშვილის და გამსახურდიას შედარებას აკეთებს. ეს ისეთი შეურაცხყოფაა, თითქოს დედა შეეგინებინოთ ჩემთვის.

თვითონ ნემო ბურჭულაძეზე თურმე იმ პერიოდში იყო ასეთი პალინდრომი: „მელამ გაათხელა, ბურჭულაძემ ალოკაო". მელას შევარდნაძეს ეძახდნენ, მოგეხსენებათ.

თუ არ გაჩერდებიან ეს ნომრიანი აგენტები, ვპირდები, მეტ ინფორმაციას დავუდებ. დოკუმენტურ ინფორმაციებს.

თუ ჩემი ინფორმაციები არ არის ზუსტი და გახლავთ სიმართლეს მოკლებული, გამოვიდოდნენ აქამდე ან მამა ან შვილი და გაიმართლებდნენ თავს, მაგრამ რა უნდა თქვან, როცა სიმართლეა რასაც ვლაპარაკობ.

აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი, რა საშინელი ნაც-გოშიაც არის მუხრან ბურჭულაძე, ის და მამამისი მიშას უდგანან გვერდით, არადა, რომ ჰკითხო, ეროვნული მოძრაობიდან მოდიან. ასეთები არიან: ოჩიაურები, ეკა ხერხეულიძე, ბოცო წიკლაური, დოდონა კიზირია. ესენი არცხვენენ, ჩემი აზრით, წმინდა ეროვნულ მოძრაობას.

მეკითხებიან: რატომ ვერ იტან სულიერად „ნაცმოძრაობასო"?! ჯერ ერთი, ასატანიც არ არიან და მეორეც, მათი საცეცები პირადად მომხვდა და კარგად ვიცი, რა დამანგრეველი და მოღალატე ხალხია.

2006 წელს გირგვლიანის მკვლელობის გაპროტესტება რომ დავიწყე, პრობლემები შემექმნა სამსახურში. „საქართველოს ბანკიდან" გამომაგდეს, როცა საკმაოდ პერსპექტიულ თანამშრომლად ვითვლებოდი. სხვაგან მივედი, იქ მერაბიშვილი ყოფილა მეწილე და იქიდანაც გამომიშვეს, „წინააღმდეგობის მოძრაობაში" გავაქტიურდი, ჯერ რამდენიმეჯერ დამიჭირეს, მერე სახლში მოვიდნენ და მითხრეს: დაწყნარდი, თორემ ციხე არ აგცდებაო. ამის შემდეგ წავედი საფრანგეთში. როგორ შეიძლება „ნაციონალებს" ვიტანდე, რომლებმაც ჩემს სამშობლოში ყოფნის ხუთი წელი წამართვეს?

საფრანგეთი კარგია, მაგრამ საქართველო ჯობს, ჰოდა, ჩამოვედი აქ და ვილაც „ზონელები" მასწავლიან მე, რა ჯობს და რა არა?!

**ირანდა კალანდაძე**

**593 56 11 18**

## პარლამენტი წლის ბოლომდე „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონს დაამტკიცებს



პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონპროექტს განიხილავს, - ამის შესახებ კომიტეტის წევრმა ირაკლი ჩიქოვანმა საინფორმაციო-ანალიტიკურ პორტალ „კვირას" პრესკლუბში ისაუბრა.

„შემუშავებულ კანონპროექტთან დაკავშირებით შეხვედრები იყო არასამთავრობო სექტორთანაც. ახალი კანონპროექტის შემუშავების მიზეზი და მიზანი იყო ის, რომ ჩვენ საიდუმლოების ნაწილში აქტიურად ვთანამშრომლობთ ნატოსთან და აქ ქართული მხრიდან ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობების მოქნილობა უნდა გაჩენილიყო. ამ რეჟიმს ჩვენი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა. დღეს ეს რეალობა გვიდგას. ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში გვიწევს საიდუმლო ინფორმაციის გაცვლა, რომელიც დაკავშირებულია ნატოს მისიის ფარგლებში კონკრეტულ საბრძოლო და კონკრეტული კონტინგენტის მოქმედებებთან. შემდეგ კვირაში, სავარაუდოდ, რიგგარეშე სესია დაინიშნება და ამ კანონს წელსვე მივიღებთ",- განაცხადა ირაკლი ჩიქოვანმა.

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონპროექტის ავტორი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილია. საკანონმდებლო ინიციატივის ავტორის განმარტებით, კანონპროექტი არეგულირებს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევასთან, მის დასაიდუმლოებასა და დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში. მისივე თქმით, კანონპროექტზე კომიტეტი სპეციალურად შექმნილ კომისიასთან ერთად 14-15 თვის განმავლობაში მუშაობს. მასში ასახულია შესაბამისი უწყებების მიერ გამოთქმული შენიშვნების უმეტესი ნაწილი.



# სოსო მანჯავიძე:

# სააკაშვილის დაპროექტებულ გზას თუ გავყვებით ისევ სააკაშვილამდე მივალთ

„საერთო გაზეთი“ საკრებულოს დეპუტატს **სოსო მანჯავიძეს** ესაუბრა.

**— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებდით ბოლოდროინდელ საკადრო გადაადგილებებს, თანამდებობა არაერთმა ჩინოვნიკმა დატოვა... უნდა ველოდეთ თუ არა სამთავრობო ცვლილებებსაც?**

— საქმე იმაშია, რომ საქართველოს ფაქტობრივი მმართველი დღეს არის ბატონი ბიძინა ივანიშვილი. მისი ავტორიტეტის, წარსულის, ქართული ოცნების ჩამოყალიბებაში შეტანილი წვლილის, სააკაშვილის რეჟიმის დამთავრებისა და ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მის გარეშე გადაწყვეტილებების მიღება საქართველოში ვერ და არ ხდება. ვიმეორებ, ივანიშვილის გარეშე გადაწყვეტილების მიღება ქვეყანაში მნიშვნელოვან საკითხებზე არ ხდება. ისმის კითხვა, მაშინ რაღატომ მიდიოდა ხელისუფლებიდან და ველი თუ არა ხელისუფლებაში მის დაბრუნებას ? აი, ეს უცნობია, არ ვიცი რატომ მივიღეთ ასეთი სურათი, რატომ წავიდა, თუმცა ეტყობა, რომ ჰქონდა ამის მიზეზი, რომელიც საზოგადოებამაც არ იცის. ვფიქრობ, ივანიშვილი ხელისუფლებაში დაბრუნდება, დიახ, ასე მოხდება, ვინაიდან არ შეიძლება ქვეყანაში გადაწყვეტილებების მიმღებ პირს არ ჰქონდეს პასუხისმგებლობა. ივანიშვილის ხელისუფლებაში დაბრუნების გარდა „ქართული ოცნებისთვის“ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, ვინაიდან ძალიან ღრმა კრიზისში შევიდა ვითარება.

**— და მაინც, რამ გამოიწვია ეს კრიზისი?**

— მთელმა რიგმა გაუგებრობებმა, რომელთაგან პირველი უკვე გითხარით. მეორე, თუ გახსოვთ მე იმ თავითვე ვამბობდი, რომ სააკაშვილის მიერ დატოვებული ქვეყნის მოწყობის მოდელი, რომელიც ასახული იქნა ათასნაირად გაკერილ და გადაკემსილ კონსტიტუციაში, არის მორგებული მხოლოდ სააკაშვილზე და იმ მომავალი პოლიტიკური ცხოვრების ხედვაზე, რომელსაც თავისთვის იმზადებდა ნაციონალური მოძრაობა, რაც ქართულმა ოცნებამ არ შეცვალა. აი, ეს მოდელი კი, აუცილებლად გამოიწვევდა სახელისუფლებო შტოებს შორის გაურკვევლობებს, დაპირისპირებებს, შესაბამისად, კრიზისებს. დაუყოვნებლივ უნდა იქნას გადახედილი ეს მოდელი, ნუ მივყვებით პირდაპირ სააკაშვილის გაჭრილ კალაპოტს, ვინაიდან ეს კალაპოტი მიგვიყვანს კოლაფსამდე. აი, ამით უნდა დაეწყო ხელისუფლებას, უნდა დაეწყო რევიზია იმისა, რაც დატოვა სააკაშვილმა!

მაგალითად, ავიღოთ ყბადაღებული კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომლის მიხედვითაც იხარჯება ბიუჯეტის მთელი ხარჯვითი ნაწილის 80%. ტენდერები ცხადდებოდა გარკვეული ელექტრონული წესით, აქ მზად ჰქონდათ სქემა, ჰყავდათ კონტროლირებადი ფირმები, რომლებიც იგებდნენ ამ ტენდერებს. და ეს ტენდერები როგორაა მოწყობილი, ერთადერთი კრიტერიუმი ფასია, რაც სრული აბსურდი და სისულელეა, ვინაიდან აქ ხარისხი ვერ კონტროლდება. ამ ტენდერებში. მუდმივად იმარჯვებდნენ ერთი და იგივე ფირმები, შეიქმნა ეს ტრადიცია. პროკურატურა ბუნებრივია, საქმის კურსში იყო და ასრულებდა ხელისუფლების ნებას, საკმარისი იყო რამე სააკაშვილს, ან მის გუნდს არ მოწონებოდა, რომ იმ მეწარმეს მაშინვე იჭერდნენ და მიატანინებდნენ ფულს, შემდეგ კიდევ მიცემდნენ ტენდერში გამარჯვების საშუალებას და ა.შ. და ა.შ. აი, ასე იმართებოდა ყბადაღებული სააკაშვილის სისტემა. ახლა იგივე სისტემა დარჩა. სისტემამ განიცადა კრახი, სისტემა გაჩერდა. სწორედ ამ მანკიერი სისტემის გაჩერებას ამუნათებენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ქართულ ოცნებას. ქართულ ოცნებაში კი, ნაკლებად არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ახსნიან სიტუაციას და იტყვიან სინამდვილეში რა და რატომ ხდება, ასევე იტყვიან იმას, რომ საჭიროა ამ სისტემის რეფორმირება.

**— კი მაგრამ, ადამიანი არ არსებობს ხელისუფლებაში, ვინც ამ პრობლემას აღმოფხვრის?**

— აი, არსებობს ადამიანი და გელაპარაკება კიდეც... ამან გაანადგურა ქართული ფირმები, ფაქტობრივად, არაკონკურენტუნარიანი გახადა, გახსნა საქართველოს ბაზარი სუბსიდირებული ჩინური ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ უზარმაზარ სახელმწიფო შეკვეთებს. ნახეთ, რა მდგომარეობაა იგივე თბილისი-ბათუმის ცნობილ მაგისტრალთან დაკავშირებით, ვერაფრით ხერხდება სამუშაოების დაწყება, უკვე 2 წელია...ვერაფრით ხერხდება ამ ინფრასტრუქტურული პროექტების გაკეთება, მიუხედავად იმისა, რომ არის იგივე დაფინანსება. რას აკეთებს ინფრასტრუქტურის სამინისტრო ამ დროს? აი, ამ, ზემოთ აღნიშნულ პრობლემებშია მოხვედრილი ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ყველა სამინისტროც. პროფესიონალების ნაკლებობაც არის, შიში არის გადაწყვეტილების მიღების დროს, უინიციატივობაც. ეს სისტემა საერთოდ გადაწყვეტილების მიღების სტიმულირებას არ ახდენს, ამიტომაც პრობლემებია. ამის გარდა სხვა რამესაც შევხედოთ. რა ხდება მაგალითად, საკრებულოებში და გამგეობებში. გამგეობები გადაქცეულია სოციალური დახმარების სააგენტოებად. არავითარი დისკრეცია მათ არ აქვთ, ანუ გადაწყვეტილებებს ადგილზე ვერ ღებულობენ, მაგ, ავიღოთ რაიონები, გლადანი, სამგორი და ა.შ. უზარმაზარი რაიონებია, ნებისმიერ რამეზე, ხეების გადაბელვაზეც კი ტენდერს აცხადებენ, ვინაიდან აღარავინ ბელავს ხეებს, არც ამ ტენდერებში მონაწილეობს, იმიტომ, რომ ფირმებს სამუშაოს შესრულების ეშინიათ. დაბალი ფასებია, არ არის მომგებიანი მათთვის იმ რისკების გათვალისწინებით, რომ შეიძლება შეამოწმონ და ა.შ. და ა.შ. ამიტომ ღებულობენ გადაწყვეტილებას გამარტივებული წესით ტენდერების გამოცხადების. ეს იხსნებოდა გარკვეული ფორსმაჟორული სიტუაციით, ჰოდა, მომავალ წელსაც ასე გაგრძელდება თუ ეს სისტემა არ შეიცვალა და მაშინ რაღას იტყვიან ? გამოსავალი რა არის ? პირველი, ის რომ ეს კანონი უნდა შეიცვალოს, საჭიროა გაცილებით მოქნილი და ჭკვიანური მიდგომები, უნდა განისაზრვროს დონეები, უნდა განისაზღვროს პარამეტრები თითოეულ სამუშაოზე, ეს ძალიან რთული სამუშაოა. ჩვენ თუ იმას არ მივაღწიეთ, რომ ნორმალური კანონები გვქონდეს, თუ არ გავასწორეთ ეს ყველაფერი, მაშინ მუდმივად ვიქნებით. იმ ციყვის მდგომარეობაში, რომელიც გალიაში უმიზნოდ ბრუნავს და წინ ვერ მიდის.

ყველა ზემოთ იყურება და არ შეიძლება მთელი საქართველო ზემოთ იყურებოდეს. ადამიანს თუ ინიციატივას წაართმევ, ვერაფერს იზამს და მმართველობის ეს სისტემა ართმევს ამას, სისტემა, სადაც ინსტიტუციები, ანუ გადაწყვეტილების მიმღები პირები ინსტიტუციურად გაუფორმებელნი არიან და ინსტიტუციონალურად ვინც არის მაგ, პრეზიდენტი, თუ პრემიერი, იმათ არავითარი დისკრეცია არ აქვთ, არ აქვთ საშუალება. საერთოდაც ამ პოლიტიკურ გუნდს არ აქვს ერთიანი ხედვა, გაუგებარია, საერთოდ რა აკავშირებს ერთმანეთთან ქართულ ოცნებას, რესპუბლიკელებს, ფორუმს, კონსერვატორებს? დამსხდარან ერთად და რაიმე ტიპის პოლიტიკური დოქტრინა შეუმუშავებიათ? რომელი პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები არიან? ცენტრისტები არიან, მემარჯვენეები არიან, მემარცხენეები არიან თუ ვინ არიან, რომელ პოლიტიკურ იდეოლოგიას იზიარებენ? ან საერთოდ რაიმე პოლიტიკური იდეოლოგია აქვთ კი წაკითხული, საინტერესოა?

საკუთარი თავის წინაშე პასუხიმგებლობის გრძნობა ხომ უნდა გააჩნდეს ზრდასრულ ადამიანს? მით უმეტეს, პოლიტიკურ გუნდს? ხომ არ შეიძლება ეს წყდებოდეს ჭორაობის დონეზე და სუფრებზე? აი, რაშია პრობლემა. თუ გემის კაპიტანმა არ იცის საით მიცურავს, ვერც ერთ პორტში ვერ მივა. პრობლემა არის გაურკვევლობაში, ამიტომ დავიწყე ამით საუბარი. ამ კონსტიტუციით ვის რა დისკრეცია აქვს აბსოლიტურად გაუგებარია, რაც მთავარია თვითონაც არ იციან ეს. ამდენი ხანია ჩვენ ვუყურებთ ამ კინკლაობას სახელისუფლებო შტოებს შორის.დდა არავინ ამბობს, რომ ეს დაუშვებელია და ასეთი კონსტიტუციაა, რომელიც ამ გიჟმა სააკაშვილმა, ქვეყნის მტერმა და მავნებელმა დატოვა. და თუ დამნაშავედ აცხადებ იმ ადამიანს, თუ ამბობ, რომ ის საკონსტიტუციო კომისია ფორმალური იყო, მაშინ შენ რაღას აკეთებ, კაცო ყოველ დღე, რატომ კარგავ ამ დღეებს, რატომ არ ცვლი კონსტიტუციას, რატომ არ მოიწვევ პროფესიონალებს? ასეთ დროს კი, ვართ ინტრიგებში გართული ე.ი. იმან ის თქვა, იმას ის არ მოეწონა და რომ არ მოეწონა ამის შედეგად მისი ფავორიტები, უკლებლივ ყველა უნდა გათავისუფლდეს თანამდებობიდან და გათავისუფლდა კიდეც, აი, ეს არის უბედურება.



8 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს, სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს!

## ირაკლი ღარიბაშვილი, თუ ასე გააგრძელებს, ახალი უმრავლესობის მსხვერპლი აღმოჩნდება. მას არ დაინდობენ!

**გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი ᲓᲘᲛᲐ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ:**

**— ბატონო დიმა, მსოფლიოში უცნაური მოვლენები ხდება. პარადოქსია, მაგრამ რაც უფრო მეტს ვსაუბრობთ საქართველოში „ნაციონალების" დანაშაულობებზე, საერთაშორისო დონეზე მათი დაცვის კამპანია მით უფრო ძლიერდება. უფრო მეტიც, სასამართლოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომელიც ამ დამნაშავეების ბრალეულობას ამტკიცებს, საერთაშორისო თანამეგობრობა იგნორს უკეთებს და ხელისუფლებას პოლიტიკური დევნის შეწყვეტისკენ მოუწოდებს. რას ნიშნავს ეს? ქართველ ხალხს აბუჩად გვიგდებენ?**

— ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ ყველგან ჩიხი, ვაკუუმია და ქართველი საზოგადოების მოთხოვნა, მათ შორის, ეროვნულ დონეზე გასამართლდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ მოქმედი პოლიტიკური რეჟიმი მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა რჩება. ასევე, ვანო მერაბიშვილის, გიგი უგულავას ან დაუსწრებლად ბრალდებულ პირთა მიმართ გამოტანილ საბრალდებო დასკვნებთან დაკავშირებით საქართველოში განცხადებები კეთდება, რასაც ევროკავშირისა თუ ევროსაბჭოს ინსტიტუტებიდან სრულიად არაადეკვატური გამოხმაურებები მოჰყვება, მათ შორის, ევროსაბჭოს ისეთი დიდი ფრაქციიდან როგორიცაა, „ევროპის სახალხო პარტია", რომელიც ქართული საზოგადოებრივი აზრის მიმართ დაუნდობელია. მათ საერთოდ არ აინტერესებთ რას ნიშნავს წართმეული ქონება, მოსპობილი სიცოცხლე, დამახინჯებული ჯანმრთელობა. მათ, ეს კატეგორიები, არ ესმით. ევროპის საბჭოს, ევროკავშირის ინსტიტუტების მხრიდან აღშფოთება და შეშფოთება გვესმის იმასთან დაკავშირებით, ხომ არ ირღვევა ქვეყანაში ადამიანის ფუნდამენტალური უფლებები და ხომ არ ხორციელდება დევნა პოლიტიკური ნიშნით. გამოდის, მგლის შიშით ცხვრის გაწყვეტა გვაქვს ჩაფიქრებული?! სიტუაციის გამოსასწორებლად საკმარისია ხელისუფლებაში იმ გუნდის მოსვლა, რომელიც საკუთარი სიცოცხლის, ჯანმრთელობის რისკის ფასად შეძლებს ქვეყანაში არსებული ორგანიზებული დანაშაული და მაფია დაამარცხოს, რომლის მოჭრილი კუდი საქართველოში, დღეს, ძალიან აქტიურად ფართხალებს, ხოლო მისი თავი და ტანი კომფორტულად განისვენებს ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე და იქედან მართავს პროცესებს, მათ შორის, დღევანდელი ხელისუფლების წიაღშიც. შედეგად, მომსწრენი ვართ გაუთავებელი საკადრო პოლიტიკის, ვერშემდგარი და დაუსრულებელი პროცესების და ა.შ. გავიხსენოთ, ლაშა ნაცვლიშვილი, რომელიც მაფიისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში მთავარ მოქმედ გმირად გვევლინებოდა, მაგრამ ქვეყნიდან საეჭვო ვითარებაში გაუჩინარდა. ასევე, ზვიად ჯანყარაშვილი, რომელსაც გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელის პოსტზე მუშაობის დროს რეპუტაცია შეელახა, რაც საბოლოოდ, მისი ქვეყნიდან გაძევებით დამთავრდა. ასე, რომ დღეს, საზოგადოება აბსოლუტურად დაუცველია. მნიშვნელოვან კითხვებზე არ გვაქვს პასუხები. „ქართულ ოცნებასა" და „ნაცმოძრაობას" შორის, რეალურად, წყალგამყოფი არ არსებობს. განგაშის ასატეხი გარემოებაა.



დროულად უნდა მოხდეს, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის გზით, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. ქართველი საზოგადოება იმ რეალურ ძალას მხარს დაუჭერს, რომელსაც ძალუძს ქვეყანაში არსებული ვითარება შეცვალოს.

**— ბატონო დიმა, თქვენი პარტია აქტიურად უჭერს მხარს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. ამის განხორციელების რა გზები არსებობს?**

— ვადამდელი საპარლამენტო არცევნების ჩატარებას წინ მნიშვნელოვანი საარჩევნო რეფორმა უნდა უძღოდეს. „გაერთიანებულმა დემოკრატიულმა მოძრაობამ" უსუფაშვილს წერილობით მიმართა და მის მიერვე ხელმოწერილ საპარლამენტო დადგენილების მეოთხე ნაწილის ბ ქვეპუნქტის თანახმად საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში ჩემი კანდიდატურა შესთავაზა. აღნიშნული წერილი 8 ოქტომბერს გაიგზავნა და პასუხი დღემდე არ გაუცია. დარღვეულია ყველა ადმინისტრაციული ვადა. უსუფაშვილს მოვუწოდებ, პროცესი შეგნებულად ნუ შეჰყავს ჩიხში. მითუმეტეს, როცა კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღების საბოლოო ვადა 2015 წლის 1 მარტით განისაზღვრება. თუ კონსტიტუციაში, საარჩევნო სისტემებთან დაკავშირებით, ცვლილება არ აისახა, რა თქმა უნდა, არც ვადამდელ და არც ვადისმიერ არჩევნების ჩატარებას აზრი არ ექნება. როგორც ჩანს, მოქმედი ხელისუფლება გარკვეულწილად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება. იგი ყველანაირად ეცდება ძირეული რეფორმირება არ მოხდეს, იმ საბაბით, რომ თითქოს, ვერ მოესწრო. თუ 2016 წლის საარჩევნო დღის წესრიგს განვიხილავთ, მაშინ ცვლილებები ყველა ვარიანტში უნდა მოესწროს. ვიმეორებ, ხელისუფლება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება, ამის პირობები არსებობს და არამგონია ირაკლი ღარიბაშვილს ამ კონფიგურაციით და სცენარით მოქმედება გაუჭირდეს.

დღეს გვესმის შეძახილები — ბატონო ბიძინა, პოლიტიკაში



დაბრუნდით. ჩემი აზრით, ბატონ ბიძინას, ამის შეხსენება, არ უნდა სჭირდებოდეს. მან ხომ პერსონალურად აიღო ვალდებულება?! კი ბატონო, მან პრემიერ-მინისტრად საკუთარი შვილობილი მოავლინა, ადამიანი, რომლის მიმართაც განსაკუთრებული ნდობა გააჩნია, რაც ძალიან კარგია. მეორე მხრივ, მესამე პირის ხელით, ტრანზიტულობის თვისებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მართვა და არაფორმალური ჩარევები, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესს უფრო აზარალებს. ვის, თუ არა ბატონ ბიძინას, ეს ძალიან კარგად უნდა ესმოდეს. ამის ნათელი გამოვლინებაა სწორედ ის კლანური მმართველობის მცდელობა, რომელიც ე.წ. კახელების საქმეში გამოვლინდა. როგორც სტალინი-ბერიას დროს იყო „მეგრელთა საქმე", ასე გამოიკვეთა „კახელთა საქმე". პოლიტიკურ პროცესს ძალიან დიდი დარტყმა მიადგა. საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის უნდობლობა კიდევ უფრო გაიზარდა. თუ ქვეყანაში სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისები გაგრძელდა, უბრალოდ, ის ხიდი ჩაინგრევა, რასაც „ქართული ოცნება" ერქვა, როგორც კომუნიკატორი საზოგადოებასა და პოლიტიკურ ძალას შორის. ძალა რომელიც უკვე ორი წელია კოალიციურ რეჟიმში მოქმედებს, ფაქტობრივად, უკვე დაიშალა. „თავისუფალი დემოკრატების" მერე, ეს სიმპტომი, უკვე, აშკარად, გამოიკვეთა „რესპუბლიკური პარტიის" ქმედებებითაც.

საბოლოო ჯამში, როგორც ვხედავთ, ახალი უმრავლესობის შექმნის რეალობა იქმნება, რაშიც „თავისუფალ დემოკრატებსა" და რესპუბლიკელებს" მთავარი როლი ექნებათ. ეს იქნება მონათესავე იდეოლოგიური პარტიების ერთობა, რომელიც „ნაცმოძრაობის" შემადგენლობასთან ერთად აუცილებლად, შეეცდება ძალაუფლება, უმრავლესობის რანგში, ხელში აიღოს. **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲣ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲡ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲐᲠ ᲓᲐᲘᲜᲓᲝᲑᲔᲜ.** იგი, როგორც ჩანს, ამას აცნობიერებს და ცდილობს დასწრებაზე ითამაშოს. დასწრებაზე თამაშის ერთ-ერთი მთავარი პირობა ვადამდელი არჩევნების უზრუნველყოფა და იმ გუნდის გადარჩენა გახლავთ, რომელსაც ღარიბაშვილი ფლობს.

**— ახლა თქვით, ივანიშვილს შეძახილები არ სჭირდება ისე უნდა დაბრუნდეს პოლიტიკაშიო. ანუ, დღეს ამის აუცილებლობას ხედავთ და რა შეიცვლება ამით?**

— კი, რა თქმა უნდა, ის პასუხისმგებლობას უნდა იღებდეს მთავრობაზე ზედამხედველობის კუთხით, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პარლამენტის, როგორც მაკონტროლებელი ორგანოს წინაშე. მან ყველა დაპირება უნდა შეასრულოს, რაც თავის დროზე ხალხს მისცა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბატონი ირაკლი, ხალხის თვალში, უბრალოდ, ლეგიტიმაციას დაკარგავს. იმიტომ, რომ კორუფციის, ნეპოტიზმის გამოვლინებები ნებისმიერ მთავრობას ახასიათებს, რომელსაც არ გააჩნია მაკონტროლებელი ორგანო პარლამენტის სახით, სადაც პრეზიდენტის ინსტიტუტი დასუსტებულია, სადაც სამოქალაქო საზოგადოება კონიუნქტურის მსხვერპლია და იმართება უცხო ქვეყნის გადასახადის გადამხდელთა ჯიბიდან. ეს ის

8 gv.

# სოსო მანჯავიძე: სააკაშვილის დაპროექტებულ გზას თუ გავყვებით ისევ სააკაშვილამდე მივალთ

6 gv.

**— ვის არ მოეწონა, პირდაპირ თქვით... მუდმივად იმას გაიძახიან, ღარიბაშვილი შეასუსტესო...**

— რა თქმა უნდა, გასაგებია, რომ ის სანათესაო და სამეგობრო ჯგუფი, რომელიც იყო ღარიბაშვილის გარშემო მოყვა „ოპალაში". უეცრად მთელი 40 კაცი, თუ არ ვცდები 40, „გადადგა", უამრავი ადამიანი უეცრად თავის ნებით წერს განცხადებას.

რაღაც მოხდა, რა არ ვიცი, თუმცა ამას მოჰყვა ჯანყარაშვილის კადრების წასვლა სახელმწიფო აპარატიდან. ისინი მოიაზრებოდნენ ღარიბაშვილის კადრებად ამას, არც არავინ მალავდა. დიახ, რაღაც სერიოზული მოხდა, ეს რაღაც ჩვენ არ ვიცით, ამბობენ, ფინანსებს უკავშირდებაო, თუმცა არავინ იცის სინამდვილეში რას უკავშირდება, ვინ იყვნენ იქ კონფიდენტები და ა.შ. ზუსტად არავინ იცის ეს, მაგრამ ვხედავთ, რომ სადღაც საიდუმლო ვითარებაში მოხდა რაღაც შავ აფეთქებასავით და ამას უამრავი ადამიანის, უმაღლესი თანამდებობის პირების წასვლა მოჰყვა. გასაგებია, რომ ყველა ივანიშვილის კადრით ჩანაცვლდება, რა დიდი ვანგა უნდა იყო, რომ ამას მიხვდე.ეე.ი. ერთი ფავორიტები ჩაიხსნენ, ახლა სხვა ფავორიტები მოდიან.აახლა კითხვას ვსვამ, ეს ნორმალური ვითარებაა? ასე შეიძლება ქვეყანა განვითარდეს?

არავითარი ინვესტიცია ქვეყანაში ამ ფონზე არ შემოვა. თანაც აქეთ რუსეთია ჩასაფრებული, მოკლედ, მძიმე ვითარებაა, მძიმე. დიახ, აქედან ეს იძახის ახლა მე შენ ჩამოგაგდებ, ესენი კი იძახიან არ ხარ შენ სერიოზულიო და ამ დროს ვინ მოვა, რომელი ევროპელი შემოვა აქ? და ეს სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტის შედეგია. როგორ შეიძლება ასეთი მიდგომა, სააკაშვილის ქმედებებს უნდა მიეცეს ერთხელ და სამუდამოდ შეფასება ,უნდა მოხდეს ამის დემონსტრირება დასავლეთში, უნდა მოხდეს სახელმწიფოებრივ დონეზე ჩასვლა, ჩვენება, კონფერენციების მოწყობა, აქაც, იქაც, რომ საზოგადოებრივი აზრი ერთხელ და სამუდამოდ გადატყდეს, რომ მოვიცილოთ ეს ჭირი. შეიძლება 2 წელი ამაზე იყოს საუბარი და მაინც ერთი და იგივე შედეგებს ვლებულობდეთ და ხან რაინდის ორდერით აჯილდოვებდნენ ამ გარეწარს, სააკაშვილს და ხან რით და ხან რით. ხან ბიბისიში გამოდიოდეს და ხან სად და ხან სად, რავიცი რა. საზოგადოებრივი აზრი უნდა შექმნა, ძებნა კი არ უნდა გამოაცხადო, და ამ დროს გაირკვა, რომ თურმე, ვისაც საზოგადოებრივი აზრი უნდა შეექმანა დასავლეთში, გამოდის და აცხადებს, რუსეთისკენ მივდივართო, ალასანაიას ვგულისხმობ. გამოდის რომ, იქ, დასავლეთში არანაირი მუშაობა არ მიდის, ანუ ყველაფერი წყალში ჩაიყარა, ვინაიდან პირდაპირ დაგადეს შენმა კოალიციის წევრებმა ხელი, რომ შენ თურმე რუსეთისკენ მიიწევ. ამ დროს, არც რუსეთისკენ მიდიხარ, არც დასავლეთისკენ, გაურკვევლობისკენ მიდიხარ და იძახი, რომ ბალანს ვაწარმოებო და რის ბალანს აწარმოებ საინტერესოა, რა ბალანსი, რის ბალანსი, სად ხედავთ აქ ბალანსს.



**— ამ უმძიმეს ვითარებაში ალბათ, შავ - ბნელ ძალებსაც არ სძინავთ, საუბარია, საპარლამენტო გადატრიალებაზეც...**

— შავ-ბნელ ძალებს არასდროს სძინავთ. საპარლამენტო გადატრიალება მუდმივად მზადდებოდა და რითი უპირისპირდები? ეს ნიშნები თავიდანვე იყო, ახლა, მით უმეტეს და კრიზისი, რაც უფრო გამწვავდება, მით უფრო დასუსტდება ხელისუფლება, ეს ხომ ნათელია. რაც დრო გადის მით უფრო ნაკლებად აღქმადია არგუმენტი, რომ ნაციონალური მოძრაობის მძიმე მემკვიდრეობის გამო ვართ ასე. კი ვართ, მაგრამ უბედურება რა არის იცით, ვერ უხსნიან ნაციონალური მოძრაობის მემკვიდრეობა მძიმე თუ იყო რატომ მიუყვებიან ამ ნაციონალური მოძრაობის გზას ? დიახ, რატომ მიუყვებიან ან რატომ შეინარჩუნეს ნაციონალური მოძრაობა, როგორც პოლიტიკური ოპონენტი, თანაც ერთადერთი, დიახ, რატომ შეინარჩუნეს? ეს გაუგებრობები გროვდება საზოგადოებაში, გროვდება, გროვდება და ბოლოს ეს, აუცილებლად, პოულობს თავის გამოხატვას აგრესიული და უკმაყოფილო ფორმებით. პირდაპირ გეტყვით, ღარიბაშვილს გაუშვებენ! ახალი წლის შემდეგ უნდა ველოდოთ ამას.

მე დიდი სიმპატია მაქვს ირაკლის მიმართ და ღმერთმა ქნას, რომ ის დარჩეს ხელისუფლებისი სათავეში, გადაახალისოს გუნდი და სერიოზული გარდაქმნები დაიწყოს.

**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03

# ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს, სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს?

7 gv.

მოცემულობებია, რაც სამწუხაროდ, სიმპტომატურად ახასიათებს ჩვენს სახელმწიფოდ წოდებულ ტერიტორიას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქვეყნის საზღვრების 42% დემარკირებული არაა, ქვეყნიდან მილიონნახევარზე მეტი ადამიანია გასული, რომელთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. აჭარაში, 150 ათასი თურქეთის რესპუბლიკის მკვიდრი მოქალაქე, უკვე, აჭარის მკვიდრია. აღარაფერს ვამბობ მიწების გასხვისების საკითხში მორატორიუმის ახსნაზე, რომლის ინიციატორი გოგი თოფაძე იყო, მაგრამ სამწუხაროდ, მერე პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნა მიღებული და საბოლოო ჯამში, შლაგბაუმი კვლავ აიხსნა.

**— ზოგს, ჰგონია, რომ სააკაშვილის მეგობრობის ხათრით დაინიშნენ ქართველი მაღალჩინოსნები უკრაინაში, რეალურად, პროცესებს სულ სხვა ძალა მართავს. სწორედ ეს ძალა აწყობს ფერად თუ სისხლიან რევოლუციებს. რა ძალაა ეს და რა გავაკეთოთ, რათა ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს? როგორ გამოვიდეთ ამ ჩიხიდან?**

—ჩვენ, ინტელექტუალური პოტენციალის თვალსაზრისით, ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ძალიან დიდ რესურსი გაგვაჩნია. პირველ რიგში, აუცილებელი, რეგიონებიდან ახალი სახეების წარმოჩინებაა. ასევე, მნიშვნელოვანია პროცესში ეროვნული უმცირესობების ჩართვა. ისინი ჩვენი ორგანული ნაწილნი არიან, მათ რიგებში ბევრი პატრიოტია, რომელიც სტიგმატიზირებულია. ჩვენ, მათში ლიდერები, საქართველოს სახელმწიფოს პატრიოტები უნდა ვეძებოთ. მათ ხელი უნდა შევუწყოთ სწავლაში და ისე დავუბრუნოთ თავიანთ კუთხეებს. ამაში მესახება გამოსავალი. ახალი თაობა, ჩვენი ემიგრაციისა, ნამდვილად დასახსნელია „ტყვეობისგან", რათა მათი მენტალური გადაგვარება არ მოხდეს. ეს თაობა ჩვენს სამშობლოს უნდა დავუკავშიროთ. მხოლოდ პოლიტიკურ თანამდებობებზე ფიქრი აუცილებელი არაა. ეს ყველაფერი ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფციაში უნდა აისახებოდეს, რაც თავიდან უნდა დაიწეროს და ეროვნულ ინტერესს მოერგოს. ეროვნული ინტერესი ვიწრო ქართული გაგებით ინტერესს არ გულისხმობს. ქართული სახელმწიფო, ამ შემთხვევაში, პოლიტიკურ ერად ჩამოყალიბების ვალდებულებას უნდა გულისხმობდეს. ამიტომ ვახსენე, ამ საკითხში, ეროვნული უმცირესობების ჩართვა.



**— დღეს „რესპუბლიკელები" საკუთარ ნებას ახვევენ თავს კოალიციას, რამაც შეიძლება ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანოს. რეალური ძალაუფლება — ხალხი, ამომრჩეველი „ქართულმა ოცნებამ" ხელიდან გაუშვა. რა განვითარება შეიძლება ჰქონდეს ყოველივეს?**

— ლიბერალურმა-ინტერნაციონალმა უკვე ღიად მოუწოდა „რესპუბლიკურ პარტიას", რომ მათი ადგილი „ქართული ოცნების" ეკლექტურ გაერთიანებაში არ არის და მალე დატოვონ „ქართული ოცნება" და მათთვის მონათესავე „თავისუფალ დემოკრატებთან" გაერთიანდნენ. როგორც ჩანს, ლიბერალური-ინტერნაციონალი და ლიბერალური დასავლეთი იმედოვნებს, რომ ამ ორი პოლიტიკური ძალის შერწყმით მნიშვნელოვან დასაყრდენს მიიღებენ, რომელზეც საკუთარ იდეოლოგიას აღმოაცენებენ და განავითარებენ. მათ უნდათ, ამ გზით, ქვეყანაში სრული ცვლილება განახორციელონ. უსუფაშვილის ბოლო დროინდელი განცხადებები ქვეყანაში თავისუფლების უმაღლესი ხარისხების დამკვიდრების აუცილებლობაზე, გარდაუვალი პოლიტიკური პროცესის შედეგი იქნება, რომელსაც „რესპუბლიკური პარტია" მონათესავე პარტიებთან ერთად წარმართავს.

საბოლოო ჯამში, „ქართული ოცნება" ბალასტის ამარა აღმოჩნდება, საიდანაც ღარიბაშვილი შეეცდება, ოპტიმიზაციის გზით, საკუთარი გუნდი გამოადნოს და ბურთი და მოედანი ლეგიტიმურად გადაეცეს ნაცებს, ალასანიას და რესპუბლიკელებს. როცა ნაცები არჩევნებში დამარცხდნენ, ობამამ ამას ხელისუფლების გადაცემის დემოკრატიული გზა უწოდა. ამჟერადაც, ასე დაერქმევა. ახლა „ქართულმა ოცნებამ" ესტაფეტა ახალ ლიბერალურ უმრავლესობას უნდა გადასცეს. აქ, ამოიწურება სწორედ ივანიშვილის ფუნქცია, რაც შეიძლება დიდი კატასტროფით დასრულდეს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

„საერთო გაზეთის“ დამატება

№44, დეკემბერი, 2014 წ.

# „ათენგენიდან ყვაავთ ალვსებამდე“

## ფხოვის საკრალური დრო



კობა არაბული

### XIV წერილის დასარული

პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ და ვთქვათ: დევი უფრო რეალური და მისტიური პერსონაჟია ერთდროულად, წარღვნამდელი დროის და სამყაროს გადმონაშთი, იგი განირჩევა „ქვეცრიელისგან“ და „მზე მომსწყვრალი“ ეშმაკისგანაც, ის არის „ადამის ჟმის“ (ანუ „წინა ჟმის“) კაცთა მინაგვარი...

დევების წარღვნამდელ ჯიშს ებრძვიან კოპალა-იახსარის ტიპის ნახევრად ღვთიშვილნი, ღვთის ნასახი მეომრები — ისინი (ფხოვის ხეობაში) ამარცხებენ დევებს, როგორც უძველესი ცივილიზაციის ნაწილს და ამკვიდრებენ რომელიღაც ახალ ცივილიზაციას — იყენებენ რკინას და ცეცხლს, რომელიც დევებისთვის უცხოა.

ეს შეიძლება ნოეს ცივილიზაცია იყოს, იგი წარღვნის შემდგომ ეპოქაში მთლიანად ანადგურებს „ადამის ჟამის“ — ადამიანთა მოდგმას...

გოლიათი დევი სრულიად უძლური აღმოჩნდა ახალი ტიპის გაქექილ ნაცარ-ქექია „ჰომო ნოვუსთან“ და დაიღუპა... ისევე, როგორც ნოეს კულტურა დაიღუპა ქრისტეს წინარე და ქრისტეს შემდგომ ეპოქებში...

გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში

***

უფრო გვიანდელი დევი, რომელიც ხევსურეთის საკრალურ დროში „მოძრაობს“, სულ სხვა ფენომენია! შესაძლოა, იგი განეკუთვნებოდეს რომელიღაც გაველურებულ ბარბაროსულ „ხაზაროიდულ“ ჯიშს... რომლებიც ლუდიან კოდებსაც კი „ცლიან“ ხევსურთა სალოცავებში, იციან რამდენიმე ქართული სიტყვაც და ეშინია „ჰხუასი“, ანუ რკინის იარაღის.

ერთ-ერთი ხევსური ხანჯლავს დევს. ეტყობა, „დახანჯლული“ დევი დაიღუპა და ხევსურს დევის სისხლი (თავი) ედება. დევები მის გვარს განუწყვეტლად ემუქრებიან... ხევსური დევების მუქარას ხატის ძალით იგერიებს: „დასამებით“, „ჯვარის გმოსახვით“, ჯვარში შედგომით... ეტყობა, ეს ქრისტეს ენერგეტიკაა ანდრეზულ დროში ჩამომდგარი!..

***

მაგრამ არის დევის ტიპი თითქოს, რომელიღაც განზომილებიდან შემოსული არსება, რომელიც სახეს იცვლის, გეცხადება და გეკარგება... ფსიქოტრონულ —ჰიპნოზურ გავლენას ახდენს ადამიანზე, ადვილად იმორჩილებს და სქესობრივ კავშირს ამყარებს ქალებთან და სხვადასხვა ჯიშის პირუტყვთან. შესაძლოა ქალი სიზმარში მიდგომითაც დაორსულდეს...

ხოშიას მონათხრობი (ჩაწერილი ჩემს მიერ): „ფაფარენას ჰყონივ შამაჩვეულ დევი... საძროხეში ფურ (ძროხა) ღრიალებდავ, — შეუხენებავ დიაცს, იქ დევის შვილ გდებულ, ფურს გაუჩენავ: გადაიქნივნისაოდ-გადმოიქნივნისავ დედმამის ტანნივ, ყვერიკისანივ, თავის წესითავ“...

კაცს უთქომ: „აბა, რა ვუყოთ ამასავ?“ -ჯინში ჩაუსომ და გარეთი გამოუყვანავ, შაუძახებავ: „დაჰპატრონდითავ, ესივ რა ვისაიავ?!.“

მეორე დილას აღარ იბადებოდავ, წაუყვანავ თავის შამქმნელს“...



ეს ურთულესი, მაგრამ თითქოს ახსნადი მოვლენაა: შეიძლება მართლაც კლონირებული, ჰიბრიდული ხბო შვა ძროხამ რომელიღაც არსებისგან? ან თვით ქალმა შვა და ქმარს დაუმალა?!.

დევი ერთგვარი ფალოსურ—დიონისური კარმის მატარებელია, მას ანეიტრალებს ქადაგის და ხევისბერის საღვთო მისტერია — „მოშიშარის“ “დაკოჭვა” კარატეს ჯვარის ბორაყებით და ნაკურთხი მახვილის, ან „მძივის“ ტარება...

***

აბათ მინდიას მონათხრობი დევის შესახებ (ჩაწერილი ჩემს მიერ): „ბლოელ მაშვნიას ვერძი დაუკარგია და საბალახოს ჭალას წასულა საძებნელად, აქ დევი გასჩვენებივ ვერძის ალით. მაშვნიას დაუჭერია და მხარზე შეუსვია, დევს დიდი ყვერები ჰქონია და მაშვნიას უთზვამ:

— რამხელა ყვერები დაგზრდია ჩემმო ვერძოო?!..

— ძალიან გედიდნესაევ მაშვნიო? — ხმა ამოუღია დევს...

მაშვნიას დევი დაუხანჯრავ... მას შემდეგ დევები მაშვნიას მოსაკლაოდ მოჰყვებოდნენ, სახლთან რომ მოახლოვდებოდნენ, დაუძახებდნენ: „მაშვნი შინ ასაევ? „ჰხუა” შინ აქვაევ?!“ — „შინ ასავ, „ჰხუაც“ შინ აქვავ!“ — დევები გაიქცეოდნენ თოფის შიშით.

„ხუა“ თოფია დევების ენით“...

***

რა მოვლენასთან გვაქვს საქმე, ვინ არიან ესენი: დევების ნადგომებით, ნამოსახლარებით, ციხე-გორებით, საკერპოებით, მჭედელთ გორებით მოფენილია ფშავ-ხევსურეთის (ფხოვის) სივრცე... არის გზები, ხეობები, სადაც დევები მოძრაობდნენ და ადამიანი არ ეკარება.

კოპალას მითიხ მიხედვით, ბოლო დევი აბუდელაურის ტბაში მოიკლა იახსარის მიერ. ამ ომს, როგორც ჩანს, იახსარიც ეწირება...

მაგრამ დარჩენილია დევების სინდრომი, არის დაწყევლილი ადგილები, სადაც დაჯდომა, დაწოლა, დასვენება,საძირკვლის ჩაყრა არ შეიძლება! ასეთი ადგილები მონიშნული იყო ქადაგთა მიერ, სადაც განსაკუთრებით ბავშვებს და ქალებს ეკრძალებოდათ სიარული...

10 gv.

ძვირფასო მეგობრებო, შემოგვიერთდით გაზეთ „პატრიოტის“ მეგობართა კლუბში.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97.
რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.

9 gv.

# „ათენგენიდან ყვავთ აღვსებამდე"

## ფხოვის საკრალური დრო

***

ხევსურთა თემის მეხსიერებაში, ლოგოსურ სივრცეში, ასტრალში, შენახულია (შერჩენილია) ხმა და მუსიკა — ჰოლოგრამული გამოსახულებანი წარსულიდან, რომლებიც ჟამ და ჟამ შემოიჭრება მათ ცხცოვრებაში, განსაკუთრებით — საკრალურ-სარიტუალო დღეებში და ხევისბერბი ან ჯვარის წმინდა მსახურნი(ხელოსანნი და მაგანძურნი) ცხადად ხედავენ გარდასულ მოვლენათა ფრაგმენტებს.

ფხოველი ქადაგი ორ დროს ხედავდა ერთდროულად: გარდასულს და მომავალს...

ფხოველთა ცნობიერებაში არსებობს ასეთი მისტიური განცდა: თუ კი ადამიანს ხშირად მიცვალებულები ესიზმრება, ადამიანი იქითკენაა(სულეთისკენ) გადახრილი, ამ დროს ჟამთა გასაყარზე, სამანის მეორე მხრიდან სულთა სამყარო გვიახლოვდება, ანუ ჩვენ ვუახლოვდებით "მას"!

ერთ მომენტში მიცვალბულთა გამოცხადება არის ერთგვარი გაფრთხილება და მხარდაჭერის ნიშანიც, ადამიანი გრძნობს (ავადმყოფობის ჟამს და ისედაც) რამდენად უჭერენ მხარს "ისინი", მისი იმქვეყნიური ნათესავნი ... ამხნევებენ და მიანიშნებენ, რომ აქ, საწუთროში" უნდა დარჩეს!

მეორე მომენტში: მიცუალებული გეპატიჟება თავისკენ, მაგრამ არ გაძალებს... შენ ან მიჰყვები, ან-არა... ხოლო, მესამე შემთხვევაა — სიზმარში მიცვალებულისთვის წაყოლა, რაც ცოცხლისთვის შეიძლება საბედისწერო იყოს... თუმცა, ფხოველ ბერიკაცებს ეს არ აღელვებდა: მე მახსოვს, როგორ ანუგეშებდა მათ წინაპრებთან შეხვედრის მოლოდინი და სულაც არ ჰქონდა სიკვდილის შემაძრწუნებელი განცდა...

ვინ ახსნის ამ მოვლენას; "სულეთში შესვლა-გამოსვლას", ან "უკან შემობრუნებას" სულეთის გზიდან, ან, სულაც სამზეოზე მოსვლას უხილავი ასტრალიდან?! ხევსურთა ანდრეზული მისტერიით ასეთი არა ერთი მოვლენა ცხადდება, არსებობს



მოთხრობილი თუ, ჩანაწერი ეპისოდები, რაც ცალკე ანალისის თემაა.

***

როდესაც ბავშვს სულის სახელს არქმევენ ესეც საიდუმლო მისტერიაა, ამას თვითონ ბავშვის სული ითხოვს, რომელიც ჯერ კიდევ დაბადებული არ არის, ან ითხოვს სული, რომლის სახელიც უნდა მიერქვას.

ახალშობილს რამდენიმე სულის სახელი ერქმევა დედულეთის და მამულეთის ნათესავთაგან, ემატება თიკუნი და ქრისტეს დროში მოძღვრის მირქმეული სახელი... სახელთა ქარიზმულობა ერთგვარ "საფარველს სდებს" ახალშობილს, არიდებს მას ავ თვალს და ბედისწერას, ავადმყოფობას და თვით სიკვდილსაც კი.

არის ასეთი ეზოთერული ჩანაწერი ჩემს მიერ ხევსური მთხრობელისგან: ჯერ არ შობილი ბავშვი, რომელიც მოდის ასტრალიდან სახელს ითხოვს, მაგრამ ქადაგის ნათელხილვით მისი სახელიც "ჯერ არ არის მოსული" (?!) იგი ერთი კვირის თავზე უნდა მოვიდეს...

მართლაც, ბავშვის დაბადებიდან ერთი კვირის თავზე მოსისხლე მოკლავს ბავშვის დედის ბიძას, ქადაგი გამოაცხადებს რომ უკვე მოვიდა ახალშობილის სახელი — თოთია. მას, ახალშობილს ეს სახელი ერგო, ე.ი. მომსვლელი და წამსვლელი ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, ასეთია თემის პარადიგმული ჭვრეტა, ადამიანთა სიცოცხლის შესახებ ამ მიწაზე.

***

ადამიანთა შობა და მოვლინება სამზეოზე ღვთის ნებაა, ადამიანი ღვთის ნაბადია, ამდენად კაცის კვლა ფხოვის თემში აკრძალული იყო რჯულის ძალით.

თემი დიდად უფრთხილდებოდა საყმოს წევრი კაცის სიცოცხლეს და ცდილობდა სიკვდილით დასჯის არიდებას (მოკვეთით ან "ჩრდილისთვის თოფის დაკვრით"), ვინაიდან თემისთვის ფატალურ ვითარებაში კვლავ საჭირო ხდებოდა ცოცხალი კაცის თავი და ძალა, რომელიც ბრუნდებოდა თემის დასაცავად.

ფხოვში მოძალადეს მოკლულისთვის სახეში ჩაშტერების ნება არ ჰქონდა, ასეთი ქცევა ისჯებოდა ცალკე "ჯურუმით". აამდენად, თემის სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმა მაღალი კატეგორიის იყო ადამიანის სიცოცხლის დაცვის თვალსაზრისით...

"ჯვართ ჯარნი აჯვარებენ, ჯარს კაცნი აჯარებენ"...

"ცოცხალ კაც ხედავს მზეს, ცოცხალ იცინის, ცოცხალ ტირის"...

"კაცია კაცის წამალი, კაცი კარგი კაცისგან არ მოიკვლის, კაცს ყოველთვის ბეჩავი და "მასუარია" კლავს"! — იტყოდა კითხული კაცი (ხევისბერი). ასეთი იყო სიცოცხლის და ადამიანთა ყოფნის კრედო ფხოველთა წუთისოფელში.

***

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, ფხოველთა ცნობიერება არ იყო წარმართული, ისინი არ იყვნენ კერპთაყვანისმცემელნი, მათთვის უზენაესი იყო „მორიგე ღმერთი", „არსთა გამრიგე", რომელიც მართავდა ცას და ქვეყანას...

„ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო, შენ უშველე, შენ უხოიშნე შენს მეხვეწურს, უბეკალთა ჩააფარე, საწალმრთოდ მოუარე!"— ე. ი. წალმა ატარე და სწორ გზაზე სწორად წარმართე ხორციელი— აი, სენტენცია ამ საკულტო სარიტუალო სადიდებლისა.

უნდა გამოკვეთილად ითქვას, რომ „საწალმართო" არ არის „საწარმართო" — „იგი სხვაა, სიძვა — სხვაა..."

მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ ქართულ—ფხოვურ ცივილიზაციას არა აქვს "წარმართული" ნაწილი, ეს გახლავთ ქრისტემდელი და ქრისტეს შემდგომი ერთიანი დრო, შუმერულ-ქალდეურ-იბერიული დიადი ცივილიზაია, კაცობრიულ ცივილიზაციათა დასაბამი, ნუ "გავაბერწებთ" და ნუ "გავაწარმართებთ" მას...

„დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დიდს კვირაესა ღვთის კარზე მოკარვესა — დღესა დღესინთელსა!" — ეს არის ფხოვის საკრალურ დროთა და ქრისტეს დროთა შერწყმის ბრწყინვალე მაგალითი, სინთეზური საღვთო— სადიდებლის ნიმუში.

***

ეტყობა, ცხენის შეწირვის ქრისტემდელი მისტერიაც, ფხოვის თემში მოიქცა „ცხენის განათვლის და გაწმიდების" რიტუალად, ქრისტიანი ხუცესის მეოხებით ცხენი იქცევა „სულის ცხენად", რომელიც სულეთში მიაცილებს მიცვალებულს მზის ბორჯღალით და მის „საფერხედ ხდება".

„ცხენის გაწმიდების" მისტერია სულის ხუცესის მიერ ჯერ კიდევ აღესრულება ხახმატის უძველეს სალოცავში(სადაც ფალოსის და "მწევრის" საფლავის ქვები უდგას), ხოლო უფრო უწინარეს დროში აღესრულებოდა ფხიტუს (ფხია-ფხოვი), ცროლის, საჩალის, ანატორის, კარატის წვერის მზის ზიკურატებთან.

ცხენი მზის იმაგინალური სიმბლოა ქართველთათვის, ხო-



ლო მზე — უფლის თვალი -„დიდება მზესა, მზის მყოლთა ანგელოსთა..." ( "ათენგენის" საკულტო ტექსტი), რომელიც სულეთშიც უნათებს მიცვალებულს, ხოლო წუთისოფელში ყოველ ბოროტს განამხელს და „მზე მომსწვრალ ეშმაკად" აქცევს...

მომდევნო წერილებში შევეხები "სახარებიდან" გაჟონილ ტექსტებს, თუ როგორ შეაღწია ფხოველთა საღვთო ლიტურგიებში ქრისტეს პირველ მოციქულთა ფრაზეოლოგიამ პირველსავე საუკუნეებში, როგორ გამთლოიანდა ფხოვის საკრალურ დროთა და ქრისტეს დროთა საკულტოსამეურნეო კალენდარი...

და ბოლოს, წარმოგიდგენთ ფხოვის საკრალურ დროთა და მოვლენათა მოკლე "კატალოგს", ეს იქნება ჩემეული გზამკვლევი უცნობ დროში და ამ წერილების დასასრული.



# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან



**ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად ანუ ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში**

## დენიზა სუმბაძე (ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი):

## ეკლესიის პირისპირ მარტოდ დარჩენილმა, საჭიროდ ჩავთვალე, მშველელად ვუხმო ქართველ ხალხს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №42-43

„მოსეს წიგნების შესწავლის დროს მე ისრაელის საიდუმლოება ამოვხსენი“ - წერს **გრიგოლ რობაქიძე** 1952 წელს, ბუნებრივია, მეორე მსოფლიო ომის შედეგების განწყობით და ხუთწიგნეულის ცალკეულ ეპიზოდებთან დაკავშირებით შეშფოთებაში მოსული. ეს მე-20- ე საუკუნის დიდი ქართველი მწერალი, გერმანიასა და შვეიცარიაში მცხოვრები დიდი ქომაგი ებრაელი ერისა, და მღელვარე გაურკვევლობაში ჩავარდნილი, წამოყვირების ფორმით ეტყვის თავის პირად წერილში მე-20 საუკუნის დიდ ბერძენ მოაზროვნესა და მწერალს - **ნიკოს კაზანძაკისს:** მოსეს ხუთწიგნეულის პირველი წიგნი - „შესაქმე“ „გაკვრით“ არის წაკითხული!“ და ქართველი კაცისთვის გამაოგნებელი ებრაული ცხოვრების წესთა წარმოჩენით, მთელი ხუთწიგნეულის ამოსავალ წერტილად ციფორას ამოუხსნელ ეპიზოდზე შეაჩერებს ყურადღებას. ჩვენი პრობლემების ფონზე, ღირს ამ ეპიზოდთან შეჩერება ორიოდ სიტყვით მაინც:

მიიღო რა გამოცხადება უფლისა ხორების მთაზე, წინასწარმეტყველმა მოსემ, რომ თავისი ხალხი გამოიყვანოს ეგვიპტელთა ტყვეობიდან, თავისი ცოლ-შვილით გაემართა იგი მიდიელთა ქვეყნიდან ეგვიპტისაკენ. „გზაზე, ღამეს რომ ათევდნენ, დაუხვდა მას უფალი და მოკვლა დაუპირა“ (გამ.4,24).

„საგიჟეთში ვართ? – კითხულობს **გრიგოლ რობაქიძე** - დავალების მიმცემს დავალების აღმსრულებლის მოკვდინება სურს?! ვინ ამოხსნა ეს?“ (გვ.91).

ის, რაც საგიჟეთი შეიძლება იყოს მავანისათვის, არც მოსე წინასწარმეტყველისათვის და არც მისი ცოლისთვის, ციფორასათვის, როგორც ცხადი გახდება, საგიჟეთი არ არის. მოსემაც და ციფორამაც ზუსტად იციან, რატომ უპირებს უფალი მოსეს მოკვლას. სანამ თავს დაესხმის უფალი მოსეს, მიდიელთა ქვეყნიდან მიმავალს ეგვიპტისაკენ, გააფრთხილებს კიდეც მოსეს: “უთხარი ფარაონს, ასე ამბობს-თქო უფალი: ჩემი პირმშო შვილია ისრაელი. გეუბნება, გაუშვი, რათა თაყვანი მცეს. თუ არ გაუშვებ, მოგიკლავ შვილს, შენს პირმშოს“ (გამ.:4,22-23). აქ სამართლებრივი ლოგიკა ისრაელიანთა ღმერთისა დაცულია: თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ. ქვეტექსტიც ნათელია: თუ არ განახორციელებს ისრაელი თავისი მფარველი ღმერთის მსახურებას, სულიერად მოკვდება და მკვლელი ფარაონი იქნება, რომელიც აბრკოლებს კავშირს ისრაელსა და იაჰვეს შორის. ამიტომ ის დაისჯება იაჰვესავე მიერი კანონიერი სასჯელით: თუ ფარაონი უფალს სულიერად მოუკლავს პირმშო შვილს, ანუ ისრაელს, უფალიც მოუკლავს ფარაონს მის პირმშოს.

გავიხსენოთ აღთქმა უფლისა აბრაამისათვის მიცემული:“ეს მე ვარ, და აჰა, ჩემი აღთქმაც: უამრავ ხალხთა მამა შეიქმნები!... მოგცემ შენ და შენს შთამომავლობას შენი მდგმურობის ქვეყანას, ქანაანის მთელს ქვეყანას მოგცემ სამარადისო საკუთრებად და თქვენი ღმერთი ვიქნები, ოღონდ დაიცავით ჩემი აღთქმა შენ და შენმა შთამომავლობამ, თაობიდან თაობამდე...რვა დღისამ დაიცვითოს თქვენში ყოველმა მამაკაცმა...“ წინადაუცვეთელი მამაკაცი, რომელსაც არ დაუცვითავს ჩუჩა მერვე დღეს, უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან, რადგან დაარღვია ჩემი აღთქმა“.(დაბ.:17,4-9 - 14).

როდესაც **მოსე** მიდიელთა ქვეყნიდან ცოლშვილიანად ეგვიპტისაკენ მიდის და ღამის თევის დროს იაჰვე ესხმის თავს, იმ წამსვე ირკვევა ციფორას საქციელით, რატომაც ესხმის მათ თავს თავად ის უფალი, რომელიც მას, მოსეს, მისი, ანუ უფლის წინადაცვეთილი პირმშოს — ისრაელის გამოყვანას ავალებს ეგვიპტური ტყვეობიდან. ეს ელვის სისწრაფით ხდება. მოსეს ცოლი მიდიელი მღვდლის შვილია,, რომელიც მოსემ ეგვიპტიდან გადახვეწილმა და მალვაში მყოფმა შეირთო. მოსეს და ციფორას მიდიაში არა აქვთ აღსრულებული ის წესი, რომელიც ისრაელიანთა კანონით ევალებოდა მოსეს. წინადაუცვეთელი შვილით, თავისი უფლის წინაშე, თავისი ხალხის გამოსახსნელად მიმავალი მოსე, თავისივე ხალხის საღმრთო სჯულით, თავის შვილიანად ირაცხებოდა სჯულის დამრღვევად და განკვეთილად თავისი ხალხისგან. ეს მოსემაც იცის და ციფორამაც. უფლისაგან მიღებული დავალების აღსასრულებლად მიმავალი უფლის მფარველობაში ვერ იქნება, თუ წინადაუცვეთელი შვილით უფლის აღთქმა აქვს დარღვეული და მითუმეტეს ვერც იმ დავალების შემსრულებელი ვერ იქნება, რომელიც ხორების მთაზე მიიღო გამოცხადებით უფლისაგან. ამიტომ უფალი თავს ესხმის მოსეს და იმ სასჯელით ემუქრება, რომელიც ამ დანაშაულისთვის არის მისგან დაკანონებული. აღიქვამს თუ არა უფლის თავდასხმას მოსეზე, ციფორა სტაცებს ხელს წვეტიან ქვას, კაჟს, ჩუჩას წააჭრის შვილს, ფეხებთან მიუგდებს მოსეს და უფალიც გაეცლება მას: ეტყვის ციფორა მოსეს: „... სისხლის სიძე ხარ ჩემი.... სისხლის სიძე წინდაცვეთით“(გამ.:4,25-26). აქ უფალი დაუნდობელი ნადირივით არის მოვარდნილი, რომელსაც სისხლის სუნი სცემს და სისხლი სწყურია, მაგრამ ძალა ამ ორივე მხარისა დაუნდობლის მორჩილებაშია. ერთი საინტერესო პარალელი ასოცირდება მეფეთა წიგნებიდან ციფორას ამ ეპიზოდთან. მოგეხსენებათ, მეფენი, ძველთა ძველი გაგებით ნაცვალნი არიან უფლისა თავთავიანთ ქვეყნებში. ისრაელის პირველი მეფე, საული, დავითს, მომავალ მეფესა და წინასწარმტყველს, დაახლოვებისა და მახეში გაბმის მიზნით, სიძედ გახდომას შესთავაზებს: “მე ერთი უბირი და უპოვარი კაცი ვარ“ — შეუთვლის დავითი მეფეს შუამავალთა პირით. **მეფე საული** თავისი ასულისათვის დავითისაგან მხოლოდ ასი ფილისტიმელის ჩუჩას ითხოვს, და დავითი სიხარულით ასრულებს ამ თხოვნას. წაიყვანს თავის თანამებრძოლებს, ორასამდე წინადაუცვეთელ ფილისტიმელს ამოხოცავს, დახოცილებს, ასს თუ ორას კაცს წააჭრის ჩუჩებს, და მიართმევს მეფეს. ასე გახდება **დავით წინასწარმეტყველი,** მეფსალმუნე და ქნარზე დამკვრელი,“ერთი უბირი და უპოვარი კაცი“, სიძე ისრაელიანთა პირველი მეფისა, მეუღლე მეფის ასულისა, მელქოლასი. მაგრამ დავითს მელქოლას მიტოვებაც მოუწევს და საულის ქვეყნიდან გადახვეწაც. მელქოლასაც გაუთხოვებენ სხვა ქმარზე. მაგრამ როცა საული გარდაიცვლება და დავითი დაბრუნდება თავის ქვეყანაში,, მას იმხელა საფასური აქვს გაღებული მელქოლასთვის, რომ მელქოლას დაბრუნებას ითხოვს მეორე ქმრისაგან. შეუთვალა საულ მეფის ძეს:“მომეცი ჩემი ცოლი მელქოლა, რომელიც ასი წინადაუცვეთელი ფილისტიმელით დავწინდე“(2მეფ.3,14). ვერავინ აუნაზღაურებდა დავითს საწინდარს. „ გაგზავნა კაცი იშბოშეთმა მელქოლას წამოსაყვანად ქმრისაგან, ფალტიელ ლაიშის ძისაგან. წამოჰყვა ქმარი ქალს და გამუდმებით მოსტიროდაო ბახურიმამდე“(2მეფ.3,15-16).

ასი წინადაუცვეთელი ფილისტიმელის ეპიზოდი ერთგვარი განმარტება და ილუსტრაციაა წინადაცვეთის რელიგიური მისტიურობისა. აქ საული თავისი უფლის მიბაძვით ასი ფილისტიმელის სულისა და სიცოცხლის სანაცვლოდ მოითხოვს ასი ფილისტიმელის ჩუჩას. თვითონ ხდება ჯერ მფლობელი მათი, შემდეგ შემწირველი მათი უფლისათვის. წინადაცვეთა არის რიტუალი უფლის კუთვნილებაში გადასვლისა და სამუდამო დაკავშირებულობისა უფალთან.

სრულიად სამართლიანად მიიჩნევს გრიგოლ რობაქიძე ებრაული წინადაცვეთის მისტერიას ამოსავლად მთელი ებრაული რჯულისა და ფსიქოლოგიის გაგებისას.

• **გრიგოლ რობაქიძის** ეს უმნიშვნელოვანესი პირადი წერილები, რომლითაც საოცარი სიღრმითა და საოცრად ემოციური ლანდშაფტებით იკითხება თავად ავტორის პიროვნული პორტრეტი, შეკრიბა და სულ ახლახანს, 2012 წელში, პირველად გამოაქვეყნა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ცნობილმა მეცნიერმა, ქ-ნმა **ეთერ ქავთარაძემ.** - და, მე ვფიქრობ, გრიგოლ რობაქიძისეული ეს “შესაქმისა“, და „გამოსვლათას“ ბიბლიურ პირველ წიგნებთან დაკავშირებული სრულიად უშუალო შინაგანი განგაში, მთლიანად ბიბლიის სიღრმეში ჩახედვის აუცილებლობისა და ყოველივეს გაშიფრვისა, კაცობრიობის იმავე

12 gv.

**წაკითხულ იქნა მოხსენებად ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე, ბათუმში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2013 წლის 26 სექტემბერს, საკონფერენციო მოხსენებისთვის განკუთვნილი შესაბამისი, მოკლე ვერსიით.**

11 gv.

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

წყურვილის განგრძობაა, რომელმაც გერმანელი ფილოსოფოსის, **შელინგის** აზროვნებაში ამოხეთქა, ჯერ კიდევ მე-18-ე საუკუნის დასასრულს, გერმანული უნივერსიტეტის კედლებში: შესწავლილიყო ბიბლია რელიგიის ფილოსოფიის ენაზე. უფრო მეტი: გვიჩნდება სურვილი ჩვენი პირადი შინაგანი განცდის გახმამაღლავებისა, რომ არა თუ ფილოსოფიურად შესწავლილი, ბიბლია საერთოდ არ არის დღემდე სათანადოდ წაკითხული, და რაც მთავარია, იგი ქართული ცნობიერებით არ არის წაკითხული და გაანალიზებული! იმ ქვეყნისა და ხალხის ცნობიერებით, რომელსაც უშუალოდ ეხება ბიბლია, რომელთანაც ყველაზე სიღრმისეულად არის დაკავშირებული ებრაელი ხალხის ბიბლიური ისტორია... ის, რაც არის წაკითხული და გაანალიზებული, მხოლოდ საწყისებია საჭიროებისა და აუცილებლობისათვის. ხოლო თუ ბიბლია სათანადოდ არ არის წაკითხული. ბუნებრივია, ვერც ის კითხვა იქნება დასმული სათანადოდ კაცობრიობის მიერ, რატომ იდევნებოდა ებრაელი ხალხი ყველა ქვეყანაში და ყველა დროს. ეს კითხვა **ილია ჭავჭავაძემ** დასვა მე-19 საუკუნის ბოლოს, 1886 წელს, ებრაულ ფენომენთან მიმართებაში:

• ,,...აზიასა თუ ევროპაში, აფრიკასა და ამერიკაში, ყველგან ერთი და იგივე ბედი სდევნიდა ებრაელთა უბედურს ერსა... ამდენი ხანია, ეს ერი მოგზაურობს მთელს დედამიწის ზურგზე და ამ ხნის განმავლობაში არა ყოფილა ისეთი სატანჯველი, რომელიც ებრაელებს არ გამოეცადოს...სდევნიდნენ ებრაელებს, ვითარცა ერს, სდევნიდნენ - ვითარცა თავისებურისა და განსაკუთრებულის რჯულის მაღიარებელთ, **სდევნიდნენ ვითარცა უსამართლო ეკონომიკური წესწყობილების წარმომადგენელთ და სხვა ერთა ეკონომიკურ მჩაგვრელებს**. მდევნელები ხან ერთს საბუთს აძლევდნენ უპირატესობას, ხან მეორეს და არასდროს დამცხრალა სიძულვილი ებრაელთადმი... ეხლაც კი, როდესაც ეგოდენს ჰღაღადებენ კაცთმოყვარეობაზე....

• ამის მიზეზი ეროვნული სიძულვილი და რელიგიური ფანატიზმი კი არ არის, არამედ ეკონომიკური ძლიერება ებრაელთა კაპიტალისტებისა, რომელთა ხელშიაც გროვდება აუარებელი სიმდიდრე საფრანგეთისა, გარმანიისა და სხვა სახელმწიფოებისაო... ამ გარემოებას კი ექნება არა მხოლოდ ეკონომიკური მნიშვნელობა, არამდ პოლიტიკურიც.. და თუ ებრაელთა ეკონომიკურ გაძლიერებას თავის დროზე არ შევებრძოლებით, კაპიტალი შეიქმნება ყველა სახელმწიფოებზე უფრო ძლიერი და საშიშიო. კაპიტალის ხელში მოექცევა ბედი და უბედობა ერთა და მეფეთაო...

• რასაკვირველია, ეს გარემოება მეტად საფიქრებელია.“ (ილია ჭავჭავაძე, 1886 წელი, თხზულებათა მეცხრე ტომი, გვ.46-50).

• როგორც ცნობილია, ებრაელთაგან კაცობრიობის ხსნის მისიად განმარტა **ჰიტლერმა** გერმანიის მისია და ის საშინელი დევნა ებრაელი ხალხისა, რომელიც მან განახორციელა მეორე მსოფლიო ომის დროს, იყო კულმინაცია ებრაელთა მსოფლიო დევნისა. სპეციალისტები წერენ , რომ მსოფლიოს სიონისტური მოძრაობის წარმომადგენლები, რომლებიც ებრაული სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე ოცნებობდნენ, დაინტერესებულნი იყვნენ გერმანელთა სისასტიკით, რათა უცხო ქვეყნებში ცხოვრებას მიჩვეული ებრაელებისათვის გაემძაფრებინათ სურვილი თავიანთ ისტორიულ ქვეყანაში დაბრუნების. მეორე მსოფლიო ომში გერმანული ფაშიზმით განხორციელებულმა ებრაელთა დევნა-წამებამ შეცვალა მთელი მსოფლიოს დამოკიდებულება ებრაელი ხალხისადმი და შეცვალა მთელი მსოფლიო . ანტისემიტიზმი გამოცხადდა დანაშაულად უდანაშაულო ებრაელი ერის მიმართ და მსოფლიო გარდაისახა ებრაელი ერის დამცველად. 1949 წელს ოფიციალურად დაფუძნდა ისრაელის აღდგენილი სახელმწიფო.და აი, მსოფლიოს უდიდესი მეცნიერი, **ალბერტ აინშტაინი,** ზუსტად 1949 წელს, თავის წერილში სოციალიზმის შესახებ, ერთ თავის მოსაუბრეს შესჩივის ახალი, ანუ მესამე მსოფლიო ომის საშიშროებაზე და დასძენს, რომ ეს ომი მხოლოდ მთელი კაცობრიობის გამანადგურებელი შეიძლება იყოს . ეინშტეინი არ გვიმხელს მოსაუბრის ვინაობას, რომელიც დიდი მეცნიერის შეშფოთებას უდრტვინველი შეკითხვით პასუხობს:“-კი მაგრამ, რატომ გაწუხებთ კაცობრიობის განადგურება?!“

ეინშტეინი შეეცდება ახსნას მოსაუბრის ეს შემაშფოთებელი შეკითხვა და გვეტყვის, რომ მისი მოსაუბრის აზროვნება, ეს იყო შინაგან-წონასწორობა დაკარგული ადამიანის აზროვნება. ასე იყო თუ ისე, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, საუკუნის დასასრულს, ჩვენ მივიღეთ ეპოქა, რომელზედაც ილია ჭავჭავაძე საუკუნით ადრე გვაფრთხილებდა: ებრაელი კაპიტალისტების ხელში აღმოჩენილი მსოფლიო პოლიტიკური მმართველობა, მივიღეთ მსოფლიოს საიდუმლო ებრაული მთავრობა, ანუ როგორც ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი, დოქტორი **ჯონ კოლემანი** დაწერს: ე.წ. ,,სამასთა კომიტეტი“ და შეთქმულება კაცობრიობის წინააღმდეგ. რამდენადაც ღმერთი ისრაელისა შურისძიებელი ღმერთია, მიმდინარე მსოფლიო მმართველობა, როგორც დამყარება მსოფლიოს ახალი წესრიგისა, უნდა გავიგოთ ღვთისავე ნების აღსრულებად, ანუ შურისძიებად იმ მსოფლიო დევნისა, რომელიც გადაიტანა ებრაელმა ხალხმა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე. ,,გახსოვდეთ, შურისმაძიებელი ღმერთია თქვენი ღმერთი“ - არა ერთგზის აფრთხილებს უფალი თავის ხალხს მოსეს ხუთწიგნეულში. ეს შურისძიება მსოფლიოზე კაცობრიობას გაუცნობიერებლად ატყდება თავს უკვე საუკუნის დასასრულს, მსოფლიოს ახალი წესრიგის სახით, რომლის ნამდვილი არსიც ამ წესრიგზე სპონტანურად აყოლილი მთელი კაცობრიობისათვის ჯერ კიდევ სათანადოდ გაცნობიერებული არ არის. მოტყუებული მსოფლიო საზოგადოებრიობა თავისი პლანეტა დედამიწით მიჰგავს ურემზე შედგმულ უპატრონო ქვევრში შეყრილ ხორაგს, რომელსაც აზროვნება არა აქვს და ვერ ხვდება, რომ ურემი გადასაბრუნებელ გზაზეა შეყენებული...

• მსოფლიოს ახალი წესრიგის გაუცნობიერებლობას საქართველოში უსათუოდ განსაზღვრავს მოწყვეტილობა ქართული ცნობიერებისა მსოფლიოს პოლიტიკური პროცესებიდან და მოწყვეტილობა ბიბლიის ცოდნისაგან ათეისტურ საგანმანათლებლო ეპოქაში, რაც შესანიშნავად აქვთ გათვლილი ალან დალასის მემკვიდრეთა დღევანდელ წარმომადგენლებს.

## საქართველოს ეკლესიის აწყობა მსოფლიოს ახალი წესრიგისა და „მარდოქაი–ესთერის“ ქნარზე

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბიბლია ქართული ცნობიერებით სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი.

ალბათ გამონაკლისს სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული კირიონ მეორე წარმოადგენს (გიორგი საძაგლიშვილი), დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პატრიარქი (1918 წლის), რომელიც გაურკვეველმა ძალებმა, თავის საპატრიარქო რეზიდენციაში, მოკლეს ღამით, საწოლში მძინარე და ხელში დააჭერინეს რევოლვერი, ვითომ მძინარე პატრიარქმა თვითონ მოიკლა თავი. ისტორიულმა წყაროებმა გვამცნეს, რომ გამოძიების შედეგად მიღებული ინფორმაციით, ნასროლი ტყვია და კათალიკოსის ხელში ჩაჩრილი იარაღი, ერთიდაიგივე მარკისა არ იყო... რაც, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ იგი სხვა იარაღით ნასროლი ტყვიით იყო მოკლული... ეს გახლავთ ერთერთი საშინელი მკვლელობა საქართველოს ისტორიაში, რომელიც დღემდე აუხსნელია და იდუმალებით მოცული... მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება შევნიშნოთ, რომ ცნობილმა რუსთველოლოგმა, ბ-ნმა **გაიოზ იმედაშვილმა,** 1980 წლიდან მოყოლებული, თერთმეტი წელი ატარა საპატრიარქოში, მის პირად, ოჯახურ არქივში დაცული, თავისი მამის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, **იოსებ იმედაშვილის** გამოუქვეყნებელი წერილი კირიონ კათალიკოსის მკვლელობაზე, და მის გამოქვეყნებას საეკლესიო პრესაში ვერ მიაღწია. ბ-ნ გაიოზს ბავშვობიდან ვიცნობდი და ხშირად შემომჩიოდა კირიონის წერილთან დაკავშირებით, მაგრამ მე, როგორც საპატრიარქოს პატროლოგს, არავითარი უფლებები არ გამაჩნდა. საპატრიარქოს ყოველთა საქმეთა მმართველი და ყოველგვარი უფლებამოსილებით უფლებამოსილი, შეიძლება ითქვას, ერთგვარი ჰიუმორითაც, დაწყებული საკათალიკოსო საბჭოს უფლებებითა და დამთავრებული მსოფლიო საეკლესიო კრებათა საღვთისმეტყველო კომპეტენციებით, პატრიარქის თანაშემწე ქალბატონი გახლდათ. მახსოვს, ერთ საღამოს, პატრიარქის ვახშამზე ბ-ნი გაიოზ იმედაშვილი ბრძანდებოდა. სუფრას პატრიარქის თანაშემწე ქალბატონი ემსახურებოდა. ბ-ნმა გაიოზმა, რომელმაც ვერ მიაღწია ამ ყველა უფლების მფლობელი ქალბატონისაგან თანადგომას, ეტყობა ვეღარ მოითმინა, და როგორც კი ქალბატონი ოთახიდან გავიდა, ხმამაღლა, ყველას გასაგონად იკითხა: ,, ვინ არის ეს შორენა, თქვენო უწმინდესობავ?“ უწმინდესმა არაფერი უპასუხა. რამდენიმე წუთში ქ-ნმა თანაშემწემ კიდევ რაღაც შემოიტანა სუფრაზე და გავიდა. ბ-ნმა გაიოზმა თავისი შეკითხვა უწმინდესის მიმართ კვლავ ხმამაღლა გაიმეორა , ყველას გასაგონად. უწმინდესმა კვლავ არაფერი უპასუხა... ბოლოს და ბოლოს ბ-ნმა **გაიოზ იმედაშვილმა** მამამისის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, იოსებ იმედაშვილის დანატოვარი ისტორიული წერილი საქართველოს დიდი კათალიკოსის კირიონ მეორის მკვლელობაზე, რომლის გამოქვეყნების მომენტსაც იგი წლობით ელოდა, გაზეთ ,,კომუნისტში“ შესძლო რომ გამოექვეყნებინა, 1991 წელს. კირიონ კათალიკოსის მკვლელობაში წერილის ავტორი პატრიარქის პირად თანაშემწედ დანიშნულ ვინმე დავიდოვს ამხელდა, რომელიც, საქართველოს პატრიარქს, სახელმწიფოს მიერ მისთვის თანაშემწედ დანიშვნისთანავე განგაშით გაუძევებია თანამდებობიდან...

— დავიდოვს თუ არ მომაშორებთ, პატრიარქის სამოსს გავიხდიო- უბრძანებია. საქმე იმაში გახლავთ, რომ პატრიარქის თანაშემწეობა იმდენად დიდი და საპატიო თანამდებობობა ყოფილა ბიზანტიის იმპერიაში, რომ **თორნიკე ერისთავს,** ბარდა სკლიაროსის დამარცხებისა და ბიზანტიის გადარჩენის შემდეგ, იმპერატორისაგან ჯილდოდ, კონსტანტინოპოლის პატრიარქის თანაშემწეობის შეთავაზება მიუღია, თუმცა მას ამაზე უარი უთქვამს, და დაბრუნებულა ათონის მონასტერში. ,,სუინკელოსი“ ბერძნული სიტყვაა და ,,სვინკელოსობა“, პატრიარქის, როგორც ბერის და პირველიერარქის ,,თანამოკელიობას“ ნიშნავს. თორნიკე ერისთავის ამ ისტორიიდან ისიც ნათელი ხდება, რომ სვინკელოსის დანიშვნის პატივი ბიზანტიის იმპერიაში, სადაც მსოფლიო საეკლესიო კრებებს იმპერატორები ნიშნავდნენ და საერო კანონებს საეკლესიო კანონების მიხედვით ასწორებდნენ, იმპერატორს ჰქონდა. ამგვარი დანიშვნით, სიმბოლურად, სვინკელოსის სახით, სახელმწიფო იყო ეკლესიის მსახური. ეს ტრადიცია საქრისტიანო მსოფლიოს, როგორც ჩანს, დღემდე შემორჩა. თუმცა, თუ მაგალითად, ინგლისში ანგლიკანური ეკლესიის მეთაურად მონარქი ითვლება, ხოლო შვედეთის სამეფოში პროტესტანტული ეკლესიის მეთაურად - მეფე, ეს ტრადიცია, ბუნებრივი და ლოგიკურია, ცალკეულ ქვეყანაში მიიღებს თავის ინდივიდუალურ სახეს. საქართველოს ეკლესიაში, რომელიც კათალიკოს კირიონ მეორის დროს, მსოფლიო საქრისტიანო სივრცეში ავტოკეფალურია, ხოლო სახელმწიფოსთან მიმართებაში დამოუკიდებელი და იდეოლოგიურად დაპირისპირებული, სვინკელოსის დანიშვნა სახელმწიფოს მიერ ატარებს ეკლესიაში შეგზავნილი პოლიტიკური და იდეოლოგიური დესანტის შინაარსს, რაც კათალიკოს - პატრიარქის, მისი უწმინდესობის, კირიონ მეორისათვის, როგორც

ჩანს, პიროვნულად შეურაცხმყოფელი იყო. არ შეიძლება არც იმის დავიწყება, რომ დავიდოვის გაძევება და ამ შეურაცხყოფის თავიდან აცილება მის უწმინდესობას, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, კირიონ მეორეს, სიცოცხლის ფასად დაუჯდა. იოსებ იმედაშვილის წერილში მოყვანილია უჩვეულოდ მნიშვნელოვანი რელიგიური ფაქტი: კირიონის მკვლელობის შემდეგ კირიონის მიერ გაძევებულ „სვინკელოსს", მარჯვენა ხელი გახმობია, რაც ხალხის მიერ აღქმულ ყოფილა ღმერთის მიერ მოვლენილ სასჯელად კირიონის მოკვლისათვის. ამგვარად მკვლელი ღვთისაგან იქნა მხილებული, მაგრამ რა იყო მიზეზი და საფუძველი კირიონ კათალიკოსის გამიზნული მკვლელობისა, საიდუმლოდ დარჩა. ხომ არ იყო დაკავშირებული კათალიკოსის ხედვასთან ებრაელთა ბიბლიური ისტორიის მიმართ?! საიდუმლოდ დარჩა ბ-ნი გაიოზისთვის ისიც, თუ რატომ არ დაბეჭდა საქართველოს საპატრიარქომ იოსებ იმედაშვილის წერილი კირიონ კათალიკოსის მკვლელობაზე თერთმეტი წლის განმავლობაში?!

• საქართველოს ეკლესიაში განვითარებულ მოვლენათა სიღრმისეული ახსნისათვის ალბათ უმნიშვნელო არ უნდა იყოს მოვნიშნოთ, რომ საქართველოს პატრიარქის თანაშემწე ქალბატონი, რომელიც არავინ არ იცის, საიდან მოვიდა და როგორ მოიპოვა ამდენი უფლებამოსილებანი საპატრიარქოში, საპატრიარქოში მოვიდა ეკლესიის მრევლში გავრცელებული ბრალდებით: მკვლელის. ბრალმდებელი გახლდათ საქართველოს ეკლესიის ცნობილი მოძღვარი, **მამა არჩილ მინდიაშვილი. მამა არჩილი დაუფარავად აუწყებდა ადამიანებს, რომელთა შორის აღმოვჩნდი მეც, რომ მას საცოლე, ნაზი ზვიადაური, ცნობილი დისიდენტის, ნაზი შამანაურის მეგობარი, მოუკლა პატრიარქის ახლანდელმა თანაშემწემ, ხელისკვრით....და მცხეთის გზაზე ზურგიდან მომავალი მანქანის დაჯახებით...** ჩემთვის პირადად ამ ბრალდების სიმართლე დაუჯერებელი და წარმოუდგენელი იყო, და მითუმეტეს, ათიათასგზის წარმოუდგენელი იყო, რომ ხელისკვრის შემდეგი სამიზნე მე თავად გახლდით... ეგებ ამის გამოც იყო, რომ მამა არჩილმა საგანგებოდ გამაჩერა და ეს ინფორმაცია კეთილისმყოფელის გაფრთხილებად ჩამიბეჭდა გონებაში. მე მასთან იმდენად დაახლოვებული არ ვიყავი, რომ ჩემთან კონფიდენციალურ თემებზე ესაუბრა... ეს ხმები წამებული დისიდენტის, ნაზი შამანაურის მეგობრის მკვლელობაზე კარგახანს ბოგინობდა ეკლესიის ხალხში და გაურკვეველ ბრალდებად დარჩენილი ნელნელა მინელდა... გამორიცხული არ არის, რომ **იოსებ იმედაშვილის** წერილის გამოქვეყნებას კირიონ კათალიკოსის მკვლელობის შესახებ მისივე გაძევებული თანაშემწის, დავიდოვის ხელით , საქართველოს საპატრიარქომ ამ მიზეზითაც აარიდა თავი ... მიუხედავად იმისა, რომ ეს წერილი ეკლესიისათვის მიუტევებელ ცოდვად აღიარებულ საკმაოდ უარყოფით მოვლენას: საკმაოდ დიდი პიროვნების, კათალიკოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის, კირიონ მეორის თვითმკვლელობას აქარწყლებდა და ეკლესია თავად უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ამით. და მაინც საოცრად მისტიურად მეჩვენება, რომ დავიდოვის ისტორიით ბ-ნი გაიოზ იმედაშვილი მაინცა და მაინც თეთრუაშვილს მიადგა გამოსაქვეყნებლად. ძალაუნებურად ჩნდება კითხვა: „დავიდოვი", მოგეხსენებათ „დავითაშვილია". საქართველოში კი დავითაშვილებიც და თეთრუაშვილებიც ქართველებიც არიან და ებრაელებიც. როგორ ხდება, რომ ოქტომბრის რვოლუციის შედეგად მოპოვებული ავტოკეფალიით აღჭურვილი ეკლესიის პატრიარქის, კირიონ მეორის(1918) თანაშემწესაც და მსოფლიოს ახალი წესრიგისაკენ მიმავალი საქართველოს პატრიარქის თანაშემწესაც, საქართველოს სახელმწიფო ამ ნიშნით ნიშნავს?! ნუთუ შემთხვევით?

• კათალიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე, ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი წარმოუდგენლად გაბედულ შეფასებას აძლევს ებრაელთა ბიბლიურ ისტორიას. ხაზგასმით არის აღსანიშნავი, რომ ეს შეფასება ეკუთვნის მას, როგორც მეცნიერსა და პროფესიონალ ისტორიკოს-არქეოლოგს, ღრმად ნაზიარებს მე-19 საუკუნის უდიდეს არქეოლოგიურ აღმოჩენებთან, რომელთაც გადატრიალება მოახდინეს ევროპულ ბიბლეისტიკაში. ამ აღმოჩენებმა ნივთიერად დაასაბუთეს, რომ ბიბლიის მთელი კოსმოგენეზისი ნასესხები იყო სხვა ხალხის, კერძოდ, ქალდეველი ხალხის შემეცნებითი მონაპოვრიდან, იმ ხალხისგან, რომელთა ქვეყნიდანაც ბიბლიურივე გადმოცემით, მთელი თავისი დედა-ბუდით იყო წამოსული აბრაამი, პირველი პატრიარქი და ერთგვარად გენეტიკური დამწყებიც ებრაელი ხალხისა...

Äî ñèõ ïîð ñóùåñòâîâàëî ïðåâðàòíîå ïîíÿòèå î åâðåéñêîé êóëüòóðå. Áîëåå 2000 ëåò Åâðåè äåðæàëè â ðåëèãèîçíî-èñòîðè÷åñêîì ïîðàáîùåíèè ïî÷òè âåñü ìèð ñóìåâ íàâÿçàòü ÷åëîâå÷åñòâó íåãëàñíî ïðèñâîåííûå èì è îò äðåâíåéøèõ íàðîäîâ è ñêîëî÷åííûå íà ñâîé ëàä ðåëèãèîçíûå âîççðåíèÿ. Ïðèäàâ çíà÷åíèå áîæåñòâåííîãî îòêðîâåíèÿ èñêëþ÷èòåëüíî ñâîåìó íàöèîíàëüíîìó êóëüòó, åâðåè, êàê íàðîä áîãîèçáðàííûé, íàâÿçàëè âñåìó ìèðó è ñâîþ íàöèîíàëüíóþ èñòîðèþ, êîòîðàÿ ó íèõ ñëèëàñü ñ èñòîðèåé ðåëèãèè.

Ðàñêîïêè äîêàçàëè ÷òî â Ìåñîïîòàìèè çà VII-VIII òûñÿ÷ ëåò äî Ðîæäåñòâà Õðèñòîâà æèëè Êàëäû, êîòîðûå ïåðâûå â ìèðå âûðàáîòàëè ñâîþ âûñîêóþ íàöèîíàëüíóþ êóëüòóðó, ñäåëàâøóþñÿ èñòî÷íèêîì è îáðàçöîì äëÿ êóëüòóð ïîñëåäóþùèõ íàðîäîâ. Îíè æå ïåðâûå èçîáðåëè êëèíîîáðàçíûå çíàêè è ýòèì îêàçàëè âåëèêóþ óñëóãó ÷åëîâå÷åñòâó, îáëåã÷èâ áëàãîäàðÿ äàëüíåéøèì óñïîâåðøåíñòâîâàíèÿì ñîñòàâëåíèå àçáóêè. Êàëäû ïî èñòîðè÷åñêèì ïàìÿòíèêàì íàðîä ãóìàííûé

**(გაზ. „ერის ღირსება", 2006 წ. №5,6,7).**

როგორც ვხედავთ, კათალიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე საუბრობს ებრაული კულტურისა და საერთოდ ებრაული ფენომენის ხელახალი შეფასების აუცილებლობის შესახებ, „რჩეული ერის" მიერ დაუმსახურებლად და უსამართლოდ მითვისებული წოდების შესახებ, რომლის მეშვეობითაც მათ 2000 წელი ამყოფესო კაცობრიობა თავიანთი(ე.ი. ებრაულ-იუდეური) რელიგიურ-ისტორიული ღირებულებებისადმი დამონებაში. მისი უწმინდესობა, საქართველოს პატრიარქი კირიონ მეორე შეახსენებს მთელ მის თანამედროვეობას იმ ჭეშმარიტებას, რომელიც ებრაელებმა თავიანთი წმინდა წერილით დაუმალესო კაცობრიობას და რომელიც სამზეურზე ნივთიერად ამოიტანა ევროპელი მეცნიერების არქეოლოგიურმა გათხრებმა. მე-19-ე საუკუნეში წარმოებული ამ არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულებებით, ებრაელებზე უწინარესად, შუამდინარეთში, ცხოვრობდნენ ქალდები, რომელთაც თავიანთი ეროვნული კულტურით კაცობრიული ცივილიზაციის ეპოქა შექმნეს. ბიბლიის მიხედვით, სწორედ ამ ქალდების ქვეყნიდან მოდის თავისი დიდი ოჯახით ებრაელთა პირველი პატრიარქი, აბრაამი, პირველმოძღვარი და გენეტიკური საფუძვლის ჩამყრელი თავისი ერისა ახალ „სამშობლოში". წმინდა წერილი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ როგორ განსწავლეს ქალდეველთა ქვეყანაში ყოფნის დროს ქალდეველებმა აბრაამი. მხოლოდ ქრისტეს მოვლინებიდან 19 საუკუნის შემდგომ მოპოვებული ნივთიერი საბუთებით, რომელზედაც კათალიკოსი კირიონი საუბრობს, სწორედ იმ არქეოლოგიური გათხრებით და მიწიდან ამოღებული ჭეშმარიტებით იგებს კაცობრიობა ქალდეველების მოპოვებული სიბრძნის გადმოსესხების ამბავს ებრაელთა წმინდა წერილში, სამყაროს შექმნის მთელი ბიბლიური თეორიის გადმოლაგებას საკუთარ ფსიქოლოგიაზე და მორალზე მორგებით. და ფაქტიურად, ამგვარი არქეოლოგიური შემეცნების გზით იგებს მსოფლიო საზოგადოებრიობაც ქართველი ხალხის წინაპარი ხალხის - ქალდების ვინაობასა და დამსახურებასაც კაცობრიული სულიერი განვითარების ისტორიის წინაშე... მსოფლიოსთვისაც და ქართველი ხალხისთვისაც დაფარულ ისტორიას ქართველი ხალხისას...

90-იან წლებში, პროფესორი **ნოდარ ნათაძე,** ეროვნული მოძრაობის ერთგვარად საგანგებოდ შექმნილ ვითარებაში იქნა ამორჩეული პასუხის გამცემად, ქართველი ხალხის სახელით, კითხვაზე: "არის თუ არა „სიონიზმი" რასიზმი?!" და ბატონმა ნოდარმა წმინდა ქართული სულისკვეთებით, ებრაელი ხალხისთვის შემართული თანადგომითა და სიყვარულით სავსე პასუხი გამოაქვეყნა ამ საკითხზე , რუსულ ენაზე, პატარა ბროშურის სახით: სიონიზმი არისო სამშობლოს სიყვარულის მოძრაობა მხოლოდ და დასაგმობიაო გაეროს ბრალდება, გამოტანილი გაეროს დადგენილების სახით 1975 წელს, თითქოს სიონიზმი იყოს რასიზმი. ცხადია, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის საჭიროება და დემონსტრაცია პასუხის შინაარსისა გარკვეულ ძალებს სჭირდებოდათ იმისათვის, რომ გაეთვალსაჩინოებინათ და წერილობით აესახათ , თუ რა დონეზე ერკვეოდა ქართული საზოგადოება მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, და წარმოდგენა ჰქონდა თუ არა მას, ქართველ ხალხს, იმაზე, რომ თვით მისი ქვეყნის, საქართველოს და ქართველი ხალხის ეროვნული მოძრაობა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მოთხოვნით, მსოფლიოს სიონისტური მოძრაობის სამსახურში იდგა. ბ-ნ ნოდარ ნათაძისეული პასუხის სრულიად საპირისპირო ინტერპრეტაციის შემცველი იყო ბ-ნი ნოდარის ბროშურაზე უფრო ადრე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1982 წელს , თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის ოთარ გაბიძაშვილის და პოლიტოლოგ ებონ ციციაშვილის, ქართველი ებრაელის მიერ გამოცემული წიგნი: " იუდაიზმი და სიონიზმი". სიონიზმის არსი აქ გადმოცემული იყო მაღალი პროფესიონალიზმით და მსოფლიო რეალობის სიღრმისეული ცოდნით: ავტორთა ხედვაში, სიონიზმი, როგორც მსოფლიოში გაფანტული ებრაელი ხალხის მოძრაობის მიზანი ისტორიული სახელმწიფოს აღდგენისათვის, თავისი ფესვებით იუდაიზმში იდგა, ხოლო თავისი ამბიციით ემსახურებოდა ღმერთის რჩეული ერის, ებრაელი ერის მიერ მსოფლიო მმართველობის სადავეთა პყრობასა და ბიბლიური ოცნების განხორციელებას: ბიბლიური ღმერთის რჩეული ერის გაბატონებას მსოფლიოზე. „როგორც ფაშისტები, ისე სიონისტები ერთნაირი იდეოლოგიური ბუნებისანი არიან. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ გერმანელმა ფაშისტებმა შექმნეს „არიული რასის" კულტი, სიონისტები კი ცდილობენ შექმნან „უმაღლესი ებრაული რასის" კულტი"- ასეთი გახლავთ ა.მალიკის განცხადება გაეროს 26-ე სესიაზე(ციციაშვილ-გაბიძაშვილის დასახ. წიგნი. გვ.53). განსხვავებით ბ-ნ ნოდარ ნათაძის პოზიციისაგან **ებონ ციციაშვილისა** და **ოთარ გაბიძაშვილის** ამ საუნივერსიტეტო გამოკვლევით, ფაქტიურად გამოთქმულია სრულიად საპირისპირო პოზიცია, რომ გაეროს 25-ე სესიაზე, 1975 წლის 10 ნოემბერს მიღებული №3379 რეზოლუციის მიხედვით სიონიზმის გამოცხადება რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის ფორმად, სრულიად შეეფერება სინამდვილეს(იქვე, გვ.75 და მთელი წიგნი).

ავტორთა მსჯელობით რჩეული ერის გაბატონებას მსოფლიოზე, სიონისტური მოძრაობის ხედვაში, საბჭოთა კავშირის, როგორც სახელმწიფოს დაშლა ესაჭიროებოდა, რამდენადაც საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ხალხთა თანასწორობის დროშითა და რომელიმე ერის განსაკუთრებულობის უარმყოფელი კონსტიტუციით, თავად მიიმართებოდა მსოფლიოს პყრობისაკენ. მე-20-ე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ცნობიერებისათვის, მთელი ეს მსჯელობანი, ინტერესისა და ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი და ქართულ რეალობაში არავის მოსვლია თავში აზრად, რომ ისინი, ეს მსჯელობანი ბიბლიური რჩეული ერის ამბიციისა ან თანამედროვე მსოფლიოს სიონისტური მოძრაობის მიზანდასახულებისა, ქართული ეროვნული მოძრაობისათვის, ან საზღვარგარეთელი მხარდამჭერი ძალებისათვის დაეკავშირებინა. თავისი ისტორიული, ანუ ბიბლიაში გადმოცემული ამბიციით, ებრაელი ხალხი არავისთან, მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხთაგან არავისთან ისე არ იყო დაკავშირებული, როგორც ქართველ ხალხთან, არა იმიტომ რომ ქართველებსა და ებრაელებს 26 საუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებთ, არამედ იმიტომ რომ ქართველები და საქართველო წარმოადგენენ მემკვიდრე ხალხსა და ქვეყანას იმ ხალხისას და იმ ქვეყნისას, რომლის წიაღშიც, რომელთან დაპირისპირებაშიც იბადება ებ-

14 gv.

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

13 gv.

რაული რელიგიური ცნობიერება და ებრაელი ერი. ეს გახლავთ ქალდეველთა ქვეყანა, ქართველი ხალხის წინაპარი ხალხის ქვეყანა. ასე რომ ქართველებსა და ებრაელებს მარტო 26 საუკუნოვანი მეგობრობა კი არ აკავშირებთ, არამედ 40 საუკუნოვანი ერთიანი ისტორიაც, და, დასამალი არ არის, ურთიერთდაუძინებელი მტრობაც, რაც თავის საინფორმაციო მნიშვნელობას აშკარად, გამიზნულად ვერ იძენს. ბიბლიაში აღწერილია, რომ ქალდეველთა ქვეყანას, მომთაბარე ებრაული თემის წინამძღოლი, ებრაელი ხალხის ეპონიმი და პირველი მამამთავარი, აბრაამი, თავისი ღმერთის, მომავალში ებრაელთა ღმერთის გამოცხადებითა და კარნახით, თავისი დედა-ბუდით სტოვებს, და მიიმართება თავისი ახალი ღმერთის მიერ აღთქმული მიწისაკენ. შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით, თანამედროვე „სიონიზმი“, ანუ მსოფლიოს სიონისტური მოძრაობა, ებრაელთა ამ ახალი ღმერთისა და ახალი, ებრაულ-მონოთეისტური მოძღვრების მსოფლიო ბატონობისათვის, იწყება აბრაამის მოდგმის გამოსვლით ქალდეველთა ქვეყნიდან. ხოლო რამდენადაც აბრაამის წამოსვლა ქალდეველთა ქვეყნიდან მომავალი ებრაელი ხალხის ღმერთის კარნახით ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ქალდეველთა ქვეყანაში შესდგა ებრაული თემისა და ქალდეური მოდგმის რელიგიური დაპირისპირება. უფრო მეტი: ქალდეველთა ქვეყანაში შესდგა ქალდეური გენისა და ებრაული გენის რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება, ანუ ქართული გენისა და ებრაული გენის ურთიერთ-ალტერნატიულ მორალურ და ფსიქოლოგიურ თვისობრიობათა შეჯახება და დაპირისპირება. ამ შეჯახებისა და დაპირისპირების საფუძველზე შესდგა ჩამოყალიბება ებრაული რწმენისა და ებრაული რელიგიური მოძღვრების, რომელიც შემდგომში უკვე ფანატიკურ ხასიათს იღებს და გადაიზრდება მთელი კაცობრიობისადმი დაპირისპირებაში. ბიბლიური გადმოცემით ქალდეველთა ქვეყანა თავისი ახალი დედაქალაქის, ბაბილონის მიხედვით, ისტორიულად ბაბილონის სამეფოდ გარდაისახება. ქალდეველები ხდებიან ბაბილონელები. ბიბლიური გაგებით, ღმერთი, რომელიც ბაბილონის ცადაწვდენილ გოდოლს, ანუ ბაბილონის ტაძარს ანგრევს, ეს ებრაელთა ღმერთია. ეს ღმერთი , ღმერთი აბრაამისა , ისააკისა და იაკობისა, ებრაელი ხალხის უდიდეს მეფეთა ზეობაში, დავითისა და სოლომონის ზეობაში აშენებინებს, თავის დროზე ქალდეველებთან რელიგიურ დაპირისპირებაში მოსულ ებრაელ ხალხს, ახალი რწმენის და ახალი ღვთისმსახურების ტაძარს. ქალდეველთა ქვეყნიდან წამოსული ეს მომთაბარე, პატარა ებრაული თემი თავისი ბიბლიური ისტორიით დავითისა და სოლომონის ოქროს ხანას აღწევს და თავიანთი მფარველი ღმერთისათვის, იაჰვესათვის (იგივ იეღოვასათვის) აგებს ტაძარს, რომელიც“სოლომონის ტაძრის“ სახელწოდებას იღებს. მაშასადამე, ბიბლიური ცნობიერებით, ღმერთი ისრაელისა „ბაბილონის გოდლის“ სახით ანგრევს ბაბილონელთა რელიგიური ცნობიერებისა და ბაბილონური ცივილიზაციის მიერ აღმართულ საგუშაგო კოშკს, დედამიწის ყოველი მხრიდან თვალისმისაწვდენს, მსოფლიო ხალხების შესაკრებელს, რომ არ დაიფანტოს კაცობრიობა და მსოფლიო. ფაქტიურად, ბიბლიური გადმოცმით, ღმერთი ისრაელისა ანგრევს ცენტრალურ ტაძარს ქალდეველებისას და აშენებს ებრაელთა ახალი რწმენისა და ახალი ღვთისმსახურების ტაძარს „სოლომონის ტაძრის“ სახით. ამ ორი ტაძრის სახით, ბაბილონის გოდლისა და სოლომონის ტაძრის სახით ორი ცივილიზაცია უპირისპირდება ერთმანეთს. სულ ახლახანს, გაზეთ „საერთო გაზეთში“(რედაქტორი: ბ-ნი ვახტანგ ხარჩილავა) ბ-ნ დავით ქობალიას წერილით გამოქვეყნდა ინფორმაცია ინგლისელ ენათმეცნიერთა ვარაუდის შესახებ, რომ ბაბილონის ტაძრის მფლობელთა ენა იბერიულის, ანუ ძველ- ქართველურის მონათესავე უნდა იყოს... თუ არსებობს დედამიწაზე ცივილიზაციათა შეჯახება, ეს არის შეჯახება ბაბილონური, ანუ ქალდეური ცივილიზაციისა და ებრაული ცივილიზაციის, რომელიც ბაბილონური ცივილიზაციის დიდ მუხაზე ჩამოტეხილი ტოტებიდან აღმოცენდება, როგორც ჩანს, ხალხთაშორისი ურთიერთობების მორალური პრინციპების დარღვევის გზით, რის გამოც ბაბილონელებს არასოდეს შეუწყვეტიათ თვალის მიდევნება ებრაელთა რელიგიური ცხოვრების მიმდინარეობაზე. ამის გამოა, რომ ძველი აღთქმისეულ მეფეთა წიგნებში ავტორი საგანგებოდ შენიშნავს, რომ როგორც კი გადაიხრებოდნენო ებრაელები თავისი ღმერთისგან, სასჯელად შემოუსევდა ხოლმეო მათ მათივე ღმერთი ქალდეველებს. ამ შემოსევათაგან უდიდესი, რომელიც შეიძლება შევაფასოთ როგორც გარკვეული რელიგიური რევანში ქალდეველებისა ებრაელებზე , ეს არის სწორედ ებრაელთა სამეფოს ოქროს ხანის შემდგომი თავდასხმა ქალდეველებისა ებრაელებზე, სოლომონის ტაძრის დარბევა და მთელი ებრაელი ერის ტყვედ წასხმა ბაბილონში, რაც საბედისწეროდ მნიშვნელოვან ნიშანსვეტად იქცევა ებრაელი ხალხის ცხოვრებაში. ეს მნიშვნელოვნება მკაფიოდ ფორმულირდება ებრაელი ერის მთელი ისტორიის გადმოცემის მათე მახარობლისეული სქემით, იესო ქრისტეს გენეალოგიური ვინაობის წარმოსახვის კონტექსტში: აბრაამიდან დავით მეფემდე - 14 თაობა, დავითიდან ბაბილონის ტყვეობამდე - 14 თაობა, ბაბილონის ტყვეობიდან - ქრისტემდე 14 თაობა. სწორედ ეს „ბაბილონის ტყვეობა“ გახლავთ ქალდეველთა მიერ ებრაელთა ქვეყნის დარბევის ისტორია, სოლომონის ტაძრის დანგრევა და მთელი ებრაელი ხალხის წასხმა ტყვედ , ბაბილონში. ბიბლიურივე გადმოცემით, ღმერთი ისრაელისა, ბაბილონელებზე, სპარსეთის მეშვეობით იძიებს შურს, როდესაც ფალავანი ქვეყანა სპარსეთი ხდება და სპარსელები დაარბევენ ბაბილონს. იმ დროისათვის კი, როდესაც იუდეაში იესო ქრისტე მოევლინება ქვეყანას, ებრაელთა ქვეყნის მპყრობელნი არიან რომაელები, ხოლო ქალდეველი მოგვები ქრისტეს შობის სახარებლად, იერუსალიმში მოდიან სპარსეთიდან. ებრაელთა ქვეყანა რომის უზარმაზარი იმპერიის შორეული პროვინცია ხდება. სოლომონის ტაძარი, რომელიც ქრისტეს წინარე მე-10 -ე საუკუნეში ააშენებინა სოლომონ მეფემ სახელგანთქმულ ფინიკიელ არქიტექტორს - ჰირამ აბიფს, და რომლის მშენებლობასაც, ბიბლიური უწყებით, 80 ათასამდე მშენებელი ემსახურებოდა, როგორც ჰირამისეული ტაძარი, აღარ არსებობს... წყაროები გვამცნობენ, რომ ჰირამი, ლეგენდარული მცოდნე ტაძრის შენების ხელოვნებისა, ზემოდან უყურებდაო სოლომონ მეფეს და მისეული, ჰირამისეული არქიტექტურული საიდუმლოებანი, იმდენად მიუწვდომელი პიროვნული საკუთრება იყო ებრაელთათვის, რომლის წართმევაც მათ არ შეეძლოთ, რომ გაღიზიანებულ მოშურნეებს, ვერ გამოუძალავთ რა ეს საიდუმლოებანი, **ჰირამი** მოუკლავთ სოლომონის ტაძრის აშენების შემდეგ. როგორც ცნობილია, ჰირამის აშენებული „სოლომონის ტაძარი“ დაინგრა ბაბილონელთაგან, ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 586 წელს, ხოლო მეფე ჰეროდეს მიერ აღდგენილი სახე ტაძრისა დანგრეულა რომაელთაგან, ჩვენი წელთაღრიცხვის 70 წელს. დღეს უკვე, 21-ე საუკუნის პირველი მეოთხედის ისტორიულ მონაკვეთში, როდესაც ებრაელმა ხალხმა დავითისა და სოლომონის სამეფო ტერიტორიაზე, ორი ათასეული წლის შემდეგ, ისრაელის სახელმწიფო აღიდგინა, როგორც საინფორმაციო წყაროები გვაუწყებენ, იერუსალიმში, 200-ზე მეტი ავტობუსი დადის ტრანსპარანტებითა და პლაკატებით, რომლითაც გამოხატულია მოთხოვნა სოლომონის ტაძრის აღდგენის. მიზანი სოლომონის ტაძრის აღდგენისა, ცხადია, არ გულისხმობს ტაძრის აღდგენას სამუზეუმო სანახაობის მნიშვნელობით. როგორც გვახსოვს, სოლომონი ერთდროულად აშენებდა სამეფო სახლსაც და სალმერთო სახლსაც. სოლომონის ტაძრის აღდგენის მიზანი მოიცავს სოლომონის ტახტის აღდგენის მიზანსაც, მიუხედავად იმისა, რომ გავრცელებული აზრით, დავითისა და სოლომონის ხორციელი, ანუ გენეტიკური მემკვიდრე, არ შერჩენიათ ისრაელიანებს. არსებობს ინფორმაცია, რომ ისრაელის მხრიდან, წლების წინ , ისრაელის სამეფო ტახტის შეთავაზება მიიღეს ესპანეთში მცხოვრებმა ქართველმა ბაგრატიონებმა, რაზედაც ებრაელებმა ქართველ ბაგრატიონთაგან უარი მიიღეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველ ბაგრატიონთა ცთუნების საფრთხე არ არსებობს. მით უმეტეს , რომ თავად საქართველოში ფესვმოკიდებული ორგვაროვანი ინტერპრეტაცია „დავითიანობისა“, ამასთან დღევანდელი ავტორიტეტული ეკლესიის მიერ „დავითიანობის“ გაგების პროებრაული მნიშვნელობის მხარდაჭერა, გაუგებრობისა და დაბნეულობის საფუძველს ისედაც ჰქმნის, რასაც ებრაელთა დაინტერესების ფაქტიც ერთვის თან: ქართველ ბაგრატიონთა გამოცხადებისა ებრაელთა დიდი მეფის, ბიბლიური წინასწარმეტყველის, დავითის შთამომავლებად. ფაქტია ისიც, რომ გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში ებრაელებმა უკვე სცადეს გამოეყენებინათ, ცრუ გაგება „დავითიანობისა“, ანუ ქართველი მეფეების სამეფო ტიტულის - „დავითიანის“ - გაგებისა ქართველ მეფეთა ებრაული წარმომავლობის მნიშვნელობით, მითუმეტეს იმ დროს, როდესაც საქართველოს სამეფო ტახტი გაუქმებული იყო რუსეთის მიერ. მათ მოისურვეს ისრაელიანთა სამეფო ტახტის შეთავაზებით, ეცთუნებინათ ქართველი ბაგრატიონები და პრაქტიკულად მთელი მსოფლიოსთვის დაემტკიცებინათ, რომ ქართველი ბაგრატიონები ებრაელთა მეფის - დავითის შთამომავლები არიან. ამ ცთუნებას ისიც აძლიერებდა, რომ არსებობდნენ ამგვარი მოკლე ჭკუის მამულიშვილები, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ქართველ ბაგრატიონებს გენეტიკური უფლება ჰქონდათ ისრაელის ტახტიც დაეკავებინათ. **ქართველი ბაგრატიონების ამგვარი პოზიციების ხელში ჩაგდებით, ებრაელებს სურდათ, თავიანთი ტახტის გზით საქართველოს სამეფო ტახტი ჩაეგდოთ ხელთ, გაენაღდებინათ თავიანთი უფლებამოსილება საქართველოს სამეფო ტახტზე და საქართველოც და მისი ტერიტორიაც საქართველოს სამეფო ტახტიდან მიეთვისებინათ. ისრაელის ტახტზე აღსაყდრების შემთხვევაში, თავად ბაგრატიონები იქნებოდნენ მთელი მსოფლიოს წინაშე მაღიარებელნი ქართველ ბაგრატიონთა ებრაული წარმომავლობისა. უფლებამოსილებას, ძალაუფლებას და ფულს დახარბებული რომელიმე ქართველი ბაგრატიონის ცთუნებით და ფულთან ერთად ისრაელის ტახტის შეთავაზებით,** როგორც აღვნიშნეთ, ებრაელებს შეეძლოთ საქართველოს სამეფო ტახტი ჩაეგდოთ ხელთ. ყველაზე უტიფარი ვერაგობის შემთხვევაში კი - საქართველოს სამეფო ტახტი ოფიციალურად გამოეცხადებინათ დავით წინასწარმეტყველის სამკვიდრო ტახტად, რასაც ახლა თავად აკეთებინებენ საქართველოს ეკლესიას და ამით არა მხოლოდ ძალაუფლების თვალსაზრისით იგდებენ ხელთ საქართველოს სამეფო ტახტს: როგორც თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგის პოლიტიკურ სადავეთა მფლობელნი, ხელთ იგდებენ უფლებამოსილების თვალსაზრისითაც, თუ ვინ უნდა დასვან საქართველოს სამეფო ტახტზე, საქართველოში მონარქიის აღდგენის შემთხვევაში. მადლობა უფალს, ესპანეთში გადახვეწილმა ქართველმა ბაგრატიონებმა ისრაელის ტახტზე უარი განაცხადეს. თუ საქართველოს სამეფო ტახტი ებრაელთა მეფის, დავით წინასწარმეტყველის შთამომავალთა კუთვნილია, ამასთან ისეთი კომპეტენციის დასტურით, როგორიც საქართველოს ეკლესიაა, თანაც დღევანდელი მსოფლიო ავტორიტეტის მქონე ქართული ეკლესია, მაშინ ის ტახტი, ორი ათასეული წლის შემდეგაც, ერთდროულად ქრისტიანთა და ანტიქრისტიანთა კუთვნილი ტახტია! ერთდროულად ქართველთა და ებრაელთა კუთვნილი! ქართულ-ებრაული ბიბლიურ - ისტორიული 40

საუკუნოვანი ურთიერთმიმართების ფონზე, როდესაც მსოფლიოს სიონისტურმა მოძრაობამ ორიათასწლეულით დაკარგული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა, და დავითისა და სოლომონის ტახტის აღდგინებისათვის შეუდგა ზრუნვას, ცხადია, დავითიან-სოლომონიანთა მოდგმის არსებობა და საქართველოს სამეფო ტახტის, როგორც დავითიანთა სამეფო ტახტის დაუფლების იდეა, მსოფლიო ბატონობაზე მიმართულ ებრაულ ცნობიერებაში, არსად არ წასულა. თუნდაც მარტო ამ მიზნისათვის შეეცდებოდა სიონისტურ- მასონური მოძრაობა საბჭოთა კავშირი დაეშალა, და საქართველო გამოეგლიჯა რუსეთის მფარველობისაგან. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ქრისტიანები სცნობენ ძველ აღთქმას და ახალ აღთქმას ერთდროულად, ანუ ტოლერანტულნი არიან იუდეველთა მიმართ, მაგრამ იუდეველნი მხოლოდ ძველი აღთქმის მცნობელნი და მაღიარებელნი არიან და ახალი აღთქმა მათთვის მიუღებელია. იმისათვის რომ ქართულმა საზოგადოებრიობამ გაიაზროს, რა საშიშროების წინაშე დგას საქართველო, ბაგრატიონთა „დავითიანობის“ ეკლესიური ინტერპრეტაციით, იმისათვის რომ გავიაზროთ , თუ რამხელა ლტოლვა აქვს ისრაელს საქართველოს მიმართ, ვფიქრობ, საინტერესო იქნება ვახსენო ერთი ეპიზოდი 90-იანი წლების საქართველოს ცხოვრებიდან, მონათხრობი თვითმხილველისაგან, ისტორიულ საგვარეულოთა საკრებულოს ერთერთ შეკრებაზე.

როდესაც **ზვიად გამსახურდია** პრეზიდენტი გახდა, ისრაელს უთხოვია მისთვის, საქართველოს პრეზიდენტისათვის, მიეღო მისი, ე. ი. ისრაელის წარმომადგენელი კონფიდენციალური საუბრისათვის. ზვიადი დათანხმებულა მიღებაზე და როდესაც ეს საუბარი შემდგარა და სტუმარიც გაუსტუმრებია ზვიადს, როგორც თვითმხილველი ბ-ნი იგორ ჩხეიძე გადმოგვცემს, გამოსულა აღელვებული ზვიადი იქ მყოფ თავისიანებთან, თავზე ორივეხელშემორტყმული შემდეგი სიტყვებით:“ რა დღეში ვართ, ხალხო! ისრაელი კონფედერაციას გვთხოვს“-ო.

ქართული საზოგადოებრიობის ყურადღება მინდა მივაპყრო კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას: **ზვიად გამსახურდიას** პრეზიდენტობიდან, ე. ი. 1991 წლიდან სამ-ოთხ წელიწადში საქართველოში, თბილისში, იწყება ერთგვარი სექტანტური მოძრაობა დევიზით: „საქართველოში უნდა დაიდგას მამა ღმერთის ტახტი“. ამ ფორმულირების ავტორად მოგვევლინება ქართველი მწერალი, ბ-ნი **აკაკი ჯორჯაძე**, ახალი რელიგიური სტატუსით: „სასძლო კაცი“. ჩემი უახლოესი ადამიანი, ლია გულედანი, რომელიც თავს ჩემს სულიერ შვილად თვლის, 90-იან წლებში მახვედრებს ბ-ნ აკაკი ჯორჯაძეს, როგორც ახალ მოძღვარს, რომელზეც ჩემი აზრი უნდა რომ გაარკვიოს, და ბ-ნი აკაკი პირველი შეხვედრისთანავე მიცხადებს ღიად: „საქართველოში უნდა დაიდგას მამა ღმერთის ტახტი!“ მე, როგორც იტყვიან, არც ვაციებ და არც ვაცხელებ, პირდაპირ თავისი მიმდევრების წინ ვპასუხობ: „ბ-ნო აკაკი, თქვენ ებრაული აზროვნება გაქვთ. მამა ღმერთის ტახტს თქვენი დადგმა არ სჭირდება. ის დიდი ხანია დადგმულია ებრაული ცნობიერების მიერ“. რამდენიმე წლის შემდეგ კი, შევუთვლი: „საქართველოში მამის ტახტი დაიდგმება, მხოლოდ დედა უფლისათვის მარჯუენით“, რაც ჩემი სამეცნიერო შრომებით ნიშნავს ქრისტიანული წმინდა სამების - მამისა, ძისა და სულიწმიდის - მესამე ჰიპოსტაზის, ანუ სულიწმიდის ჰიპოსტაზის გაცხადებას დედურ საწყისად ქართული თეოლოგიური აზროვნების მისიით. სხვათაშორის, ბ-ნმა აკაკი ჯორჯაძემ, მას შემდეგ, რაც ჩვენ მის რელიგიურ იდეას ებრაული იდეა ვუწოდეთ და მისი „სასძლო კაცობა“ ქრისტიანობის იუდაიზმად გადაკეთების მოძრაობად შევაფასეთ, ბ-ნმა აკაკიმ თავის რელიგიურ მოძრაობას ანტი ებრაულ-მასონური პოლიტიკური ხასიათი მისცა, რასაც ჩემთვის უკვე მისეული მთავარი დევიზის - „საქართველოში მამაღმერთის ტახტის დადგმის“ - დამცავი მექანიზმის მნიშვნელობა ჰქონდა. მომავალში, ალბათ , ეს ყველაფერი გაიშიფრება საჭირო სიღრმითა და აკადემიურობით, თუ რამ წარმოშვა ბ-ნ აკაკი ჯორჯაძისეული, ეკლესიასთან ერთგვარად დაპირისპირებული, სექტანტური მოძრაობა, მაგრამ ფაქტი ერთია: საქართველოში პოულობენ ადამიანებს და გზებს, რომლებიც იქადაგებენ მამა ღმერთის ებრაული ზეციური ტახტისათვისაც და ებრაული მიწიერი სამეფო ტახტისათვისაც. სახეზეა მცდელობანი ქართული მიწისა და საქართველოს ზეცის ერთიან დაპყრობისა არაქართული და ანტიქართული ძალის მიერ. მსოფლიოს ახალი წესრიგის მესვეურნი ახერხებენ ინფორმაციული ომის გაჩაღებას საქართველოს ეროვნული ღირსებისა და ეროვნული მეობის წინააღმდეგ ქართველი მეცნიერების და საერთოდ ფიზიკური ქართველების ხელით.

ამრიგად, ორივე ეს ისტორიული ფაქტი: ისრაელიანთა მხრიდან ესპანეთში მცხოვრები ქართველი ბაგრატიონებისათვის ისრაელის სამეფო ტახტის შეთავაზებაც და ისრაელის მხრიდან კონფედერაციის საქართველოსთვის შეთავაზებაც, სრულიად გამოკვეთილად აჩვენებს ისრაელიანთა სიღრმისეულ დაინტერესებას საქართველოთი, და არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს სხვა მრავალსაბუთები ამ აზრის დასადასტურებლად და ნათელსაყოფად. დასაბუთებას არ საჭიროებს აღარც ის ფაქტი, რომ თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგის მესვეურები ებრაელი კაპიტალისტები არიან. დასაბუთებას არ საჭიროებს არც ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი დაშალეს სიონისტურ-მასონურმა ძალებმა. სახეზე გვაქვს ის რეალობაც, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში სახელმწიფო მექანიზმს სიონისტი მასონები ფლობენ: კერძოდ, საყოველთაოდ ცნობილია, რომ რევოლუციებს ჯორჯ სოროსი გვიწყობს და სახელმწიფო პრინციპებს დიდი სიონისტი ბიზნესმენი ჯორჯ სოროსი გვიდგენს. ხელისგულზე დევს, ყველა ჩვენთაგანის თვალწინ საქართველოს ეკლესიის განსაკუთრებული სიმპათიების გაჟღერება ებრაელთა დიდი მეფის , დავით მეფსალმუნის მიმართ, დაგვირგვინება ამ აფიშირებული სიმპათიისა საგანგებო გადასაფარებლის მოქარგვით დავითის საფლავის გადასაფარებლად და იერუსალიმში, საქართველოს ეკლესიის დიდი ამალითურთ, საქართველოს პატრიარქის მიერ ამ გადასაფარებლის გადაფარების რიტუალით. **საქართველოს ეკლესია ისრაელში იქით უწყებს მტკიცებას ისრაელის მთავრობას, რომ ჩვენი მეფეები ისრაელიანთა დიდი მეფის, დავით მეფსალმუნის შთამომავლები არიან. რაღა დაგვრჩა იქამდე, რომ საქართველოს სამეფო ტახტიც ისრაელს ჩავაბაროთ?!** ეკლესია ხომ ამ მიმართულებით მიდის?! სრულიად არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ყველა საიდუმლო ღონისძიებას საქართველოს ეკლესიაში მართავს ქართულ-ებრაული საგვარეულო წარმომავლობის **ქალბატონი, თეთრუაშვილი,** საქართველოს პატრიარქის ცნობილი თანაშემწექალბატონი და საპატრიარქოში მსახურებისა და ნებისმიერი ფუნქციის აღმასრულებლობის უშუალო განმგებელი. საპატრიარქოს კონსულტანტად მონარქიის საკითხებში სწორედ მის მიერ ხელდასხმული **გაიოზ მამალაძე** აცხადებს თავისთავს მოძღვრად ქართული ეკლესიისად. გაიოზ მამალაძის არაკვალიფიციური და სრულიად ტენდენციური, გამიზნული მსჯელობით, რომელიც მის მიერ მონარქისტულ საკითხებთან დაკავშირებულ წიგნშია წარმოდგენილი, ებრაელები ქართველები არიან. საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლის უფლებამოსილება **გაიოზ მამალაძის** გამოგონილი ლეგიტიმაციით მხოლოდ მასონური ორიენტაციის **დავით ბატონიშვილისა** და საქართველოს სამეფო ტახტის პირდაპირი მემკვიდრის, ბატონიშვილ **ნუგზარ ბაგრატიონის** ქალიშვილის, ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის ქორწინებით შეიძლებოდა მიღწეულიყო. საქართველოს პატრიარქს ამ გამოგონილი ქორწინების ლოცვაკურთხევა გამოსძალეს... და საქართველოში ერთდროულად შექმნეს ლეგიტიმური უფლისწულიცა და ქართველ ტამპლიერთა ორდენიც, მომავალი მეფეც და მისი დამცველი საერთაშორისო ლაშქარიც. როგორც გაზეთებშიც დაიწერა, საქმეში თვით ინგლისის დედოფალი ელისაბედია ჩართული, მსოფლიოს მასონური მოძრაობის დედოფალი, რომელსაც საქართველოს პატრიარქი ინგლისში ვიზიტის დროს პირადად შეხვდა.

ბაგრატიონთა სახლიც, მისი კანცლერი, ბ-ნი **კახა ქორიძეც** და პირადად ბატონიშვილი **ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკიც** დაუფარავად აღიარებენ, რომ ეს ქორწინება ე.წ. ლეგიტიმური უფლისწულის ხელოვნურად შექმნისა საქართველოს პატრიარქის მოთხოვნა იყო და რაიმე აუცილებლობა გენეტიკური თვალსაზრისით არ არსებობდა... „ბაგრატიონთა სამეფო სახლის“ ოფიციალურ ინტერნეტ გვერდებზე არაერთგზის შევხვდებით განმარტებას, რომ „ბაგრატიონ-გრუზინსკების ოჯახს ნამდვილად არ სჭირდებოდა ქალიშვილის ხელმეორედ გათხოვება მემკვიდრეობის გასამაგრებლად, რადგან ტახტის მემკვიდრეობის რიგში მამის შემდეგ კანონიერად იდგა და დგას **ანა ბატონიშვილი,** შემდეგ კი მისი ქალიშვილი - ირინე“. ბაგრატიონთა სახლის ოფიციალურ განმარტებებში ახსნილია ისიც, რომ ანა ბატონიშვილის მეუღლე - **გრიგოლ მალანია** - რომლისაგანაც ანას ორი ქალიშვილი ჰყავს, დედის მხრიდან, საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი მე-12-ის შთამომავალია. მადრიდელ ბაგრატიონებს, რომელთაც დავით ბატონიშვილი ეკუთვნის, არანაირი უპირატესობა უკვე სახეზე მყოფ რეალიებთან მიმართებაში არ გააჩნია და ბაგრატიონ - გრუზინსკების ახსნით ანა ბატონიშვილის გაყრა-გაცილება საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი მე-12-ის შთამომავალ ქმართან და მადრიდელ დავით ბატონიშვილზე ქორწინება, მხოლოდ პატრიარქის ხათრით განხორციელებული ღონისძიება იყო. ჩნდება ეჭვი, რომ არსებობდა გარკვეული პოლიტიკური ინტერესი ესპანელი **დავით ბაგრატიონის** პიროვნული შემოყვანისა საქართველოს სატახტო უფლებამოსილებებში, რადგან მისი ზნეობრივი პორტრეტი ამას არ იმსახურებდა, ხოლო მისი მსოფლმხედველობრივი ვინაობა ქართული საზოგადოებრიობისათვის უცნობი იყო. ბაგრატიონთა სახლის ოფიციალური ვებ გვერდით განმარტებულია ისიც, რომ მადრიდელ ბაგრატიონებს საქართველოს სამეფო ტახტზე მემკვიდრეობა არ ეკუთვნით, რომ მათ ეს უფლებამოსილება მითვისებული ჰქონდათ ბაგრატიონ- გრუზინსკებისაგან, რამდენადაც მათ,როგორც ესპანეთში მაცხოვრებლებს, ეგონათ, რომ საბჭოთა რეჟიმის პირობებში მაცხოვრებელი ბაგრატიონები განადგურებულები იყვნენ. ბატონიშვილ დავითს მოუხდა ბოდიშის მოხდა ბაგრატიონ - გრუზინსკებთან იმ თავდაჭერისათვის, რომელსაც მადრიდელი ბაგრატიონები იჩენდნენ და აღიარება ბაგრატიონ-გრუზინსკების ნამდვილი უპირატესობისა მათთან, მადრიდელ ბაგრატიონებთან მიმართებაში.. ლეგიტიმური უფლისწულის მთელი ეს თეორია ხორციელდებოდა საპატრიარქოში ჩვენს მიერ წოდებული ე.წ. „მარდოქაი - ესთერის“ მექანიზმით. ბიბლიური წიგნის “ესთერის“ მოშველიებით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ლეგიტიმური უფლისწულის შექმნის საიდუმლო პროცედურა აშკარად იმართებოდა სახელმწიფოს მხრიდან. საბოლოოდ კი ისინი, სახელმწიფოც და პატრიარქიც ამ პროცედურაში აღმოჩნდნენ სრულიად ერთიანნი.

ბაზალეთის ტბა ხომ ჩავაბარეთ თავისი ოქროს აკვნით ებრაელებს, აჭარა ხომ ჩავაბარეთ თურქებს?! აფხაზეთი ხომ ჩავაბარეთ რუსეთს?! საინფორმაციო ომი აფხაზეთში ხომ წავაგეთ? საქართველოს მეფეთა გამოცხადებით ისრაელის მეფის შთამომავლებად ხომ მთელი ქრისტიანული საქართველოს თვითმყოფადობა უარვყავით?! ამაზე უარესი რა უნდა გვიყოს მტერმა, ჩემო ქართველო ხალხო?! ხომ დავემორჩილეთ მსოფლიოს ახალ წესრიგს, რომელშიც ერთადერთ ერსა აქვს უფლება ერად ყოფნის: ებრაელ ერს. მსოფლიოს ახალი წესრიგით ჩვენ ყველას ხომ ღია სამოქალაქო საზოგადოებებად ყოფნა გვაქვს მოსჯილი, როგორც ჩვენს მიერ მოპოვებული თავისუფლება და დამოუკიდებლობა?! არაუშავს! საქართველოს პატრიარქი ხომ მოგვიწოდებს რომ მერხიდანვე ვისწავლოთ ანალიტიკური აზროვნება?! ცხადია, უნდა ვისწავლოთ! ოღონდ, როცა ჩვენ ანალიტიკურ აზროვნებას ვისწავლით, საქართველოში უკვე ყველაფერი იქნება გაანალიზებული და ჩვენი გასაანალიზებელი აღარაფერი აღარ იქნება! ეს უნდა ვიცოდეთ. უკვე ყველაფერი გვექნება ჩაბარებული მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

**შეკვეთილი მასალა. ნარკვევში გამოთქმულ მოსაზრებებზე და ფაქტების სისწორეზე პასუხისმგებელია ავტორი**

# მოვიაროთ საქართველო!

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში**

## დავით–გარეჯი

ფეოდალური ხანის საქართველოს რელიგიურ-კულტურული ცენტრი, სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, გარეჯის სერზე. რამდენიმე მოგზაური აზერბაიჯანის საზღვრისკენ მაინც გაემართა, რადგან კომპლექსის ნაწილი, ბერთუბანი და ჩიჩხიტური უკვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა მოქცეული, თუმცა სივრცის გარდა რაიმეს ნახვა შეუძლებელი აღმოჩნდა, მითუმეტეს, სასულიერო პირებისგან ვიცოდით, რომ ერთი ზედმეტი ნაბიჯი, შეიძლება, ცუდად დამთავრებულიყო – გაუფრთხილებლად ისვრიანო. როდესაც ჩვენსას იტაცებდნენ, გამაფრთხილებლად მაინც გაესროლათ აქედან... და კიდევ მეგობრობაზეა საუბარი...



დავით გარეჯი



დავით გარეჯი

იმ გადატრუსულ და ხრიოკ გარემოში არამქვეყნიური სილამაზეა გარეჯის „ცისარტყელები“, თითქოს ნახატიაო...

დავით-გარეჯის კომპლექსი დაარსდა VI საუკუნის I ნახევარში ერთ-ერთი ასურელი მამის, დავითის მიერ, რომელიც თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად მოვიდა გარეჯის უდაბნოში და დასახლდა პატარა ბუნებრივ მღვიმეში. აქედან ჩაეყარა საფუძველი მონასტერს, რომელიც მომდევნო საუკუნეებში ცნობილი გახდა დავითის ლავრას სახელით. დროთა განმავლობაში ლავრას განშტოებები შეემატა და ერთხანს მონასტერთა რიცხვი თორმეტი იყო („გარეჯის ათორმეტნი მონასტერი“). თავისთავად შეიქმნა ერთმანეთსგან დაშორებულ მონასტერთა კომპლექსების ქსელი: წამებული, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, თეთრსენაკები, დოდოს რქა, უდაბნო, აღდგომისაწამებული, ბერთუბანი, მღვიმე, ქოლაგირი, ვერანგარეჯა, პირუკუღმართი, დიდი და პატარა ქვაბები.

XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა დავით გარეჯის მონასტერი სამეფო საკუთრებად აქცია, მაგრამ 1265 წელს მონღოლთა ლაშქარმა ბერქა-ყაენის სარდლობით დაარბია მონასტერიც და მისი მიდამოებიც. ამის შემდეგ გიორგი ბრწყინვალეს მონდომებით იქცა მძლავრ პოლიტიკურ და ეკომონიკურ ცენტრად, გარეჯელი სასულიერო პირები მონაწილეობდნენ სამეფო დარბაზის მუშაობასა და ქვეყნის საეკლესიო საქმეების მართვაში.

XIV საუკუნის ბოლოს თემურ-ლენგის მრავალგზის ლაშქრობის დროს სამონასტრო ცხოვრება მოიშალა.

1424 წელს ალექსანდრე I-მა დიდმა დავით-გარეჯა მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ეკლესიას შესწირა.

1616-1617 წლებში კვლავ დაარბიეს სპარსელებმა და მონასტრები გაუქმდა.

1639 წელს თეიმურაზ I-მა აღადგინა სამონასტრო ცხოვრება და XVIII საუკუნეში კვლავ მეფის ხელდებული გახდა, მას ეკუთვნოდა ვრცელი მამულები, სოფლები და იქ მოსახლე გლეხები სამონასტრო ყმებად ითვლებოდნენ. დავით-გარეჯის მონასტრებმა XIX საუკუნის დასასრულამდე იარსება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდის დავით-გარეჯის მონასტრების სახე მკვეთრად განსხვავდება ადრინდელი პერიოდის მონასტრებისგან – მთავარ ეკლესიებსა და სატრაპეზოებში უბრალოება შეცვალა დიდებულებამ.



სოფელი უდაბნო

დავით-გარეჯის მხატვრობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქტიტორთა მრავალრიცხოვანი გამოსახულებები. ქტიტორთა პორტრეტები ზომით ბევრად ჭარბობს რელიგიური პერსონაჟების გამოსახულებებს. დავით-გარეჯის მონასტრებში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ: ონოფრე გარეჯელი (XIIს), დემეტრე I, ონოფრე მაჭუტაძე (XVII-XVIIIსს), სულხან-საბა ორბელიანი, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (XVIIIს), გაბრიელ საგინაშვილი (XVIIIს), გრიგოლ დოდორქელი, ანტონ I, ტიმოთე გაბაშვილი, გაბრიელ მცირე და სხვა. გარეჯელი მოღვაწეები წერდნენ ხელნაწერებს, ადგენდნენ კრებულებს, ეხმარებოდნენ კულტურის სხვა კერებს და ამდიდრებდნენ იქ დაცულ ხელნაწერთა მდიდარ ფონდს.

## ღირსი მამა დავით გარეჯელი

ღირსი და საკვირველმოქმედი მამა დავით გარეჯელის დაბადების ზუსტი თარიღი და ადგილი უცნობია, მაგრამ ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მოზარდი მისივე თანამემამულის, წმინდა მამა იოანე ზედაზნელის სულიერი შვილი გახდა. როდესაც საკვირველმოქმედი ღირსი მამა იოანე განერიდა კაცთა დიდებას, თავის მოწაფეებიანად მცხეთაში წამოვიდა და პატიოსანი სვეტის თაყვანისცემის შემდეგ დედაქალაქის ჩრდილოეთით მდებარე მთაზე შეჩერდა, იქიდან კი, მოძღვარის კურთხევით, ზოგმა კახეთს მიაშურა, ზოგმა – დვალეთს. მამა დავითმა თავდაპირველად თბილისი აირჩია სამოღვაწეოდ და ბერ ლუკიანესთან ერთად ქალაქის დასავლეთით, მთის ფერდობზე, გამოქვაბულში დასახლდა. მამა დავითის ლოცვით მის გამოქვაბულთან სასწაულმოქმედმა წყალმაც ამოხეთქა და უამრავი ხალხი დადიოდა მასთან აღსარებაზე. იმდროინდელი თბილისი ცეცხლთაყვანისმცემლობის გავლენის ქვეშ იყო და როდესაც მოგვებმა მამა დავითის სახით საშიშროება დაინახეს, მეძავი ქალი გამოიყენეს ცილისწამების იარაღად და მამა დავითს მასთან მრუშობა დასწამეს. მამა დავითმა ქალს ჯვრისგამოსახულებიანი კვერთხის შეხებით აღიარებინა სიმართლე (ქალი ხალხმა ჩაქოლა), მაგრამ გულგატეხილმა მამამ ბერ ლუკიანესთან ერთად დატოვა ქალაქი და ხალხისგან მოშორებული ყარაიას ველი, გარეჯის უდაბნო აირჩია საცხოვრებლად, მზისგან გადამწვარი, ქვეწარმავლებით სავსე, კლდოვანი ადგილი და მასში გამოკვეთილ ქვაბულში დასახლდა. უწყლო უდაბნოში ორი ირემი გამოჩნდა ნუკრთან ერთად და მათი რძისგან უკვე რძეც ჰქონდათ და ყველიც. ირმების კვალმა მონადირეები მამა დავითთან და ლუკიანესთან მიიყვანა და ასე გავრცელდა მათი იქ ბინადრობის ამბავი, რის შემდეგაც ხალხმა იწყო დენა სულის განსაწმედლად.



ღირსი მამა დავით გარეჯელი

ერთხელ, მამა დავითმა იერუსალიმის მოლოცვა გადაწყვიტა, მონასტრის კრებული ლუკიანეს ჩააბარა და რამდენიმე სულიერ ძმასთან ერთად გაეშურა წმინდა ქალაქისკენ. როდესაც მიაღწიეს ადგილს, რომელსაც მადლის ქედი ეწოდება, საიდანაც მთელი იერუსალიმი ჩანს, მამა დავითი პირქვე დაემხო და ძმები გაუშვა იერუსალიმში რათა მისი სულისთვისაც ელოცათ, თვითონ კი, ხანგრძლივი ლოცვის შემდეგ მუხლმოდრეკილმა სამი ქვა აიღო დიდი რწმენით, რომ თითქოს ის ქვები უფლის საფლავისგან იყო გამოკვეთილი, კრძალვით ჩააწყო კალათში და გარეჯისკენ გაბრუნდა. იმავე ღამეს უფლის ანგელოზი გამოეცხადა იერუსალიმის პატრიარქ ელიას და აუწყა, ჩემი მონა, დავითი იყო, თავისი სარწმუნოებით იერუსალიმის მადლი წაიღო, კალათში სამი ქვა უდევს, ამიტომ, სასწრაფოდ დაადევნე მალემსრბოლები და მხოლოდ ერთი ქვა დაუტოვონ, ორი ქვა კი იერუსალიმში დაბრუნდეს რათა იერუსალიმი სრულად არ განიცალოს მადლისგანო. როდესაც დაეწივნენ და კრძალვით მოთხოვეს ქვების დაბრუნება, ღვთის სახიერებით გაკვირვებული მამა დავითი მიწაზე დაემხო და მადლობა შესწირა უფალს, თუმცა მიუხედავად პატრიარქის გაგზავნილი კაცის ვედრებისა, ღირსი მამა აღარ მიბრუნდა იერუსალიმში, გარეჯისკენ განაგრძო გზა და იერუსალიმის მადლი მოჰფინა თავის სულიერ შვილებს.



მადლის ქვა

სიწმინდის თაყვანსაცემად უამრავი ხალხი მიდიოდა უდაბნოში, რადგან ღვთის ნებით, ქვა სასწაულმოქმედი ძალით აღივსო – მასზე შეხება უკურნებელი სენისგან კურნავდა მიმლოცველს.

როდესაც ღირს მამას უფლისგან ეუწყა, რომ მალე ზეციურ სავანეში განისვენებდა, მოიხმო სულიერი ძმები და უკანასკნელად დამოძღვრა, ნუ შეძრწუნდებით, პირიქით, უფრო განმტკიცდით და გამძლავრდითო, ეზიარა და გადასახლდა ზეციურ სავანეში...

გარდაცვლილი წმინდანის სხეულიდან მადლი გადმოდიოდა...

მოწაფეებმა წმინდა დავით გარეჯელი იმავე სენაკში დაკრძალეს სადაც მრავალი წელი გაატარა. მის საფლავზე დიდხანს იდო იერუსალიმიდან ჩამოტანილი ქვა და სასწაულმოქმედი მადლით კურნავდა რწმენით მიახლოებულ მიმლოცველებს.

მოგზაურობის მსურველებს შუძლიათ დაუკავშირდენენ ტელეფონზე 598 73 12 22



ინტერვიუ პოლიტოლოგ
**ჰამლეტ ჭიპაშვილთან**

# ახლა ერთი ძალიან სერიოზული რამ მინდა გითხრათ...

## საქართველოს, ჩემო კარგო, მალე დედას უტირებენ

**— ბატონო ჰამლეტ, ზოგიერთების მოსაზრებით, საქართველოში წყნარი სიტუაციაა და ეს კარგია, ზოგი მიიჩნევს, რომ ქარიშხლისწინა სიჩუმე დგას და სინამდვილეში საქმე ძალიან ცუდადაა, რასაც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უშველის მხოლოდ. თქვენ რას ფიქრობთ, როგორია თქვენი შეფასება?**

— ძალიან მძიმე სიტუაციაა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის კუთხით, მაგრამ მე მაინც არ ვიზიარებ ზოგიერთების მოსაზრებას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის თაობაზე, რადგან, რა ხლამიც პარლამენტშია, უფრო უარესი არის გარეთ. ბურჯანაძე, კუკავა, ყველა დროის ოპოზიციონერი — ნათელაშვილი, ბაღათურია და სხვები არ მგონია, ამ ხელისუფლების ალტერნატივა იყოს. თუმცა არაფერია გასაკვირი. ისე აქვს ხალხს თავგზა აბნეული, რომ შეიძლება მომავალი პარლამენტი უარესი დაკომპლექტდეს. პარლამენტს გარეთ და შიგნით ისეთი პოლიტიკური სპექტრი გვყავს, რომლებსაც არც ერთ ქვეყანაში პოლიტიკის სიახლოვესაც არ მიუშვებდნენ.

აფხაზეთსა და რუსეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი და ეს არ მოგვწონს. იმას კი არ ვკითხულობთ, რა უნდა ექნა რუსეთს? ჯერ ერთი, ომი საქართველომ დაიწყო. დაიკარგა აფხაზეთი და სამაჩაბლო. რუსეთმა შემოგვთავაზა — დაჯექით აფხაზებთან და ოსებთან მოლაპარაკების მაგიდასთან და ქვეყნის მოწყობის საკითხები განიხილეთო. წავუყრუეთ: სააკაშვილი კი პირზე დუჟმომდგარი აგრძელებდა აგრესიულ რიტორიკას რუსეთის მიმართ და მუქარები: ძალით მაინც დავიბრუნებთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონსო, რასაც მოჰყვა ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მხრიდან...

დღემდე გრძელდება ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით ხელისუფლების გამოსვლები. აპირებენ საქართველოს ტერიტორიაზე საწვრთნელი ბაზების გახსნას. კი, მაგრამ, საწვრთნელი ბაზები იგივე სამხედრო ბაზები არ არის?

როდესაც საქართველოში ნატოს ბაზების დისლოკაციაზე მიდის მუდმივი საუბარი, ხოლო ნატო რუსეთის სახელმწიფოს პირდაპირი მოწინააღმდეგეა, უნდა ელოდო, რომ რუსეთი შესაბამის ნაბიჯს გადადგამს.

ამასთანავე, თუ ჩვენ აფხაზებთან და ოსებთან თანაცხოვრება გვსურს — არც აფხაზეთს და არც ცხინვალს ნატოში ინტეგრაცია არ სურს. ეს არაერთხელ განაცხადეს იქაურმა პოლიტიკოსებმა.

ქართველი პოლიტიკოსები ძალით გვატენიან ევროკავშირსა და ნატოს, თორემ ყველამ კარგად იცის, ვერც ნატოში შევალთ და ვერც ევროკავშირში. ობამამაც განაცხადა ამის შესახებ და ნატოს გენერალურმა მდივანმაც.

**— მალე პარაფირების ხელშეკრულების რატიფიცირება მოხდება... რა დადებით შედეგებს მოგვიტანს ეს? ნატოში ინტეგრაციის დადებით მხარეებზეც მითხარით რამდენიმე სიტყვა.**

— რა გაგვიხურეს, მართლაც, საქმე?! მოაწერე პარაფირებას ხელი? — შეცდი. გასაგებია, მაგრამ ნუღა იმეორებ ამას ყოველდღიურად, ნუ ლაპარაკობ ბრიყვულად — ასრულდა ჩვენი ნაოცნებარი, ვუახლოვდებით ევროკავშირსო. ესაა ტყუილი ლაქლაქი. ევროკავშირში ვერასდროს შევა საქართველო.

რაც შეეხება ნატოს. მის დადებით მხარეებზე ვერ ვისაუბრებ, რადგან რაიმე ხელმოსაჭიდს ამ კუთხით, ვერ ვხედავ. ერთი კი ვიცი, ნატო არ არის სახარბიელო ჩვენი ქვეყნისთვის. ამას გეუბნებით კატეგორიულად. დიახ, ნატო არის დაქცევა ჩვენი ქვეყნის. მაგრამ... ამით დაინტერესებულია ჩვენი ხელისუფლება. რატომ? მეტი ფულის მომტანია ყოველივე ეს. „ძოვენ" ამერიკულ, ბრიუსელის ფულებს ისე, როგორც, მაგალითად, ახალგაზრდა იურისტები. ვინ —უხდის ამათ ხელფასებს? ამერიკის შეერთებული შტატები.

რაც შეეხება ხელისუფლების წარმომადგენლებს. მათი უმეტესობა არასამთავრობოებიდან არის მოსული.

**— გასაგებია თქვენი პოზიცია, ბატონო ჰამლეტ, მაგრამ რატომ გეჯავრებათ ასე ძალიან ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი?**

— მე აკვიატება არა მაქვს, ამიტომ გეტყვით, ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში, თუნდაც იმხელა საწევრო გადასახადი გვექნება, რომ ეს დიდი დარტყმა იქნება ჩვენს ბიუჯეტზე. ამასაც რომ თავი დავანებოთ: რას გვაძლევს ეს კავშირები?!

**— თქვენი ლოგიკით, აგრესიულ რუსეთს უნდა ჩავეხუტოთ? თქვენ რუსეთუმე გამოდიხართ.**

— არ ვარ მე არავითარი რუსეთუმე. მე გახლავართ ობიექტური რეალობის შემფასებელი.

თუკი ვამბობთ, რომ გვსურს დავიბრუნოთ ტერიტორიები, ნატოსა და ევროკავშირზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, მით უფრო, რომ ამ ორგანიზაციებში გაწევრიანება ყოვლად არარეალურია, ჩვენ ერთი გაჭირვებული ქვეყანა ვართ. სულს ძლივს ვღაფავთ მაშინ, როცა ჩვენს გვერდით 40 მლნ-იანი განვითარებული თურქეთია, რომელიც 50 წელიწადი ელოდება ევროკავშირში შესვლას.

შევეშვათ ოცნებებს. ჩვენ არავინ შეგვიშვებს არც ნატოში და არც ევროკავშირში. ამიტომ ხელები უნდა დავიკაპიწოთ და ვიშრომოთ დღე და ღამე.

**— რუსეთი არ გვაძლევს მოსვენებას და როგორ ვიშრომოთ?**

— *(ღიმება.)* გასაგებია, მაგრამ ქალაქის მერს დავით ნარმანიას ვინ უშლის ხელს, გოგებაშვილის და დავით ყიფიანის სახელობის ქუჩებზე ასფალტი დააგოს?!

ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენს პრობლემებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველი ხალხი მოუმწიფებელი აღმოჩნდა პრობლემების წინაშე.

პოლიტიკა დღეს ფულის საკეთებელ ადგილად იქცა.

არ მუშაობს არც ერთი ფაბრიკა, ქარხანა ან რაიმე მსგავსი ორგანიზაცია, სამაგიეროდ, არსებობს ფულის საკეთებელი ქარხანა, იგივე პარლამენტი. ღებულობენ მოსახლეობასთან შედარებით უდიდეს თანხას. ქვეყანაში ეკონომიკა არ არსებობს და აბსტრაქტულ თემებზე კი არ უნდა ილაპარაკონ, არამედ საქმეზე. დაუჩემებიათ ეს ევროკავშირი. რაში გვაძლევს ხელს ევროკავშირის წევრობა ეკონომიკური ან პოლიტიკური კუთხით? ევროპაში ყრია საქონელი და ვერ გაუსაღებიათ. ევროკავშირის ქვეყნები ცდილობენ, როგორმე მონახონ გასაღების ბაზრები. ამ ბოლო ხანებში 40 მლრდ-მდე დოლარი დაკარგა ევროკავშირმა რუსული სანქციების წყალობით, რუსეთის ბაზარზე აღარ შედის ევროპული პროდუქცია.

ჩვენთან ჯერ არავითარი სახის პროდუქციის წარმოება არ დაგვიწყია არც კონკურენტუნარიანის, არც კონკურენტუუნაროსი. აქ რომ ევროკავშირის პროდუქცია შემოვა, ვერანაირი ხერხით ვერ შევძლებთ ადგილობრივი პროდუქციის გასაღებას. შემოიზიდება ფრანგული, ესპანური, იტალიური საქონელი და ვნახოთ, რაზე იქნება მოთხოვნა ქართულზე თუ უცხოურზე.

**— ახლახან რუსეთმა და თურქეთმა ახალი გაზსადენის პროექტი შეიმუშავეს. ზემოთ თქვენ გაკვრით შეეხეთ ამ თემას, მინდა უფრო ვრცლად მესაუბროთ ამ პროექტის მოსალოდნელ გავლენებზე საქართველოს მისამართით.**

— რუსეთმა და თურქეთმა მოილაპარაკეს გაზის გაყიდვასთან დაკავშირებით. ახლა, მოდით, გავითვალისწინოთ ჩვენი მისწრაფებები ევროკავშირისკენ და დავუშვათ, რომ უკვე იქ ვართ. ცნობილია, რომ ევროკავშირის ნამდვილი წევრები 10 წლის წინ გახდნენ რუმინეთი და ბულგარეთი. ამ წლების განმავლობაში რუსეთმა შექმნა გეგმა სახელწოდებით „სამხრეთის ნაკადი", რომლის მიხედვითაც გაზი შავი ზღვის ტერიტორიის გავლით ვარნაში განაწილდება სამხრეთ ევროპის ქვეყნებისკენ. ამ საქმეში, როგორც ტრანზიტორ ქვეყანას ბულგარეთს ყოველწლიურად 3 მლრდ ევრო უნდა მიეღო, რაც საგრძნობლად იმოქმედებდა ბულგარეთის ეკონომიკაზე.

აშშ, რომელსაც რუსეთის სულის ამოხდომა სანუკვარ ოცნებად აქვს გადაქცეული, არ სურს რუსეთმა „სამხრეთის ნაკადის" პროექტი განახორციელოს. ამავე დროს ეს ბებერი ღრძო მაკკეინი ჩადის ბულგარეთში და პრემიერ-მინისტრს უარს ათქმევინებს ამ შესანიშნავ პროექტში მონაწილეობაზე. ბულგარეთი კი კარგავს 3 მლრდ-საც, ვერ წყვეტს უმუშევრობის საკითხსაც, მომავალსაც და ყველაფერს. რომელ სუვერენიტეტზეა აქ ლაპარაკი ბულგარეთთან მიმართებაში?! ე. ი. რასაც გეტყვის ვაშინგტონი და ბრიუსელი, ისაა კანონი.

ეს ნიშნავს იმას, რომ შენ, ვითომ დამოუკიდებლობა რომ მოიპოვე, დღეს ის აღარ არსებობს. ჩამოვა ვინმე ნაძირალა, ჭკუას დაგარიგებს, ერთი კაი წიხლს ამოგარტყამს, მერე რომელიმე ქვეყანა შემოიტანს, მაგალითად, ღვინოს და გეტყვის: ჩემს თვალწინ გადაასხი ეს შენი მჟავე ღვინო.

ამასწინთ გამოვიდა პუტინი და თქვა: რომელ ქვეყანასაც სუვერენიტეტი აქვს დაკარგული, იმასთან ლაპარაკს აზრი არ აქვსო და თურქეთს „ჩაეხუტა", მისცა 63 მლრდ კბ/მ გაზი ყოველწლიურად. თურქეთში შევა გაზი. თურქეთ-საბერძნეთის საზღვარზე გაკეთდება გაზსაცავი და აქედან თურქეთი გაყიდის ევროპაში. ეს არაა მხოლოდ გაზის საკითხი. ეს არც მხოლოდ გაზის საკითხია და არც სხვა, ეს საკითხი წმინდა წყლის პროვოკაციული ქმედებაა და ჩვენი უსუსტესი პოლიტიკოსები და ქვეყნის ხელმძღვანელობა უნდა მიხვდნენ, რუსეთმა „ჩაიხუტა" თურქები.

**— საქართველო?**

— საქართველოს, ჩემო კარგო, მალე დედას უტირებენ. ეს უნდა ვიცოდეთ, გონივრულად ვიქცეოდეთ და არა ისე, როგორ ვუბწკინოთ რუსეთს.

**— ამ დროს რუსეთი და აფხაზეთი ენგურჰესზე პრეტენზიებს გამოთქვამენ.**

— დიახ. ავიღოთ იგივე ენგურჰესის საკითხი. ამ საკითხს აფხაზები მხოლოდ ახლა კი არ აყენებენ, წლების განმავლობაში, დროდადრო იყო ამაზე საუბარი და მოსალოდნელია, რომ ეს თემა სერიოზულად დადგეს ჩვენ წინაშე. მეტი დიპლომატიაა საჭირო, ამას ვამბობ სულ, მაგრამ ყურის დამდგები არავინაა. ყმაწვილი ახალგაზრდები არიან ხელისუფლებაში და არ აქვთ გამოცდილება...

ახლა ერთი ძალიან სერიოზული რამ მინდა გითხრათ და ძალიან გთხოვთ, მიაქციოთ ამას ყურადღება.

რეგიონში თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის გარდა არსებობს ეკონომიკურად და პოლიტიკურად უმძლავრესი, 80 მლნ-იანი ირანი. მას თავისი ინტერესები აქვს კავკასიაში და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს.

ირანს ხელშეკრულება აქვს დადებული თურქეთთან. შექმნილი აქვთ ირან-თურქეთის საბჭო კონტროლისთვის, რომ არ მოხდეს არეულობა კავკასიაში და არ მოხდეს აქ არარეგიონული ძალების დომინირება და ეს პირდაპირ მიმართულია აშშ-სკენ.

**— და ამერიკა მაინც აქ არის...**

— აქ არის, როგორც იტყვიან, „და პარი და ვრემენი".

მოგეხსენებათ, ებრაელებს და ირანელებს მუდმივი მტრობა აქვთ. ამიტომ აშშ-მა და ისრაელმა საქართველოს გადაუწყვიტეს: ირანმა აქ ფეხი რომ ვერ მოიკიდოს, უნდა დაწესდეს სავიზო რეჟიმი. წულუკიანმა სავიზო რეჟიმში მყოფ ქვეყნებს დაუფიქრებლად მიამატა ირანი, რითაც აუკრძალა მათ საქართველოში ბიზნესის წარმოება და საბანკო ოპერაციები, გააუქმეს საჰაერო მიმოსვლა და ა.შ. და ეს ჩვენი ნარმანია ქალაქში ასფალტს რომ ვერ აგებს, რით არის, იცით, გამოწვეული? ასფალტი საქართველოს მოჰქონდა ირანიდან. ახლა ეს უკვე პრობლემა გახდა.



არადა, მე გეუბნებით, პირველი პირისგან მიღებულ ინფორმაციას, ირანი გვპირდებოდა, რომ გაიყვანდა გაზსადენს საქართველოში, დაასაქმებდა მოსახლეობას, მოგვცემდა ალტერნატიულ გაზს, გაიყვანდა ნავთობსადენს, სატრანზიტო თანხებსაც ჩვენ გადავრიცხავთ, შევისყიდით ელექტროენერგიას ზაფხულში და ზამთარში უკან გამოგიგზავნით, შევისყიდით მტკვრის წყალს; საერთო ჯამში კი გადაგიხდით 5 მლრდ დოლარსო.

ასეთი პროექტი არც ერთ ქვეყანას ჩვენთვის არ შემოუთავაზებია. იმიტომ, რომ მას განსაკუთრებული ინტერესი აქვს აქ, თუმცა ეს ცალმხრივი არ არის, საქართველოსაც ექნებოდა აქედან დიდი სარგებელი.

ამ დროს ჩვენ ვუყურებთ ამერიკას — რამე არ ეწყინოს.

ამერიკა კი თვითონ აპირებს ირანთან ახლო კონტაქტები დაამყაროს. ეს ორი სახელმწიფო შეთანხმდებიან, საქართველო კი კვლავ განზე დარჩება.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ბოზები წარსულიდან

საქართველოს ოდნავ წარსულის რეალობაში გადავინაცვლოთ – ე.წ შევარდნაძის ხელისუფლების დროს „გამოიყარნენ“ ქუჩებში (სასტუმროებში, საუნებში – რეალურად ბორდელებში) მეძავები. მეძავები ყოველთვის არსებობდნენ ყველგან, მაგრამ საქართველოში ამ დროიდან იწყება მათი იატაკქვეშეთიდან გამოშლა. ამავედროულად გაჩნდა სხეულის გაქირავებით დაკავებულ ქალთა იერარქიული საფეხურებიც: „ვაგზლის ბოზი“, „ბაზრ(ებ)ის ბოზი“, „სასტუმროს ბოზი“, „საუნის ბოზი“, „ტრასის ბოზი“, „რესტორნის ბოზი“, „ქალი გამოძახებით“ და ა.შ „ელიტური ბოზებისა“ და „პროტოკოლის ქალების“ ჩათვლით, რომლებიც დანარჩენი ბოზებისგან განსხვავებით მხოლოდ მამაკაცთა ე.წ. „მაღალ კატეგორიას“ ემსახურებოდნენ სოლიდური ანაზღაურების ფასად.

გადავარდა შევარდნაძის ხელისუფლება, მოვიდა სააკაშვილის ხელისუფლება და არაფერი შეცვლილა ბოზებისთვის, მხოლოდ მათი რიგები შეივსო ახალი კატეგორიით „მიშას ბოზები“ და სრულიად „ნაცმოძრაობის ბოზებით“ (ცალკე კატეგორიად ჩამოყალიბდა „ერთჯერადი გამოყენების ნორჩი ბოზები მომავლის პერსპექტივით“). მათ შორის სწორედ ის ერთსაფეხურიანი სხვაობა იყო, როგორიც „ელიტურ“ და „პროტოკოლის“ ბოზებს შორის იყო – ამჯერად, „მიშას და კამპანიის ბოზები“ დადგნენ ბოზობის პირამიდის მწვერვალზე. შევარდნაძის ხელისუფლების ბოზებისგან განსხვავებით, ახლა უკვე ხალხმაც იცოდა მათი ზუსტი გვარ-სახელები, თუმცა არც არავინ მალავდა, რადგან სწორედ ამ საქმიანობის საჭირო დროს სწორად გამოყენებით, ზოგი მინისტრად იქცა, ზოგი – მინისტრის მოადგილედ, ზოგი – მრჩევლად, პოლიტიკოსად, ხელისუფლების სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკად, დაფასებულ მომღერლად, ტელეწამყვანად, ჟურნალისტად, პასუხისმგებლობის გარეშე რაღაცის ხელმძღვანელად, ვიღაცის ცოლად, ვიღაცის ვიღაცად, ყველა შემთხვევაში ზეალმატებულად.

გადაგორდა მიშას ხელისუფლებაც, მოვიდა ივანიშვილის ხელისუფლება და ცხადია, ყველა დანარჩენ მემკვიდრეობასთან ერთად ბოზების ყველა კატეგორიაც გადმოჰყვა, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ! კონკრეტულად „მიშას ბოზებმა“ ჩაიჩოჩეს, „ელიტურმა ბოზებმა“ კი შეინარჩუნეს სტატუსი და შესაბამისად, ახლა ისინი მოექცნენ იერარქიის სათავეში, თან როგორ – თვით ცვეთაში გადასულები სოლიდარობის ნიშნად „გასაღების ბაზარს“ ხელოვნურად უხანგრძლივებენ ჩამოქვეითებულ კოლეგებს, პარალელურად კი ღიად, ოღონდ გარკვეულ სტატუსქვეშ თავს ესხმიან ახალი ხელისუფლების გარკვეულ შტოებს ხალხზე გულსემატკივრების ეგიდით...

ე.წ მაღალ იერარქიულ საფეხურზე მდგომი დაბანილ-ჩაბანილი და გამოკაზმული „ბოზები წარსულიდან“ შესცქერიან ყოველდღე ტელეეკრანებიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან თუ ინტერნეტსივრციდან სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ათასობით მსხვერპლსა და მათ ჭირისუფალს, ჯანმრთელობაგატეხილ, შეციებულსა და მშიერს, ნაცემ-ნაგვემსა და უსახსროდ დარჩენილს, სამადლოდ სადღაც შეხიზნულსა და დამცირებულს და კიდევ იქით ედავებიან, ამუნათებენ, ჭკუას არიგებენ, ასწავლიან როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა რომ წარმატებული (ბოზი?) გახდეს...




მტერთან სარეცელგაყოფილ ქალს როგორ ექცეოდნენ (ექცევიან) ყველა ქვეყანაში, უამრავი მაგალითია ამისა, მაგრამ როგორ ექცეოდა ერი თავის ქალებს, რომლებიც რომელიმე რეჟიმის ბოზები იყვნენ, ამის კლასიკური მაგალითია საფრანგეთი.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მხოლოდ 25 000 ფრანგი პატრიოტი იბრძოდა, როცა ვერმახტის ჯარში 100 000 ფრანგი ჯარისკაცი მსახურობდა, მაგრამ როდესაც საფრანგეთი განთავისუფლდა, საფრანგეთის „საშინელ მტრებად“ ის ჯარისკაცები კი არ ჩათვალეს, რომლებიც მიზეზთა გამო ირიცხებოდნენ ვერმახტის ჯარში, არამედ ის ქალები, რომლებიც ფაშისტებთან საკუთარი ნებით ბოზობდნენ იგივე, „კარგი ცხოვრების ნდომის“ საბაბით. ფრანგმა მამაკაცებმა გამოავლინეს ყველა მათგანი, გადაპარსეს თავი და ნახევრად შიშვლებს ან სრულიად შიშვლებს დაატარებდნენ ქუჩებში, აყრიდნენ ნაგავს, სხეულზე ახატავდნენ სვასტიკას, აგინებდნენ; ქალები – წყევლიდნენ, ლანძღავდნენ, აფურთხებდნენ, სილას აწნიდნენ... ვერ გაუძლო ბევრმა მათგანმა ამ დამცირებას და იქვე, ეიფორიაში მყოფი მოზეიმე ხალხის თვალწინ თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე...

სამხრეთკორეულ ქალაქ პხენტიკის ანჯეუს რაიონში, ამერიკული სამხედრო ბაზის „კემპ ჰამფრისის“ უკანა კარიბჭესა და დახურულ კაბარეებს შორის მდებარე მდარე შენობაში ის ხანდაზმული ქალები ცხოვრობენ, რომლებიც ოდესღაც ამერიკელი სამხედროების ბოზები იყვნენ და ისინიც „კარგი ცხოვრების ნდომას“ იკმყოფილებდნენ. დღეს უკვე ბებერი ბოზები არავის უნდა, არადა, დრომ ჯანმრთელობაც წაართვა და სხვა სიკეთეებიც. ახლა, როცა დაძაბუნდნენ და როგორც ნივთები, სახმარად უვარგისები გახდნენ, თითქოს ყველა მათგანს რცხვენია საკუთარი წარსულის, მაგრამ ვერაფერი შეღავათია – არც სამხრეთ კორეის ხელისუფლებას და არც რიგით ადამიანებს არ სურთ მათი დახმარება სწორედ იმიტომ, რომ საკუთარი ნებით იყვნენ ამერიკელი ჯარისკაცების ბოზები.

1962 წელს აშშ-ის სამხედრო ბაზების მახლობლად არსებულ დასახლებებს „სპეციალური ტურიზმის რაიონები“ ერქვა, მათში დაკანონებული იყო პროსტიტუცია და ამას მუშაობა ერქვა – ათი ათასობით ქალი იყო დაკავებული ამგვარი სამუშაოთი. ამგვარ დასახლებებში 2004 წლიდან გაფუჭდა მდგომარეობა, აგერ ახლახანს... ამერიკელების კორეელი ბოზები თვლიან, რომ სახელმწიფო ყურადღებას უნდა იჩენდეს მათ მიმართ და უჩივლეს კიდეც ხელისუფლებას, მაგრამ სასამართლომ სარჩელის განხილვის ვადაც კი არ დააწესა... კორეელი ქალები, რომლებიც ამერიკელ ჯარისკცებთან იწვნენ, არანაირად არ უნდათ კორეელებს, მიუხედავად იმისა, რომ 70-იანი წლების პროპაგანდით ის კორეელი ქალები, რომლებიც სხეულს გაჰყიდდნენ ამერიკელ ჯარისკაცებზე ნამდვილ პატრიოტებად ჩაითვლებოდნენ, რადგან ამ გზით გამომუშავებული დოლარები დახმარებას გაუწევდა ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკას... (ცალკე საკითხია, როგორ უსწორდებოდნენ კორეაში იმ კორეელ ბოზებს, რომლებიც ამერიკელ სამხედროებს ემსახურებოდნენ კორეის ომის დროს)

მათი მდგომარეობა აბსოლუტურად განსხვავებულია იმ ქალების მდგომარეობისგან, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელ ჯარისკაცებს უწევდნენ სექსუალურ მომსახურებას. ისინი, პირიქით, სპეციალური კანონის შესაბამისად დახმარებას იღებენ სახელმწიფოსგან და ამასთანავე, კორეის მოსახლეობა იაპონიის მთავრობისგან ოფიციალურ ბოდიშს ითხოვს ამ ქალების მიმართ და ფულად კომპენსაციას. ამ მოთხოვნებით კორეელი უფლებადამცველები ყოველკვირეულ მიტინგებს უმართავენ კორეაში იაპონიის საელჩოს.

კორეაში მეძავი არავის უკვირს, როგორც კორეის სქესობრივი თანასწორობის უწყებამ დაითვალა, ქვეყანაში ნახევარი მილიონი მეძავია, არაოფიციალური გათვლით კი მილიონზე მეტი, ანუ ყოველი 25 ქალიდან ერთი მეძავია, 15-იდან 30 წლამდე ქალებში კი ყოველი მე-5 გარკვეული დროით მაინც იყო დაკავებული მეძავობით, მაგრამ რასაც ვერ პატიობენ – გასაგებია.

**გიორგი ჩხეიძე**





## ლარის გაუფასურების შედეგად ფასების მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელი არ არის

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის (აფბა) ანალიტიკოსის პაატა ბაირახტარის განცხადებით, ლარის კურსის ბოლოდროინდელმა ცვლილებებმა საზოგადოებაში ბევრი კითხვა გააჩინა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რამდენად გაზრდის ფასებს ლარის ბოლოდროინდელი გაუფასურება.

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ შევისწავლეთ ეს თემა და ვეცდებით დასაბუთებული და არგუმენტირებული პასუხი გავცეთ კითხვას - რას ნიშნავს ლარის გაუფასურება მოსახლეობისთვის და რამდენად იწვევს ლარის დევალვაცია ინფლაციას.

გაცვლით კურსსა და ფასების დონეს შორის კავშირი ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს, მათ შორის საქართველოშიც. თუმცა, მიშვნელოვანია რამდენად მჭიდროა კავშირი ამ ორ მაკროეკონომიკურ პარამეტრს შორის. პირველ რიგში, ამ დამოკიდებულების შესაფასებლად, გადავხედოთ გასული წლების პრაქტიკას და გავაანალიზოთ როგორ აისახებოდა ლარის გამყარება, ან გაუფასურება ქვეყანაში ფასების დონეზე.

გადავხედოთ ბოლო წლების დინამიკას და დავაკვირდეთ იმ პერიოდებს, როდესაც ლარის კურსის მნიშვნელოვან და მკვეთრ მოძრაობას ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 2006 წლის მარტში 1 დოლარი ღირდა 1,83 ლარი, 2007 წლის მარტში კი - 1.70, ანუ ლარი გამყარდა 7%-ით, მაგრამ ზუსტად იგივე პერიოდში ინფლაცია იყო 9,7%. ასევე, 2008 წლის მარტში 1 დოლარი უკვე 1.50 ლარი ღირდა, ანუ გამყარებული იყო 12%-ით, მაგრამ ინფლაცია იყო 12.3%. ანუ, მყარდებოდა ლარი, მაგრამ ფასები საკმაოდ დიდი მოცულობით იზრდებოდა.

მაგალითისთვის ასევე გვინდა მოვიყვანოთ 2011 წლის მაისი, როდესაც წინა წელთან შედარებით ლარი 10%-ზე მეტად იყო გამყარებული, მაგრამ ინფლაციამ 14.3% შეადგინა, მათ შორის სურსათზე 30,7%.

ამდენად, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ გაცვლით კურსს და ინფლაციას შორის საქართველოში მნიშვნელოვანი კავშირი არ არის“, – განაცხადა ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

მისივე თქმით, ამ ფაქტს ადასტურებს ფინეთის ბანკის კვლევაც, რომლის მიხედვით, საქართველოში გაცვლითი კურსის 1%-ით ცვლილება, ფასების დონეს ცვლის 0,14%-ით. „გავიხსენოთ ლარის შარშანდელი დევალვაცია, ყველაზე მყარი ლარი 2013 წლის მაისში იყო (1.64), შემდგომ წლის ბოლოს მოხდა ლარის გაუფასურება, პიკი იყო 2014 წლის იანვარი, როცა ლარის კურსი 1,76-მდე დაეცა, ანუ ლარი გაუფასურდა 7,3%-ით, თუმცა ამის მოჰყვა ფასების დონის 3%-იანი მატება.“

„ამდენად, მიმდინარე, როგორც შიდა, ისე გარე ტენდენციების გათვალისწინებით, საქართველოში ფასების მნიშვნელოვან ზრდა მოსალოდნელი არ არის. თუმცა აღსანიშნავია ახალი წლის მოახლოვების ფაქტორი, როდესაც ფასები პროდუქციაზე იზრდება, თუმცა, ეს მოკლევადიანი პროცესია და ფასების გრძელვადიან სტაბილურობას საფრთხეს არ უქმნის.“ - განაცხადა პაატა ბაირახტარმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე.

# რატომ არის აუცილებელი სასურსათო პროდუქტებზე სახელმწიფო კონტროლი



***რისკებისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების ანალიზის სისტემა სურსათის უვნებლობის თანამედროვე მიდგომაა. ამ სისტემის საქართველოში დანერგვა დღეს უკვე სერიოზულ საჭიროებას წარმოადგენს, განსაკუთრებით ისეთი პროდუქციის მიმართ, როგორიც ხორცი და რძის პროდუქტებია.***

გავრცელდა ჭორი, რომ 1 იანვრიდან ამ სისტემის გარეშე წარმოებული პროდუქცია ქვეყანაში აიკრძალებოდა და კერძო მეწარმეებს გაუჭირდებოდათ წარმოება, თუმცა, როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოდან გვაცნობეს, ამ სისტემის დანერგვას **ჯერჯერობით კანონის ძალა მომავალი წლის დასაწყისიდანაც არა აქვს,** რადგანაც მხოლოდ მისი განხილვა მიმდინარეობს და ამიტომ რისკი ჯერჯერობით რჩება ქვეყნის მოსახლეობისთვის, მითუმეტეს მოახლოებული საახალწლო მზადების დროს.

**პაატა სოხაძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:** მეწარმეთა ერთი ნაწილისათვის, შიდა კონტროლის დანერგვის ვალდებულება კანონმდებლობით დიდი ხანია არსებობს. უკვე მესამე წელია, ის ბიზნესოპერატორები, რომელთა საქმიანობა სასაკლაოებზე პირუტყვის დაკვლა და თერმული დამუშავებაა, ვალდებულნი არიან დანერგილი ჰქონდეთ HACCP-ის პრინციპებზე დამყარებული შიდა კონტროლის სისტემები.

**2015 წლის 1 იანვრიდან კი კანონმდებლობაში ახალი ცნება შემოდის, ეს გახლავთ ბიზნესოპერატორის აღიარება,** რომელიც რძისა და ხორცის პროდუქტების და, ზოგადად, ცხოველური წარმოშობის სურსათის ყველა მწარმოებელს შეეხება. სურსათის ეროვნულ სააგენტოში შეიქმნება რეესტრი და ბიზნესსუბიექტები პერიოდულად, გეგმიურად შემოწმდებიან. ეს არის ევროპულთან დაახლოებული პროგრესული მიდგომა.

რაც შეეხება **რისკებისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების ანალიზის სისტემის (HACCP) – დანერგვას, ეს საკმაოდ გრძელვადიანი პროცედურაა და 12 თვეს მოიცავს. პროცესი ორ ეტაპად განვითარდება, პირველი მოიცავს პირობით აღიარებას, 12 თვის განმავლობაში კი მოხდება საწარმოს საბოლოო აღიარება.** პირველ ეტაპზე ბიზნესოპერატორს, რომლის წარმოება ისეა დაპროექტებული და აღჭურვილი, რომ თანამედროვე მოთხოვნებთან წინააღმდეგობაში არ მოდის, მიენიჭება პირობითი აღიარება. 12 თვეში კი წარმოებას უკვე რისკებისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების ანალიზის სისტემით გათვალისწინებული სტანდარტების დაკმაყოფილება მოუწევს. ვინც ამას ვერ შეძლებს, პროდუქციას ბაზარზე გასაყიდად ვერ გამოიტანს, ვერც აგრარულ ბაზარზე, რადგანაც სურსათის უვნებლობა იქაც მოწმდება. საწარმოს აღიარების ნიშანდება პირუტყვის ხორცზე დაიტანება. ვინც ამ კანონებს ვერ დაექვემდებარება, მათ თავისი საქმიანობის შეწყვეტა მოუწევთ.

ამ ახალი სისტემის დანერგვას სურსათის ეროვნული სააგენტო გაუწევს მეთვალყურეობას. თუმცა, **თუ მეწარმეს სურს, რომ თავისი პროდუქცია ევროკავშირში გაიტანოს,. მაშინ მას მონიტორინგს ევროგაერთიანების ექსპერტები წარმართავენ, რის შემდეგაც კონკრეტულ საწარმოს შესაბამისი აღიარების კოდი და ნომერი მიენიჭება, მისი პროდუქცია კი ევროკავშირის ბაზარზე შეუფერხებლად შევა.**

გარკვეულწილად, ახალი რეგულაციების დანერგვა მსხვილ მწარმოებლებს კონკურენტებს ჩამოაშორებს.

მომხმარებელი კი ამ ყველაფრით შეიტყობს, რომ გარკვეული საწარმო არის მუდმივი შიდა სახელმწიფო კონტროლის ქვეშ და მისი პროდუქცია უსაფრთხოა. ვფიქრობთ, ამით ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა გაიზრდება და, საერთო ჯამში, ყველასათვის სარგებლის მომტანი იქნება. ასევე, ამ ახალ ხიხტემაზე გადასვლა და მისი დანერგვა განსაკუთრებულ პრობლემებს არ შეუქმნის მეწარმეებს, რადგანაც ის დიდ ხარჯებთან არ იქნება დაკავშირებული.

**მეწარმე, რომელიც სურსათის წარმოებას გადაწყვეტს, სწორად დაგეგმავს, აღჭურვავს, მინიმალურ სწავლებას მოუწყობს პერსონალს, როგორ დაიცვან როგორც პირადი, ასევე წარმოების პროცესში აუცილებელი ჰიგიენური ნორმები საბოლოოდ მოგებული დარჩება.** საეჭვო პროდუქციის არსებობას ბაზარზე არანაირი გამართლება არა აქვს. აქ კიდევ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი, ასეთი მუშაობის სტილი საექსპორტო პროდუქციის ზრდას შეუწყობს ხელს.



**მადონა კოიძე,** საქართველოს **მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე:** ზაფხულის პერიოდში ჩვენ შევამოწმეთ გარკვეული პროდუქტები საქართველოს ბევრ ქალაქში. განსაკუთრებით გვაინტერესებდა ყველის ხარისხი. შემოწმება ჩატარდა თბილისში,. თელავში, ბათუმში, ზესტაფონში, სამტრედიასა და სხვა ქალაქებში. პროდუქცია შევიძინეთ როგორც სუპერმარკეტებში, ასევე ბაზრებში. განსაკუთრებით ბევრი დაბინძურებული პროდუქტი აღმოჩნდა გლეხური წარმოების მხრივ, თუმცა კარგად არც ქარხნული წარმოების ყველი გამოიყურებოდა, რადგანაც გარკვეულ მაღაზიებში მისი შენახვის პირობები იყო დარღვეული. მალეფუჭებადი პროდუქციისადმი კი ასეთი მიდგომა დაუშვებელია. მაღაზიებში დარღვეული იყო სანიტარული ნორმებიც.

ახალი რეგულაციებით დარღვევები აღმოიფხვრება, რადგანაც მაღაზიები დღეისათვის სხვადასხვა ფერმერებისგან იძენენ პროდუქციას და ხარისხზე ნაკლებად ფიქრობენ, მომხმარებელთა უფლებები დაცული უნდა იყოს კანონით, რადგანაც, როცა ადამიანი ძვირადღირებულ სურსათს შეიძენს, ჰქონდეს იმის გარანტია, რომ მისი ჯანმრთელობა დაცულია. უსაფრთხო პროდუქციის წარმოება არ გახლავთ მხოლოდ ევროკავშირის მოთხოვნა, არამედ იმ ადამიანების მოთხოვნაცაა, ვისაც სურს გადაიხადოს მეტი, მაგრამ უვნებელი პროდუქტი იყიდონ. ეს მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე კეთდება და არა იმიტომ, რომ ასოცირების ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი.

როდესაც ახალ რეგულაციებს კანონი განახორციელებს, ალბათ, გარკვეულ მეწარმეებს ბაზრიდან გასვლა მოუწევთ. რეგიონებში დარჩებიან საწარმოები, რომლებიც ნედლეულს ჩაიბარებენ, საბოლოო პროდუქტს კი უკვე სერტიფიცირებულ საწარმოში დაამზადებენ.

**ეთერ კასრელიშვილი**
**599 110 200**

---

# წერილი რედაქციას

ამ წერილის დაწერა ისედაც მქონდა განზრახული, მაგრამ „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ „ვინმემ გააჩერეთ ეს ჯულიეტოვიჩი და გრიგოლიჩი“, მეტი ბიძგი მომცა.

პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ბეჭდვით მედიაზე ვერავინ იტყვის, რომ არაობიექტურია, ამას ადასტურებს თუნდაც „საერთო გაზეთი“, რომლის მიმართაც არ შემიძლია მადლობა არ გამოვხატო. რაც შეეხება ელექტრომედიას ტელევიზიების სახით, მთლიანად მონოპოლიზებული აქვს „ნაცმოძრაობას“, განსაკუთრებით „რუსთავი-2“ და „იმედი“. რაც შეეხება პირველ არხს, ის იმდენად უსუსური და იმპოტენციაშეყრილია, რომ მათი რეიტინგი უმნიშვნელოა.

რაც უნდა სამწუხარო იყოს, ხელისუფლებას არ აქვს გათვითცნობიერებული თუ რამხელა საშიშროებას წარმოადგენს მისთვის ეს თოქ-შოუები და ტელე-დებატები, ეს „რეაქციები“ (უფრო სწორი იქნებოდა, რეაქციული), „არჩევანი“ და სხვა. თუ ამას დავუმატებთ მოღალატე არასამთავრობოებს (კოჟორიძე, ლომჯარია, გიგაური და სხვ.) სიტუაცია მართლაც საგანგაშოა. სიტუაციას ამწვავებს ისიც, რომ ყველგან საპარლამენტო დებატებს თუ ტელე-თოქ-შოუებს „ოცნების“ და ხელისუფლების წარმომადგენლები თითქმის ყოველთვის დამარცხებული ტოვებენ.

აქ მინდა ერთი მაგალითი მოვიყვანო, თუ რამდენად უსუსურები და არაკომპეტენტურები არიან „ოცნების“ წარმომადგენლები თოქ-შოუებში. ამას წინათ, სამშაბათს გაბუნიას, იგივე ჯულიეტოვიჩს, გადაცემა „არჩევანში“ მოწვეული ჰყავდა ნაცმოძრაობიდან მინაშვილი და ირმა ნადირაშვილი, ხოლო ოცნებიდან გუგული მაღრაძე და ბუკია. იმის მაგივრად, რომ პროტესტის ნიშნად დაეტოვებინა გადაცემა, ყურადღებით უსმენდა, თუ როგორ აგრძელებდნენ მინაშვილი და ნადირაშვილი „ოცნებისა“ და ხელისუფლების ლანძღვას, ხოლო ყოველივე ამას ოსტატურად უწყობდა ხელს „ჯულიეტოვიჩი“ და გადაცემაში ჩართული კვესიტაძე. როგორც რომში გლადიატორების შერკინებას სიამოვნებით უყურებდა რომის ელიტა, ასევე უყურებს ქართველი მაყურებელი ამ გადაცემას, როგორც 21-ე საუკუნის გლადიატორების ბრძოლას. გამოსავალი ერთია: ასეთ გადაცემებში „ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენლებმა მონაწილეობა არ უნდა მიიღონ, ამით გადაცემას ინტერესი დაეკარგება. ამასთან, უნდა შეიქმნას ალტერნატიული ტელევიზია, რომელიც მოვლენებს ობიექტურად გააშუქებს.

ფაქტი ერთია, თუ „ოცნების“ ხელისუფლებამ ასე არხეინად გააგრძელა, 2016 წლის არჩევნებში მათი დამარცხება გარდაუვალი იქნება. ეს კი ჩვენი „ოცნება“ და სურვილი ნამდვილად არ არის.

**ვაჟა კილურაძე**, თბილისი
593 20 89 23

# საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის" ერთობლივი პროექტი

# უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერის ღვაწლი



**ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი არსებობდა, როცა მერაბ კოკაია გაცვლითი პროგრამით შვედეთში ჩავიდა და, ფაქტობრივად, ისეთ ქვეყანაში გაკვალა გზა, რომელთანაც პატარა საქართველოს კი არა, დიდ საბჭოთა კავშირსაც არ ჰქონია აქტიური ურთიერთობა. რამდენიმე წელიწადში, 1990 წელს, ექვსთვიანი სტაჟირებით, მისი უმცროსი ძმა ზაალ კოკაიაც შვედეთში ჩავიდა და ეს ხანმოკლე სამეცნიერო მივლინება ხანგრძლივი სამეცნიერო მუშაობითა და ამ ქვეყანაში დამკვიდრებით გაგრძელდა. უკვე ოც წელზე მეტი გავიდა, რაც ძმები მერაბ და ზაალ კოკაიები უცხოეთში ეწევიან სამეცნიერო მოღვაწეობას — მერაბი მსოფლიოში ცნობილი ლუნდის უნივერსიტეტის ნევროლოგიის კათედრის პროფესორია და ეპილეფსიის პრობლემებზე მუშაობს, ზაალი კი — ამავე უნივერსიტეტში არსებული ღეროვანი უჯრედების ცენტრს ხელმძღვანელობს.**

ამჯერად ჩვენს ნარკვევში ზაალ კოკაიაზე და უცხოეთის პრესტიჟულ კვლევით ცენტრში მისი სამეცნიერო მუშაობის შესახებ გიამბობთ. იმისათვის, რომ ცხადად დავინახოთ, რამდენად მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა ბატონი ზაალი, ორიოდე სიტყვით იმ სამეცნიერო ცენტრსა და მის ტრადიციებს გავეცნოთ, რომელშიც დღეს ზაალ კოკაია სამეცნიერო ცენტრს უდგას სათავეში. ოდნავ მოგვიანებით კი ჩვენი სახელგანთქმული თანამემამულისა და მისი სამეცნიერო ჯგუფის ექსპერიმენტების შინაარსს, მნიშვნელობასა და კვლევის შედეგებს შევეხოთ.

შვედეთის სამხრეთში მდებარე ლუნდის უნივერსიტეტი უკვე სამ-ნახევარი საუკუნეა არსებობს და სკანდინავიის ერთ-ერთი უდიდესი და უძველესი საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცენტრია. იგი შედის უნივერსიტეტა-21-ის მსოფლიო ქსელში, რომელიც ისეთ უმაღლეს სასწავლებლებს აერთიანებს, სადაც ფართომასშტაბიან სამეცნიერო სამუშაოებს ეწევიან. აქვს თავისი სამეცნიერო ცენტრები, ინსტიტუტები და კურსები. მისი ორი ფილიალი შვედეთის სხვა ქალაქებშიც არსებობს, ხოლო ლუნდის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სკოლა ერთ-ერთი პრესტიჟულია მთელს მსოფლიოში.

XVII საუკუნეში დაფუძნებულ ლუნდის უნივერსიტეტის გერბს ამშვენებს დევიზი: „მოემზადე ორივესთვის" — თავის დროზე მასში გულისხმობდნენ წიგნსა და ხმალს, რადგან შვედეთს დიდი და ხანგრძლივი ბრძოლების გადახდა მოუხდა მეზობლებთან — დანიასა და ჰოლანდიასთან; ახლა კი, თანამედროვე შინაარსით, იგულისხმება ინოვაცია და ტრადიცია. დღეს სწორედ ამ ფასეულობებს ეფუძნება ეს სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი.

ჩვენი თანამემამულისთვის ლუნდის უნივერსიტეტის დევიზს დამატებითი შინაარსი ენიჭება: ზაალ კოკაია ორ „ფრონტზე" სამოღვაწეოდ არის „მომზადებული" — უცხოეთში აქტიურ სამეცნიერო მუშაობას ეწევა, თავის დარგში მეცნიერული პროგრესის მიმართულებებსა და შედეგებს კი საქართველოში უზიარებს მომავალ კოლეგებს. და არა მარტო მათ — როცა ბატონი ზაალი საქართველოში ჩამოდის (ხანდახან — წელიწადში რამდენჯერმეც) და ლექციებს კითხულობს, აუდიტორიები ივსება და, შესაბამისი პროფილის სპეციალისტთა გარდა, ადამიანების მომავლით დაინტერესებული საზოგადოება იყრის თავს. ამიტომაც ჰქვია მის გამოსვლებს საჯარო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი „ადამიანთა და ცხოველთა ფიზიოლოგიის სპეციალობითა და წითელი დიპლომით დაამთავრა. უნივერსიტეტში მისი ლექტორი იყო სახელოვანი მეცნიერი, პროფესორი არჩილ ჯანაშვილი — ზოოგეოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრის გამგე და საინტერესო ადამიანი. ზაალ კოკაიას უამრავი კეთილი მოგონება შემორჩა თავის მასწავლებელზე.

მუშაობდა ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, იქვე მოამზადა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1990 წელს კი შვედეთში სამეცნიერო პროექტის შესასრულებლად გაემგზავრა. უცხოეთში სწავლისა და მუშაობის პარალელურად, მშობლიური კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად რჩებოდა. შვედეთში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია — ზაალ კოკაია პირველი ქართველი მეცნიერია, რომელსაც დოქტორის ხარისხი უცხოეთში მანიჭეს.

ლუნდის უნივერსიტეტში რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია და ზაალ კოკაია სხვადასხვა დროს მუშაობდა: ასისტენტ-პროფესორად სამედიცინო ფაკულტეტზე აღდგენითი ნევროლოგიის განყოფილებაში და ნეირომეცნიერების ცენტრის ნევროლოგიის კათედრაზე, ასოცირებულ პროფესორად, უნივერსიტეტის ლექტორად (ეს მუდმივი თანამდებობაა) — კლინიკური მეცნიერებების კათედრაზე; როგორც კი შვედეთის სტრატეგიული დაფინანსების ფონდმა 2003 წელს ლუნდის უნივერსიტეტის ღეროვანი უჯრედების ბიოლოგიისა და უჯრედული თერაპიის სტრატეგიული კვლევითი ცენტრი შექმნა, იმ დროიდან მოყოლებული, ზაალ კოკაიამ ამ ცენტრში გააგრძელა მოღვაწეობა — ხელმძღვანელობდა ღეროვანი უჯრედების ბიოლოგიის ლაბორატორიას, იყო ცენტრის დირექტორი და ექსპერიმენტულ-სამედიცინო კვლევის პროფესორი, ხოლო 2011 წლის შემდეგ ლუნდის ღეროვანი უჯრედების ცენტრის დირექტორია.

შემოდგომის დასაწყისში მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოება და სრულიად პლანეტის მოსახლეობამ შეიტყო სენსაციური ინფორმაცია — შესაძლებელია ინსულტის შედეგად დაზიანებული ტვინის უჯრედების აღდგენა! მრავალწლიანი სამეცნიერო კვლევა ტვინის ფუნქციების აღსადგენი მეთოდის შესამუშავებლად 2006 წლიდან მიმდინარეობდა. შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტისა და სტოკჰოლმის კაროლინის უნივერსიტეტების მეცნიერებმა აღმოაჩინეს ინსულტისშემდგომი თვითაღდგენის მექანიზმი. ამ აღმოჩენის ავტორები არიან ქართველი ზაალ კოკაია და შვედი ოლე ლინდვალი.



მეცნიერებმა საერთაშორისო ჟურნალ შციენცე-ში დაწვრილებით აღწერეს, თუ როგორ შეიძლება ტვინის ქსოვილის განსაკუთრებული დამხმარე უჯრედების — „ასტროციტების" მეშვეობით ტვინის დაზიანებული უჯრედების — ნეირონების აღდგენა.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და მათი გართულებებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, უახლოეს 10-15 წელიწადში, ამ მხრივ, სიკვდილიანობა მკვეთრად მოიმატებს. ამიტომაც მსოფლიო სამედიცინო კვლევების სტრატეგიული ცენტრები ამ პრობლემის მოგვარების გზებს ეძებენ და საამისოდ კოლოსალურ ფინანსებსაც ხარჯავენ. ექსპერიმენტულ ცენტრებში მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერები ერთდროულად რამდენიმე ათეულ სამეცნიერო პროექტს ახორციელებენ. ერთ-ერთი ასეთი ცენტრი ლუნდის უნივერსიტეტია, ხოლო ამ უნივერსიტეტის ღეროვანი უჯრედების კვლევის ცენტრი — ძირითადი სამეცნიერო კერა. სწორედ აქ, ქართველი მეცნიერის ხელმძღვანელობით მიაკვლიეს დაზიანებული უჯრედების აღდგენის მექანიზმს.

ინსულტის დროს სისხლძარღვი ბლოკირებულია ტრომბით, მასში ვეღარ გაედინება სისხლი, რაც ჟანგბადის უკმარისობას იწვევს. ნერვული დაბოლოებების დაზიანების შედეგად ვითარდება მამოძრავებელი, სენსორული და კოგნიტური (თავის ტვინის ორგანული დაზიანება — გამოიხატება მეხსიერების, ყურადღების, მეტყველების, აზროვნების, ორიენტაციის მოშლით) დარღვევები.

მეცნიერები მრავალწლიანი კვლევის დროს ვირთაგვებში სპეციალურად ახდენდნენ ინსულტის პროვოცირებას. მათ დაინახეს, როგორ იქმნებოდა ნერვული უჯრედები ტვინის დაზიანებული ნაწილში. გენეტიკური მეთოდის გამოყენებით მეცნიერები დარწმუნდნენ, რომ ახლად გაჩენილი, ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ნეირონი თანდათანობით გარდაიქმნება ჩვეულებრივ ნერვულ უჯრედად

**„ჩვენთვის სერიოზული აღმოჩენაა ის ფაქტი, რომ ასტროციდებს შეუძლიათ გაააქტიურონ პროცესი, რომლის მეშვეობითაც წარმოიქმნება ახალი უჯრედები",** — ამბობს ლუნდის უნივერსიტეტის ექსპერიმენტული სამედიცინო კვლევების პროფესორი და ღეროვანი უჯრედების კვლევითი ცენტრის დირექტორი ზაალ კოკაია. მან და კაროლინის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჯერ კიდევ 10 წლის წინ დაადგინეს, რომ ინსულტის შემდეგ დაზიანებულ ტვინის უჯრედებს აღდგენა შეუძლია თავისივე ღეროვანი უჯრედების მეშვეობით. მათ აგრეთვე დაადგინეს ის სასიგნალო მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ასტროციტები ნერვულ უჯრედებად გარდაიქმნება. ჯანსაღ ტვინში ეს სიგნალები აქტიურია, ინსულტის შემდეგ კი ისინი იბლოკება, და ასტროციდებიც ნერვული უჯრედების წარმოქმნას იწყებენ.

<u>ზაზა კოკაია:</u> **„საინტერესოა, რომ ინსულტგადაუტანელ ვირთხებში სასიგნალო მექანიზმის ბლოკირება ასტროციტებს აიძულებს გამოიმუშაოს ნერვული უჯრედები. ეს კი იმას მოწმობს, რომ ასტროციტებში დაფარული პროცესები მხოლოდ ინსულტის შედეგად როდი აქტიურდება. ამიტომაც, ეს მექანიზმი გამოსადეგია ნეირონების აღსადგენად სხვა დაავადებებისა და ტრავმების ფონზე"**

ასეთები შეიძლება იყოს მძიმე ნეიროდეგენერატიული დაავადებები, პარკინსონი, ჰანტინგტონი... მაგალითად, პარკინსონის მკურნალობისთვის ბევრ პრეპარატს იყენებენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ჩნდება გვერდითი მოვლენები და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მიჩვევის გამო პრეპარატის მკურნალობის ეფექტი კლებულობს.

<u>ზაზა კოკაია:</u> **„ამ დაავადებების უმეტესობა ასაკობრივია, ხანდაზმულებს უვითარდებათ, სხვა დაავადებათა ფონზე მიმდინარეობს, რაც უფრო ამძიმებს და ართულებს მათ მკურნალობას.**

**ამიტომ, თუ გვინდა, რომ ჩვენი მეთოდი სამკურნალო ცენტრებში დაინერგოს, კლინიკის მოთხოვნამ და მისმა პირობებმა უნდა განსაზღვროს ჩვენი გასაკეთებელი საქმე. აქ მთავარია ორმხრივი მოძრაობა: კლინიკა უნდა მოდიოდეს საბაზისო კვლევასთან და ეს უკანასკნელი მიიწევდეს კლინიკისკენ. შუა გზაზე უნდა შევხვდეთ ერთმანეთს და უნდა შევთანხმდეთ, რა იქნება უკეთესი ჩვენი პაციენტისთვის, რადგან ის არის ჩვენი უმთავრესი და საბოლოო მიზანი".**

ისეთი პირი უჩანს, რომ „შუა გზაზე" შეხვედრა არც ისე შორს უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ ღეროვანი უჯრედების კვლევას დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს და შვედეთში არსებულ ცენტრს სოლიდური სახსრებით ეხმარებიან, ფინანსდება სხვადასხვა პროექტი და ეს ღეროვანი უჯრედების შესახებ 2002 წელს მიღებული პროგრამის მიხედვით ხორციელდება. მაგალითად, 2006 წელს შვედეთის უნივერსიტეტებში (მათ შორის, უპირველესად, ლუნდის უნივერსიტეტის) სამი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი 36 მილიონი შვედური კრონით დაფინანსდა.

ღეროვანი უჯრედების კვლევაში წამყვანი სამეცნიერო ცენტრი ლუნდის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს და მას ქართველი მეცნიერი ზაალ კოკაია ხელმძღვანელობს. მისი და დოქტორ ოლე ლინდვალის ექსპერიმენტული კვლევის აღმოჩენად შეფასებული შედეგები ამ ფუნდამენტური კვლევების თერაპიული გამოყენების პერსპექტივას აჩენს (ლეიკემიის სამკურნალოდ ხომ უკვე 50 წელზე მეტია იყენებენ ღეროვან უჯრედებს). შესაძლოა, შორს არ არის ის დრო, როცა ამ კვლევების საფუძველზე შეიქმნება პრეპარატი (იქნებ — პრეპარატებიც) მძიმე ნეიროფიზიოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ, და ეს იქნება ქართველი მეცნიერის, მისი კვლევითი ცენტრისა და თანამოაზრე მკვლევართა კიდევ ერთი გამარჯვება, მილიონობით ადამიანის გადარჩენისა და გაჯანსაღების მნიშვნელოვანი გზა.

ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის, კვლევისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სტიპენდიის მოსაპოვებლად, გაცვლითი პროგრამები კონკურსებს აცხადებენ სტუდენტთა, მკვლევარ-მეცნიერთა და აკადემიური პერსონალისათვის. ამ პროგრამაში ლუნდის უნივერსიტეტიც მონაწილეობს. სხვადასხვა დროს ზაალ კოკაიის ლაბორატორიაში სხვა ქართველმა მეცნიერებმაც აიდგეს ფეხი, დაიცვეს დისერტაციები. ზოგიერთი მათგანი შვედეთის სამეცნიერო კვლევით ცენტრებში აგრძელებს მუშაობას და თავისი სამეცნიერო ჯგუფი ჰყავს...

**ელზა ნაბახტეველი**



# ირაკლი ვაშაყმაძე

## ქართველის სიკვდილი

*მერაბ კოსტავას ხსოვნას*

„მოთმინება და იმედი“,
ჯვარცმა და... მაინც იმედი,
და ასე ჯვარცმა-იმედით
საქართველოსთან მივედით.
ქედებზე ნისლი გადადის.
ნისლი ქათქათა, ფოფინა,
მამულო, შენთვის სიკვდილი,
მართლაც რომ ტკბილი ყოფილა.
ამ მშვენიერი წამისთვის,
დღეც ვფიქრობდი და ღამეცა,
მამულო, შენთვის წამება,
სიამტკბილობად გადმექცა.
„მოთმინება და იმედი“,
იმედი იყო მცირედი,
ახლა რა გიჭირს, მამულო!
იმედით დიდგორს მივედით...
აღსავლის კართან მივედით...
სიცოცხლევ, სულის შრიალო,
ღირს მოსვლა ქვეყნად — შენს მთა-ველს,
წამით რომ თვალი შეავლო...
აწ უნდა მოხდეს ყოველი,
მზე ადგას გუმბათ-ქონგურებს,
რწმენამ და ჯვარცმამ უსარდლოს,
დიდგორთან შეყრილ ლომგულებს...

1989 წელი

## ნატვრა

ო, როგორ მინდა, ნათელი უფლის
დედულ-მამულის მთებზე ეფინოს,
მინდა ხარობდეს მახარე ურბნისს,
შატბერდს — რატი და არტაანს — ნინო...
ახლა ღამეა ატენთან, რკონთან,
ახლა ღამეა, აღარც თენდები...
ოშკო,
ოპიზავ,
გოდებავ, მოთქმავ,
ნუთუ ვერასდროს ავქართველდებით!
მინდა ხარობდეს ზარზმაში ვაზი,
იშხანთან ენთოს შალვა კელაპტრად...
კლარჯეთის წყარო და უსურვაზი
ახლა მომწყურდა და მომენატრა.
უკუნეთია კუმურდოს, ვალეს,
ხახულს, ბედიას, ხანძთას და ათონს...
უკუნეთიდან ნათლისმცემელში,
მაცხოვრის სახეს აწვიმს და ათოვს...
ო, როგორ მინდა, ნათელი უფლის
დედულ-მამულის მთებზე ეფინოს!
მინდა ზეობდეს გიორგი ურბნისს,
ბანას — დავითი და ილორს — ნინო.

1995 წელი

## ყოფა

ჭალა და... მერე სახლი,
სახლი და... ისევ ჭალა,
ჭამა და... მერე ძილი...
ძილი და... მერე ჭამა...
ეს მობიბინე ყანა,
იქცევა მალე ჩალად...
რა სევდიანად ბრუნავს,
ძმაო, ცხოვრების ჯარა...

1995 წელი

## დედის ჩივილი

— „შვილო, ეგ ორი დღეა,
ძალიან მტკივა გული,
გულში ეკლების ტყეა,
ვჯახირობ, ოჯახს ვუვლი...
მტკივა, ფეხები მტკივა,
მთლად გამიშეშდა წელი,
დილა-საღამოს, შვილო,
ძროხას წველებით ვწველი“...
ქათქათა ეზო-კარი
დაგაქვს ანთებულ სანთლით,
მთლად საქართველო გტკივა
და ვცოცხლობ შენი ხათრით...

1996 წელი

## ნათელი

მოსაღამოვდა, თებერვლის თქეშმა
ქუჩებში იწყო მოთქმა-თარეში,
უცებ გავცოცხლდი და მომენატრე,
რომ ჩამეხედა შენთვის თვალებში...
ხელის ცეცებით გეძებდი ბნელში,
ქარი და ყინვა ძვლებში მატანდა,
მღეროდი ჩემში, მოთქვამდი ჩემში,
და ვიღაც ჩემში თბილად გხატავდა.
მერე...
უკუნი განათდა ღამე,
აყვავდა ირგვლივ ვარდი და ია,
თვალი ხარ ჩემი, სული ხარ ჩემი,
ყველაფერს შენი სახელი ჰქვია.

1997 წელი




## რექვიემი

გომბორზე სისხლის ცრემლები
წვიმად ჩამოდის ციდან,
სად გაჰქრა ტკბილი ნიავი?
თვალებს რომ გიკოცნიდა!
სად გაჰქრა შენი ღიმილი,
მათრობელა და სათნო!
მთებს იქით გადაიკარგე,
მაინც მზესავით მათბობ...
დნებოდა თოვლი, ყინული,
გული რომ გინატრებდა,
სად გაჰქრა შენი ღიმილი,
უკუნს რომ მინათებდა!

1997 წელი

## სვეტიცხოველი

აქ ყოველ დილით პატარა ჩიტი
მოფრინდება და ეკლებში ტირის,
კედელზე — შენი მოჭრილი მკლავი,
მღვრიე ტალღებში ჩაშლილი ტივი.
ამოშრიალდა სინათლის ფარჩა,
აფორიაქდა სიშორის ლანდი,
მე შენს თაფლისფერ თვალებში დამრჩა
ჩამავალი მზის სევდა და დარდი;
შემომაფრინდა წარსულის დილა,
აკვნესდა ჩრდილი შეფოთლილ იფნის,
აპრილის თოვლში, ხელაპყრობილი,
მუხლამდე დგახარ, ფანტელებს ითვლი.
შორს, გულდაწყვეტის მწუხარე რტოზე,
თვლემს ჩრდილოეთის ცივი გრიგალი,
მოფრინდა დილა, ტკბილი ზღაპარი,
და სიზმარცხადის ტკბილი იგავი.
ყვავილობს გულდაწყვეტის რტოები
და მიაქვს ტალღებს დაშლილი ტივი,
აქ ყოველ დილით პატარა ჩიტი
ეკალ-ბარდებში მოთქვამს და ტირის.
მუხლამდე დგახარ აპრილის თოვლში,
იებიანი გაცვია ჩითი,
გაფრინდა დილა, ზღაპარ-იგავი,
და გულწითელა გაფრინდა ჩიტი.

1997 წელი

## ზამთრისპირის სევდა

მოწყენილი მაგნოლია,
ძირს გირჩები მოთქვამს ნაძვის,
ჩემო დედი, ჩვენს აივანს
ზამთრისპირას სევდა აწვიმს.
ხელისგულზე ბაბოთია,
ბაგინეთი — კერცხეთია,
ზევით — თოვლის მინდვრებია,
მარცხნივ — ბებოს მესხეთია,
აქვე — ჩვენი ამაღლება,
ნისლში — ინაშაურია,
უშენობაში სიცოცხლე,
გახვრეტილი შაურია!
აგერ, ჩვენი ჭურისთავი,
ვენახია, ბოსტანია,
ნაძვებია, ჭადრებია,
პალმებია, ალვებია,
ყოველივე, რასაც ვხედავ,
შენი თვალშენავლებია,
შენი ხელშენავლებია.
მოწყენილი ოლეანდრა,
ძირს გირჩები ტირის ნაძვის,
ჩემო დედი, ჩვენს ეზო-კარს,
ზამთრისპირის სევდა აწვიმს.

2011 წელი







# თავსატეხი

შვეულად: აპოლო, აშერი, გადია, ეჟენი, ვართე, ზანტი, თხემი, იეიკი, კატია, ოპალი, პლანი, რურკა, სარკე, ღერსი, ცელი, ჭანია, ზალზი.

ჰორიზონტალურად: აგუტი, აპისი, ატრია, აჩიკო, ბურდა, დაცვა, ერატო, ირემი, კაისა, მისია, ნაიკი, პრიზა, ფლერა, ტოლმა, უდესი, ქუხლი, შიფრი, წათხე, ზაზგა, ჯიშვე, მადგე.

# საიდან ერთი

შვეულად: 1. ბოლოკი, ხულიო, კაკაო. 2. პენალი, კონუსი, პეპელა. 3. პიჟამა, ბოპება, ფულევე. 4. პასტელი, ნატანდი, სარკოზი. 5. ჩაჩა, ბერწი, მოცურე. 6. კანტი, ზოტბა, ტორსი. 11. ქლიამები, კრიკეტი, კამბანი. 12. თამუნა, ბაზარი, ნათურა. 13. ზორული, კამონი, ჯაკუზი. 14. ტრასა, შტორი, ფელიდე. 15. გოგოლი, ბარაკი, ვიზიტი. 16. ხავსი, მერსი, შტაბი. 17. ჩეჩმა, ნერკა, ბროლი.

ჰორიზონტალურად: 3. სოლომონი, პანოპტეკი, საქანელა. 7. ბეჭერი, დეკადა, კითოდი. 8. ზარაკონი, სანოვაგე, ფორტომანი. 9. ბაგელა, ჩეჩენი, ზუღალდი. 10. ტორპედო, მანაკი, კარავანი. 12. სალონი, კონუსი, ნიკოტა. 16. კარიკალა, ხანთქი, გელურზა. 18. ცარცი, კორტი, თუმცა. 19. ხერხემალი, სავარძელი, ლაბორანტი. 20. სოსო, ჩელტი, რანდა. 21. ბალავერი, ფურნიშალა, სურავმა.

# შიფრვორდი

| | |
|---|---|
| ა 2 | ს 4 |
| ბ | ტ |
| გ | უ 6 |
| დ | ფ |
| ე 20 | ქ |
| ვ | ღ |
| ზ | ყ |
| თ | შ 7 |
| ი 8 | ჩ |
| კ | ც |
| ლ | ძ |
| მ | წ 29 |
| ნ | ჭ |
| ო 10 | ხ |
| პ | ჯ |
| ჟ | ჰ |
| რ 3 | |

# ჰაკერი, რომელმაც შევარდნაძე „გადააგდო“...

***ჰაკერებსა და მათ „საგმირო ისტორიებს“, ძირითადად, ფილმებიდან და უცხოეთის ახალი ამბებიდან ვიცნობთ, თუმცა, საქართველოშიც არის პიროვნება პაატა თვალაძე, ჰაკერული მეტსახელით პიტ გროსმანი, რომელმაც უკვე რამდენიმე სასჯელი მოიხადა ჰაკერობისთვის. ის, რომ იტყვიან, არაფრით ჩამოუვარდება სახელოვან უცხოელ კოლეგებს.***

ა, რას გვიყვება **პაატა თვალაძე:**

— რუსეთში საავიაციო სამინისტროს კონტრდაზვერვის ტექნიკურ ქვეგანყოფილებაში ვმუშაობდი, რომელიც სპეცდანიშნულების გასაიდუმლოებულ სამსახურს ეკუთვნოდა. მას შემდეგ ვიმუშავე გერმანიაში სამხედრო დახურულ ბაზაზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საიდუმლო სამსახურებმა თავისი ფუნქცია დაკარგეს, ფაქტობრივად, უმუშევარი დავრჩი. დავბრუნდი საქართველოში, ვმუშაობდი ფირმა „ორბის“ ტექნიკურ დირექტორად. ეროვნული აღზევების პერიოდში წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვაში დავეხმარე ზვიად გამსახურდიას, რაც მოგვიანებით სანანებელი გამიხდა. იმ დროს ეკონომიურად შესანიშნავად ვგრძნობდი თავს და დანაშაულის ჩადენა აზრადაც არ მომდიოდა. თუმცა, გავიდა ხანი, შეიცვალა ხელისუფლება და ვიღაც-ვიღაცებმა, ზვიადს რატომ ეხმარებოდიო, გამიხსნეს. იძულებული გავხდი, საქართველო დამეტოვებინა. დავბრუნდი რუსეთში, ვთანამშრომლობდი გახმაურებულ ფირმა „?? ???“-თან, პარალელურად სხვა ფირმებთანაც. აქაც დრო შეიცვალა, „???“ გაკოტრდა, მეპატრონეები გაიქცნენ. მეც მქონდა ფული იქ შეტანილი და ამიტომ სოლიდური თანხის სესხება დამჭირდა და დახმარებისთვის უახლოეს მეგობარს, ცნობილ რუს დიზაინერს სლავა ზაიცევს და მის ძმას მივმართე. გავოცდი, ზაიცევმა ფულის სესხებაზე უარი მითხრა. არადა, იცოდა, რომ დამბრუნებელი ვიყავი. მას ფული არ უჭირდა. ეს ვიცოდი მე. მანაც იცოდა, რომ ეს ვიცოდი. მოკლედ, ასეთი უხეში ტონი მისგან არ მესიამოვნა და გადავწყვიტე, ერთგვარად დამესაჯა, რადგან მისთვის უანგაროდ უამრავჯერ მქონდა გაწეული სამსახური. ჩავუჯექი კომპიუტერს, რამდენიმე კვირა ვადევნე თვალი მისი თანხის მიმოსვლას და, როცა ყველა საჭირო ინფორმაცია შევკრიბე, თანხა ჩემს ფარულ ანგარიშზე გადავრიცხე და გარკვეული პერიოდის შემდეგ გამოვიტანე კიდეც. თუმცა იმაში შევცდი, რომ ამ საქმეში ორი გამოუცდელი პირი დავიხმარე, რომლებიც ჰაკერობისგან კი არა, ნებისმიერი კრიმინალისგან შორს იდგნენ. გავყავით თანხა და თითოეულს 600 ათასი დოლარი შეგვხვდა. ორივე მკაცრად გავაფრთხილე, რომ ფულის ხარჯვა ისე არ დაეწყოთ, რომ მათი გამდიდრება ხალხს თვალში მოხვედროდა. პირადად მხოლოდ ავტომანქანის ყიდვა მოვასწარი და ერთ საღამოს პოლიციიდანაც მომაკითხეს. წამიყენეს ბრალდება და საპყრობილეში გამამწესეს. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ ჩემს თანამონაწილეს სიმთვრალეში ყველაფერი ხალხში წამოსცდენია. ძიებისას ისე გავაკეთე, რომ თანამონაწილეები უბრალო დამხმარეებად მოვიხსენიე, რომლებმაც თითქოს არც იცოდნენ, რას რისთვის აკეთებდნენ. ფული მხოლოდ ორმა დავაბრუნეთ. იმ ერთმა გამდიდრებულმა თანხის სოლიდური ნაწილი ციხეში ჩემს ფინანსურ უზრუნველყოფას მოახმარა. საგულისხმოა, რომ თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ მე მომისაჯეს. თანხა დავხარჯე და ხუთ წელიწადში გავთავისუფლდი. ისევ საქართველოში დაბრუნება გადავწყვიტე. თბილისში სამსახური ვერსად ვიშოვე, რადგან აქ ყველა მაფასებდა ისე, როგორც ნაციხარს და არა როგორც პროფესიონალს. ამიტომ გადავწყვიტე, ისევ პირადად მიმეხედა ჩემი თავისთვის. გადავავლე მომგებიან ბიზნესებს თვალი და დავრწმუნდი, რომ ყველაზე შემოსავლიანი ნავთობით ვაჭრობა იყო. ძველი გერმანელი ნაცნობების დახმარებით ჩამოვაყალიბე ფირმა, კონტრაქტიც გავაფორმე და ავმუშავდი. ერთი შეხედვით ისე ჩანდა, რომ ახლა ჩემს ბედნიერებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა, მაგრამ, თურმე, ამაოდ. ბაქოდან ბათუმში ჩამქონდა დიზელის საწვავი და „მ-100“ ტიპის მაზუთი, რომელიც ტანკერებით იტალიაში მიჰქონდათ. ტვირთის ბათუმში ჩატანისთანავე ანგარიშსწორება ადგილზევე ხდებოდა. წელიწადში საქონელბრუნვა შეადგენდა შვიდას მილიონს, საიდანაც სოლიდური მოგება ჩემი ფირმის ანგარიშზე რჩებოდა. წლის ბოლოს ფირმის თანამშრომლებს დიდი თანხა უნდა გაგვეყო. თუმცა ამ საქმით დაინტერესდა იმ დროს საქართველოში ყველაზე გავლენიანი ბიზნესმენი ნუგზარ შევარდნაძე. მან პარტნიორობა შემომთავაზა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი, რადგან ეს წინადადება ორივესთვის მომგებიანი გახლდათ. გარკვეული დროის შემდეგ ნუგზარმა თავის ბიძას, ედუარდს შემახვედრა. იმ დროს პირველმა პირმა შემომთავაზა, თუ შენს საქმეს თავს დაანებებ, ნებისმიერ ქვეყანაში საქართველოს საელჩოს ეკონომიკურ სამსახურს ჩაგაბარებო. ეს უხეში, მიუღებელი გარიგება ნიშნავდა — შენს საქმეს ჩამოშორდიო. მივხვდი, ისინი ერთმანეთში შეთანხმებულები იყვნენ და ჩემი საქმიდან აბსოლუტური ჩამოშორება უნდოდათ. მოსაფიქრებლად სამი დღე ვითხოვე. დამთანხმდნენ. იქიდან გამოვბრუნდი თუ არა, ოჯახს შევატყობინე, რომ რამდენიმე დღით გერმანიაში მივემგზავრებოდი და ნუ მომძებნით-მეთქი. ჩავუჯექი კომპიუტერს, ვიცოდი, ჩემს პარტნიორს, რომელსაც საქმის წართმევა უნდოდა, ანგარიშზე დიდძალი თანხა ედო. ცოტაოდენი ინფორმაცია მისი ფულის მიმოქცევაზე მქონდა, ანუ შეიძლებოდა, მეკონტროლებინა, თანხა საიდან სად, რომელი ბანკიდან, რამდენი და რა პერიოდულობით შემოდიოდა. ეს კი ჩემთვის საკმარისი გახლდათ. ორი დღის განმავლობაში სიგარეტისა და ყავის მეტს არაფერს გავკარებივარ. მესამე დღეს თამბაქო შემომაკლდა და საყიდლად ჩავედი. უკან, ოთახში შემოტრიალებულმა შევამჩნიე, კარი ღია დამრჩენოდა. გავაგრძელე ჩემი საქმიანობა, თანხა გადავრიცხე უცხოეთში და ის იყო, კიდევ რამდენიმე წუთი მრჩებოდა კვალის დასაფარად, რომ ოთახში ჩემი თანამშრომელი შემოვიდა, ეკრანს შეხედა, რაღაც ნივთები აიღო და გავიდა. კარი კი ჩავკეტე, მაგრამ გვიან იყო. კომპიუტერში კვალი ბოლომდე დაფარული არ იყო, რომ სპეცსამსახურის თანამშრომლებმა კარი შემომიმტვრიეს. ამიყვანეს. მათ იქ ყოფნაში კვალი კი დაიფარა, მაგრამ რაღა მნიშვნელობა ჰქონდა.



**— რატომ დაგასმინათ თქვენი ფირმის თანამშრომელმა?**

— ამ ხანშიშესულ კაცს ეგონა, რომ ფირმის თანხის მითვისებას და მიმალვას ვცდილობდი. იფიქრა, ამას ამდენი ფული როგორ უნდა გავატანოო და დარეკა.

**— როგორ მიხვდა, რომ თქვენ რაღაც არაკანონიერს აკეთებდით?**

— საქმე ის გახლდათ, რომ მისი შემოსვლის დროს კომპიუტერზე წითელი ზოლი იყო გამოსახული, რაც იმას ნიშნავს, რომ აკრძალულ ზონაში იმყოფები. ამით ყველაფერი გასაგებია.

**— ფული მეპატრონეს თქვენ დაუბრუნეთ, თუ იმათაც ჰაკერი დაიხმარეს?**

— აყვანიდან 15 დღის განმავლობაში იზოლირებულ ოთახში ვიყავი გამოკეტილი, სადაც არაფერს მაკლებდნენ. ოღონდ კი რაიმე მომესურვებინა და უმალ ყველაფერი ჩნდებოდა. თუმცა, წამების მეთოდად იყენებდნენ მონიტორს, სადაც ვხედავდი, თუ დღის განმავლობაში სად მიდიოდნენ და რას აკეთებდნენ ჩემი ოჯახის წევრები. პერიოდულად ჩამძახოდნენ, აი, აქ შეიძლება, შენს მეუღლეს ან, ვთქვათ, ბავშვს „შემთხვევით“ ავტომანქანა დაეჯახოს და მოკლას. იმავეს ოჯახის სხვა წევრებზეც მიმეორებდნენ. ვაღიარებ, ფსიქოლოგიურმა ტერორმა გაჭრა. ფული უკან ჩემივე ხელით დავაბრუნე. რვა მილიონ 700 ათასს ოჯახის წევრთა კეთილდღეობა ვამჯობინე.

ჰაკერობით, შეიძლება თანხა იშოვო, მაგრამ ვერ შეირგო, რადგან ეს ფული მოპარულია. ნაქურდალი კი ადამიანს არ აშეერგება. ასეა ჩემს შემთხვევაშიც. რამდენჯერაც „საქმე“ გავაკეთე, იმდენჯერ ფეხი წავიტეხე და ახლა ამის გაკეთება უკვე აღარ მიღირს. მომავალში პატიოსან ცხოვრებას ვაპირებ. ვცხოვრობ ბათუმში ოჯახთან ერთად. მაქვს სამსახური — ტექნიკური გაყიდვების მენეჯერი ვარ და ასე ვაპირებ დარჩენილი ცხოვრების გატარებას.

**თამაზ ხაბეიშვილი**
**571 00 06 78**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი***
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**— წარმოშობს თუ არა ჯვრისწერა მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს?**

-არა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება.

* * *

**— სამსახურებრივი საქმიანობის დროს ხელი დამიზიანდა სერიოზული გართულებებით. მაქვს გასაკეთებელი ოპერაცია. ხელმძღვანელობამ უარი მითხრა ოპერაციის ხარჯების გადახდაზე. შემაქვს სარჩელი სასამართლოში. მეკუთვნის თუ არა სახელმწიფო ბაჟის გადახდა?**

- არ გეკუთვნით. დაგიკონკრეტებთ;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელეები - დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე, მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე.

წარმოდგენილი ნორმის მიხედვით, თქვენი შემთხვევა განიხილება ჯანმრთელობის სხვა დაზიანებად. აუცილებლად უნდა წარადგინოთ სასამართლოში სარჩელთან ერთად ცნობა თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და, ასევე, მოგიწევთ მტკიცება იმის შესახებ, რომ ეს დაზიანება თქვენ ნამდვილად მიიღეთ სამსახურში არა თქვენი ბრალეულობით.

* * *

**— გარდამეცვალა ძმა, რომელსაც გააჩნდა საკმაოდ დიდი ქონება. ყველაფერი დარჩა მის მეუღლესა და შვილს. მე, როგორც დას, მეკუთვნის თუ არა წილი?**

-არა.

თქვენი ძმის პირველი რიგის მემკვიდრეები არიან მეუღლე და შვილი /ასევე, მშობლები, თუ ისინი ცოცხლები არიან/. და ან ძმა არის მეორე რიგის მემკვიდრე. მეორე რიგის მემკვიდრე მამკვიდრებლის ქონებას მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობენ პირველი რიგის მემკვიდრეები. აქედან გამომდინარე, თქვენ, როგორც მეორე რიგის მემკვიდრე, გარდაცვლილი ძმის სამკვიდროდან წილს ვერ მიიღებთ.

* * *

**-შეიძლება თუ არა სამოქალაქო სამართალში წეს-ჩვეულებების გამოყენება?**

-საინტერესო შეკითხვაა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს.

* * *

-ვთქვათ, კანონის ნორმა მიუღებელი და არაზნეობრივია მოსამართლისათვის. აქვს თუ არა მას უფლება, უარი თქვას ამ კანონის გამოყენებაზე?

-არა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას კანონის გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ მას კანონის ნორმა უსამართლოდ ან არაზნეობრივად მიაჩნია.

* * *

**-დავზარალდი იმით, რომ არ ვიცოდი კანონში შეტანილი ცვლილების შესახებ. არცოდნა უნდა ყოფილიყო თუ არა საპატიო მიზეზი?**

-არა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.

ავეჯის გადაზიდვა



593 20 46 87

# სიყვარულის ისტორია: ფედერიკო ფელინი და ჯულიეტა მაზინა



ფედერიკო ფელინი და ჯულიეტა მაზინა ერთ-ერთი რომანტიკული წყვილია XX საუკუნის მსოფლიო კინოხელოვნების ისტორიაში. ისინი ლეგენდად დარჩნენ ჩვენს სინამდვილეში.

მათ ერთმანეთი 1943 წელს გაიცნეს.

თვრამეტი წლის მაზინა უკვე იყო პოპულარული, როგორც პირდაპირი რადიოეთერის შესანიშნავი წამყვანი და თამაშობდა რომის ხუთ თეატრში. ფელინი ჯულიეტაზე სამი წლით უფროსი იყო. ის კარიკატურისტად მუშაობდა ერთ პატარა გაზეთში და მუსოლინის არმიაში მსახურობდა. პარალელურად პიესებს წერდა თეატრისთვის, რომელსაც თვით დიქტატორის შვილი ხელმძღვანელობდა. ერთხელ მან ფოტოს გადაღება სთხოვა სპექტაკლში მთავარი როლის შემსრულებელს, რომელიც მერე მისი მეუღლე გახდა. ზუსტად ასე იყო სცენარში. ასე მოიქცა ფელინიც, მან ფოტო სთხოვა სპექტაკლის მთავარი როლის შემსრულებელს ჯულიეტა მაზინას კინოსინჯისთვის. მეორე დღეს ისინი რესტორნაში გაემგზავრნენ.

შემდეგ ჯულიეტა ჰყვებოდა, რომ ძალიან გაკვირვებული იყო, რადგან ადრე მას მხოლოდ კაფეში პატიჟებდნენ ყავაზე.

რესტორანში აღმოჩნდა, რომ ფედერიკოს საკმარისი ფული არ ჰქონდა, მაშინ ჯულიეტამ ყველაზე იაფფასიანი საუზმე მოითხოვა და თქვა, რომ მას არ შიოდა. თუმცა ესეც დადგმული სპექტაკლი იყო ფელინის მიერ.

ფელინიმ ჯულიეტა მაშინვე მოხიბლა. ის ჰყვებოდა ბევრ დაუჯერებელ ისტორიას, ფანტაზიორობდა და იგონებდა ათას რამეს საკუთარ ცხოვრებაზე. ჯულიეტას დიდხანს უჭირდა გაერჩია სიმართლე მოგონილისგან. მან იცოდა, რეალობისთვის რომ თვალი გაესწორებინა ფელინის, ეს მისთვის დიდი ტრავმა იქნებოდა. ჯულიეტას ყოველთვის სჯეროდა, რომ სიყვარული მსხვერპლს, თვითშეწირვას და ალტრუიზმს მოითხოვდა.

ორი კვირის შემდეგ 1943 წლის 30 ოქტომბერს ისინი დაქორწინდნენ. ორივე ახალგაზრდა იყო, მაგრამ ერთ მათგანს ცხოვრების მეტი გამოცდილება ჰქონდა. ფედერიკოს ბევრი რამ ჰქონდა ნანახი ცხოვრებაში. ჯულიეტას კი მშობლები ძალიან ანებივრებდნენ.

ჯულიეტა იყო უმწიკვლო, მიმნდობი, ნაზი, ის იყო ძალიან კეთილი. ფელინი პატრონობდა მას. აქამდე არავისზე არ ყოფილა ასე დამოკიდებული ჯულიეტა. ერთხელ ფელინიმ თქვა: „მე შემიყვარდა საკუთარი თავი მისი თვალებით“.

შემდეგ მოხდა საშინელება. ჯულიეტა გადმოვარდა კიბეებიდან და ბავშვი დაკარგა. ეს იყო დიდი ტრაგედია. მაგრამ ამ მწუხარების შემსუბუქება მხოლოდ ერთს შეეძლო და ეს იქნებოდა ბავშვი. და ჯულიეტა დაფეხმძიმდა. დაიბადა ბიჭუნა. მას ფედერიკო დაარქვეს, თუმცა პატარამ მხოლოდ ორი კვირა იცოცხლა.

ჯულიეტას უთხრეს, რომ ის ველარ გააჩენდა ბავშვს. ეს უდიდესი დარტყმა იყო მისთვის, რადგან ყოველთვის ოცნებობდა დედობაზე.

ფედერიკოს კი ძალიან ხიბლავდა ჯულიეტას განუმეორორებელი ოპტიმიზმი. ის არასდროს კარგავდა იმედს. ჯულიეტა იღიმებოდა, იყო ეკონომიური, უვლიდა ფედერიკოს და დაჰყვებოდა გადაღებებზე. ატარებდა ზაფხულებს ფედერიკოს მშობლიურ რიმინიში. მას ხშირად ეკითხებოდნენ, ძნელი იყო თუ არა გენიოსთან ცხოვრება. ჯულიეტა ბედნიერი იყო, მაგრამ ერთხელ გამოტყდა და ისიც თქვა, რომ ცოლ-ქმარს განსხვავებული ხასიათი ჰქონდა. „მე მოგზაურობა მიყვარს, მას არა, მე ცეკვა მხიბლავს, ფედერიკოს ისიც არ სურს, ერთი საცეკვაო მოძრაობაც კი ისწავლოს. ჩვენთვის საერთო არის ის, რომ ერთნაირად გვიხარია კვირის მოსვლა, როცა ვისვენებთ და ოჯახის სიმყუდროვეში შეგვიძლია ერთად გავატაროთ გამოსასვლელი დღე.“

„ფელინისთვის შექმნილი ქალი“, — ხშირად გაიგონებთ ასეთ ფრაზას ჯულიეტა მაზინაზე და ეს არის სიმართლე.

„მე ის გავიცანი რადიოდადგმისთვის დაწერილ ჩემს სცენარში სათამაშოდ და გახდა ჩემი ცხოვრების ვარსკვლავი“, — თქვა ერთხელ ფედერიკო ფელინიმ.

დასაწყისისთვის მას სურდა მხოლოდ მეუღლე გადაეღო ფილმებში. მთავარი როლები ფილმებში: „გზა“, „კაბირიას ღამეები“, „ჯულიეტა და სულები“, ამ ფილმებმა ჯულიეტა მიუწვდომელ სიმაღლეებზე აიყვანა. მას მიანიჭეს „ოსკარი“ და შესთავაზეს შემოსავლიანი კონტრაქტები ჰოლივუდში, თუმცა ჯულიეტა ყველაფერზე უარზე იყო.

მეგობრები იგონებდნენ, რომ მუშაობის დროს ფელინისთვის გადამწყვეტი იყო ჯულიეტას აზრი. როცა ის არ იყო გადასაღებ მოედანზე, ფედერიკო მუდმივად ურეკავდა მას სახლში და რჩევას ეკითხებოდა სულ უმნიშვნელო საკითხებზეც კი.



საიუბილეო „ოსკარი“ ფელინისთვის უკანასკნელი ჯილდო აღმოჩნდა. პრემიის მინიჭების დროს პარტერში მჯდომი ჯულიეტა განუწყვეტლივ ტიროდა. ფედერიკომ დაუძახა: ნუ სტირი ჯულიეტა. თუმცა მას ცრემლის ღვრა არ შეუწყვეტია და ეს ყველა კამერამ დააფიქსირა მაშინ.

ჯულიეტა მაზინას დაავადება მისი მეუღლის დაავადებაზე ადრე გახდა ცნობილი. დასაწყისში ის ამბულატორიულ მკურნალობას გადიოდა. შემდეგ ექიმმა საავადმყოფოში დაწოლა ურჩია. თუმცა ის საავადმყოფოში მაშინ დაწვა, როცა ფედერიკოსაც იგივე რჩევა მისცეს. ისინი გვერდი-გვერდ ოთახებში განათავსეს. ჯულიეტა კიბოთი იყო დაავადებული, თუმცა დასაწყისში ამას მეუღლეს უმალავდნენ, რადგან თვით ფედერიკოს, ექიმების ვარაუდით, წელიწადნახევრის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი. 1993 წლის ოქტომბერში ისინი საავადმყოფოდან გაწერეს. ფელინი ცდილობდა ოქროს ქორწილი გადაეხადა, რომელიც ზუსტად 1993 წლის ოქტომბერში იყო, მაგრამ 15 ოქტომბერს მას ინსულტი მოუვიდა და 30 ოქტომბერს გარდაიცვალა.

რომში, როცა ფედერიკო ფელინის ასაფლავებდნენ, ქალაქის ქუჩები გადაკეტილი იყო. რადიო-ტელევიზიებმა მუშაობა შეწყვიტეს.

ჯულიეტა ცრემლებს არ მალავდა. მეუღლის დაკრძალვიდან ხუთი თვის განმავლობაში ყოველ დღე დადიოდა სასტუმროდან სასაფლაოზე,სადაც ფედერიკო იყო დაკრძალული. მეგობრები ამბობდნენ, ფელინის გარდაცვალების შემდეგ ჯულიეტა თითქმის არ ლაპარაკობდა. მხოლოდ ამბობდა: „ფედერიკოს გარეშე მე ცოცხალი აღარ ვარ“.

ჯულიეტა მაზინა მეუღლის გვერდით დაკრძალეს.

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — მთელი თქვენი ძალისხმევა მატერიალისტური პრობლემების მოსაგვარებლად იქნება მიმართული. თავი შეიკავეთ ვალის აღებისგან.

**კურო** — შეეცდებით, აქტიურად ჩაერთოთ როგორც საოჯახო, ისე სამსახურებრივ საქმეში. თუ კონკრეტულ მიზანს დაისახავთ, არ გაგიჭირდებათ საარსებო საშუალების პოვნა.

**ტყუპები** — დროის ამ მონაკვეთში სარფიანად წარიმართება თქვენი ურთიერთობები პარტნიორებთან.

**კირჩხიბი** — მოგემატებათ სასიცოცხლო ენერგია, გამომჟღავნდება თქვენი შემოქმედებითი პოტენციალი. ნუ მოახდენთ ვითარების დრამატიზებას, უმჯობესია გაერთოთ.

**ლომი** — თქვენი ენთუზიაზმი და შემართება საგრძნობლად შემცირდება. ახალი მეგობრები ხელს შეუწყობენ თქვენს ინტელექტუალურ განვითარებას.

**ქალწული** — თამამად შეგიძლიათ დანიშნოთ საქმიანი შეხვედრები და დადოთ ხელშეკრულებები. სულიერ სიმშვიდეს ბუნების წიაღში გასეირნება დაგიბრუნებთ.

**სასწორი** — საქმეებს მოხერხებულად და წინდახედულად წარუძღვებით. წარმატებებს იოლად მიაღწევთ სავაჭრო ბიზნესსა და კულტურულ ღონისძიებებში.

**მორიელი** — ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს კვირა სტაბილური იქნება. ამ დღეებში დადებული ხელშეკრულებები სტაბილური და მომგებიანი გამოდგება.

**მშვილდოსანი** — ეს პერიოდი ხელსაყრელი იქნება სახლის კეთილმოწყობისთვის, მით უფრო რომ სწორედ თქვენს სახლში შეიძლება შედგეს არაერთი საინტერესო შეხვედრა.

**თხის რქა** — მოგეცემათ შანსი, განახორციელოთ თქვენი ძველი ოცნება. შესაძლოა, სამსახურიც შემოგთავაზონ. თამამად შეგიძლიათ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება სასიყვარულო ურთიერთობებში.

**მერწყული** — თქვენი წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად სარფიანად დადებით ხელშეკრულებას.

**თევზები** — დაბრკოლებები გელით პროფესიულ საქმიანობაში, გარშემო მყოფებიც მტრულად იქნებიან თქვენ მიმართ განწყობილი. მაღალია გაუგებრობის ალბათობა, რის გამოც სასურველია, სამომავლოდ გადადოთ ფინანსური ოპერაციები და მნიშვნელოვანი საქმეები.

**ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:**

1.სამტეხლო. 2. ვაჩნაძე. 3. ვაჩე. 4. ჩელსი. 5. არიადნა. 6. კრიმინალისტიკა. 7. ჯეოსტარი. 8. მილენ. 9. იანკოვსკი. 10. ნუფ-ნუფი. 11. ნიმეიერი. 12. ტაიქოლდი. 13. მედლინ. 14. მუფლონი. 15. მინისტერიალი. 16. ასპიტი. 17. ფუნჯი. 18. იერი. 19. ოფისი. 20. ფესვი. 21. მერქანი. 22. დიკი. 23. მონტიელი. 24. კენზო. 25. ფლაკონი. 26. ოდერი. 27. სიტარა. 28. პარაკლისი. 29. პიჯაკი. 30. ნიკონი. 31. ესპერანტო. 32.ორიენტი. 33. პართენონი. 34. ბურნუთი. 35. ალი. 36. დიო. 37. დასენი. 38. მათუსალა. 39. სამურზაყანო. 40. მასა. 41. გურიელი. 42. ფარაონი. 43. ჭირნახული. 44. რუტინიორი. 45. ხონდრორიცი. 46. გრავიორი. 47. ურარტუ. 48. ნუტკა. 49. ოპრა. 50. ხორა. 51. სიმონ. 52. კულონი. 53. პიონი. 54. ლიპტონი. 55. რაცია. 56. დიქტი. 57. პერო. 58. დონბასი. 59. ქეცი. 60. პაზი. 61. გოტი. 62. იულია. 63. ტაიმსი. 64. სმიტი. 65. დიაგრამა.

ISSN 2233-3983